

უნივერსალური პარტნიორი საქმიანი ადამიანებისთვის

ბიზნესი კანონმდებლობა



№2 მარტი 2014



www.b-k.ge
info@iverioni.com.ge

ISSN 1987 - 6041



9 771987 604000



ბიზნესი და კანონმდებლობა

№2 მარტი 2014

საქართველო,

ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი

რეგისტრირებულია 2008 წლიდან

WWW.B-K.GE

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავის-სუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს ავტორისას. უმეორსული სტატიების უინაარსზე და მონაცემთა სინჯუსტუმე პასუხისმგებელია ავტორი.

ნაღაქმის მისაღართი:

თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. 36
ტელ: 292-14-61, 599 56-14-57, 599 34-64-27
ვებ გვერდი: www.b-k.ge
e-mail: info@iverioni.com.ge, gfaafm@gmail.com

საბანკო რეკვიზიტები:

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“;

ბანკის კოდი: BAGAGE22;

ა/ა GE30BG000000850902700; ს/კ 404956455.

გამომცემელი:

საქართველოს ალიტორთა, ზულალთანა და უინასური მენაქართა უელაჩთა, სინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „ივანიონი“

რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარე:

ზაქი ნაქყებია

მთავარი რედაქტორი:

იქი პაპასქუა, ეკონომიქუი მეცნ. აკად. დოქტორი, ჰიომეცსოი

რედაქტორი:

ეკა ჰომედაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი:

იღონა ადამია

ტექნიკური რედაქტორი:

ღევენ ბოქოიშვილი

საქმესნიერო საბჭო:

ეკონომიქუი მეცნიეებათა დოქტორები, ჰიომეცსოები:
იუნა მესნი, მოლი ჰითუნავე, ეღაქა მენაქოშვილი, პაპა ჟოლუშვილი, მოლი ხელეი, დამიან ჟოქიანი, ნაბო პაპაშვილი, ნანა შონი, დავით ჯალალონი, თამაზ სომეხიანი, ჟოსე აბაძე, ნილოზ ჩინაძე, თამაზ ნაბაქიანი, დიონა თაქანაძე, ბიოზი ლავთაძე, ირა ირავე, დავით ჰოლუშვილი, სელიო ჟაბახაძე, დონა პაქაშვიანი, ბიოზი ჰილდაძე, ანსო მესნიშვილი.

საქათველოს მეცნიეებათა აკადემიის წევი-ეოქესპოდენტი ავთანდილ სინაბაძე.

სამაქილისა და პოლიტიკის მეცნიეებათა დოქტორი ჯემალ ბახოიძე.

იქიდოდ მეცნიეებათა დოქტორი, ჰიომეცსოი ბუქამ ნაქყებია.

ჰედაგოგიის მეცნიეებათა დოქტორი, ჰიომეცსოი მამუა თაქანიძე.

იღბაქ 3. მახი (აშშ ეაექევილის სახელმნიფო უნივერსიტეტის, ჰიომეცსოი)

პინსანბ ი. ჯონსონი (სანტ-მახის უნივერსიტეტის სამაქილის ჰიომეცსოი, სან ანტონიო, ტეხასი, აშშ)

ბუქანხე ზიბიანი (ბეილინის უნივერსიტეტის ჰიომეცსოი),

იღონა ფიქიანი (ბონის უნივერსიტეტის ჰიომეცსოი),

ანი ანიქიანი (ბაქოს სახ. უნივერსიტეტის ჰიომეცსოი).

კონსულტანტი:

თამაზ იაშვილი, იჩინე ლონტი

BUSINESS & LAW

№2 MARCH 2014

SCIENTIFIC,
ANALYTICAL-PRACTICAL JOURNAL
Referenced since 2008

WWW.B-K.GE

The Journal is governed by free press principles. The editorial board point of view may not necessarily agree with the point of view expressed by the authors. Therefore the Editorial Board does not pledge any responsibility on the content of the articles submitted by the Authors.

ADDRESS OF EDITORIAL BOARD:
Tbilisi, Brothers Zubalashvili str. 36
Tel: 292-14-61, 599 56-14-57, 599 34-64-27
URL: www.b-k.ge
e-mail: info@iverioni.com.ge, gfaafm@gmail.com

Bank details:
JSC Bank of Georgia
Bank code: BAGAGE22
c/a GE30BG000000850902700 i/c 404956455

PUBLISHERS:

**THE FEDERATION OF AUDITORS, ACCOUNTANTS
AND FINANCIAL MANAGERS OF GEORGIA;
INFORMATION – ANALYTICAL AGENCY
„IVERIONI“**

CHAIRMAN OF THE BOARD OF EDITORS:

Zaur Nachkebia

EDITOR - IN – CHIEF

Iuri Papasqua, Doctor of Economics, Professor

EDITOR – IN – CHARGE

Ilona Adamia

TECHNICAL DIRECTOR:

Levan Bochorishvili

EDITORIAL BOARD:

Doctors of Economics, Professors:

Iasha Meskhia, Nodar Chitanava, Elguja Mekvabishvili, Paata Koguashvili, Nodar Khaduri, Lamara Kokiauri, Nato Kakashvili, Nana Shonia, Davit Djalagonia, Temur Khomeriki, Kote Abuladze, Nikolodz Chikhladze, Tamaz Akubardia, Larisa Takalandze, Giorgi Gvartadze, Lia Eliava, Davit Chiotashvili, Suliko Futkaradze, Demna Kvaratskhelia, Giorgi Chigladze, Giorgi Rusiashvili, Anzor Meskhishvili.

Member-correspondent of the Georgian Academy of Sciences

AVTANDIL SILAGADZE

Doctor of Law and Politics Sciences

JEMAL GAKHOKIDZE

Doctor of Legal Sciences, Professor

GURAM NACHKEBIA

Doctor of Pedagogical Sciences

MAMUKA TAVKHELIDZE

Fayetteville State University Professor

ROBERT MCGEE (USA)

Professor of Law, St. Mary's University (San Antonio, Texas, USA)

VINCENT R. JOHNSON,

Berlin University Professor

BERNARD ZIGLER (GERMANY)

Bonn University Professor,

IOHAN FISHER (GERMANY)

Baku State University, Professor

ALI ALERZEVI (AZERBAIJAN)

CONSULTANTS:

Tamaz Iashvili, Irine Glonti

შინაარსი

ნოდარ ჭითანავა	
აგრარული სექტორი ახალი გამოწვევების წინაშე -----	5
პაატა კოლუაშვილი	
კიდევ ერთხელ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე -----	22
დავით ეგიაშვილი, ანზორ მესხიშვილი	
როგორ გამოვიყენოთ მიწა -----	26
ბორის ჭიჭინაძე	
ადგილობრივი თვითმმართველობების	
სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ასპექტები -----	32
ზვიად ბეშკენაძე	
ეკონომიკის აგრარული სექტორის განვითარების მაკროეკონომიკური ასპექტები -----	37
მაია ხუციშვილი, თენგიზ ლაჭყებანი	
ადამიანური რესურსების როლი ბიზნესის განვითარებაში -----	44
თენგიზ ლაჭყებანი, ვაჟა ზეიკიძე, მაია ხუციშვილი	
აგრიბიზნესის განვითარების თავისებურებანი საქართველოში -----	46
ასმათ შამუგია	
კადგომების შრომის ხარისხისა და შესაბამისი ანაზღაურების	
განმსაზღვრელი ჩარჩო-მოდელის (პროფესიოგრაფის) ფორმირება -----	48
ვინსენტ რ. ჯონსონი	
ამერიკული ბიზნეს-დავები და „ეკონომიკური ზარალის კანონი“ -----	54
რობერტ ვ. მაკგი, სერკან ბენკი	
ქრთამის აღების ეთიკა: ემპირიული კვლევა თურქეთის მაგალითზე -----	58

CONTENT

Paata Koguashvili	
FOR THE DESCRIPTION OF MAIN ESSENCE OF AGRICULTURAL COOPERATIVES -----	22
David Egiashvili, Anzor Meskhishvili	
LAND ADMINISTRATION POLICY -----	26
Zviad Beshkenadze	
MACROECONOMIC ASPECTS OF RISING EFFICIENCY OF AGRARIAN SECTOR -----	37
Maia Khutsishvili, Tengiz Lachkebiani	
The role of human resources in business development -----	44
Tengiz Lachkebiani, Vazha Zeikidze, Maia Khutsishvili	
AGRIBUSINESS DEVELOPMENTS PECULIARITY IN GEORGIAN -----	46
Asmat Shamugia	
TEACHER'S WORKS` QUALITY CONFORMABLE OF THEIR PAYMENT	
DEFINITION FRAME-MODEL (PROFESSIOGRAM) FORMING -----	48
Vincent R. Jonson	
AMERICAN BUSINESS TORTS AND THE „ECONOMIC LOSS RULE“ -----	54
Robert McGee, Serkan Benk	
THE ETHICS OF ACCEPTING A BRIBE: AN EMPIRICAL CASE STUDY OF TURKEY -----	58

აპარული სექტორი ახალი გამონვევის წინაშე

აპარული სექტორის ტრანსფორმაციის ძირითადი ნიშნები, თავისებურებები და ტენდენციები

მიწის პრივატიზაციის შედეგები. საქართველოში მიწის რეფორმა 1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48, 6 თებერვლის №128, 10 მარტის №290 დადგენილებებით დაიწყო, აგრეთვე „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ და „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“ კანონების შესაბამისად ქვეყანაში მიწის კერძო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა და ოჯარით გაცემა განხორციელდა.¹



ნოდარ ჭითანავა,
ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი

საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 2003 წლის 1 აპრილისთვის 1110,8 ათას კომლს (ოჯახს) საკუთრებაში გადაცემული ჰქონდათ 930 ათასი ჰა მიწის ფართობი, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგული მთლიანი რაოდენობის (3023,5 ათასი ჰა) 25,2%, სახნავის – 54,6%, მრავალწლიანი ნარგავების – 68,5%, სათიბის 29,3, საძოვრის 4,7%.

1996 წლის 28 ივნისის კანონის „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“ შესაბამისად (2003 წლის მდგომარეობით) ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე იჯარით გაიცა 905,1 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, რაც შეადგენდა მთელი ფართობის 29,9%-ს. აქედან, სახნავი იყო 222,7 ათასი ჰა (27,9%), მრავალწლიანი ნარგავი – 30,3 ათასი ჰა (11,4%), სათიბი – 46,1 ათასი ჰა (32,2%), საძოვარი – 606 ათასი ჰექტარი (33,7%). აღსანიშნავია, რომ 905,1 ათასი ჰექტარიდან 40,2 ათასმა ფიზიკურმა პირმა იჯარით მიიღო 473,1 ათასი ჰა (საშუალოდ 11,8 ჰა), ხოლო 4,2 ათასმა იურიდიულმა პირმა – 432 ათასი ჰექტარი (საშუალოდ 102,9 ჰა).

აღნიშნული მონაცემების შეჯერება გვიჩვენებს, რომ 1992-2003 წლებში ქვეყანაში მოქალაქეთა საკუთრებაში და იჯარით სულ გადაცემულია 1668,1 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ანუ მთელი სავარ-

გულების 55,2%. მათ შორის, სახნავი შეადგენს 659 ათას ჰა-ს (82,5%), მრავალწლიანი ნარგავები – 211,7 ათას ჰა-ს (79,9%), სათიბი – 88 ათას ჰა-ს (61,5%), საძოვარი – 689,6 ათას ჰა-ს (38,4%), საცხოვრებელი, სამეურნეო შენობებითა და ეზოებით დაკავებული – 19,8 ათას ჰა-ს. აღსანიშნავია, რომ საკუთრებაში და იჯარით გაცემულია 870,7 ათასი ჰა (81,9%) სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწის ფართობი, ე.ი. ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უდიდესი ნაწილი.

2003 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, საქართველოში გაუცემელი იყო 1355,7 ათასი ჰა, მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 44,8%. მათ შორის, სახნავი იყო 139,7 ათასი ჰა (17,5%), მრავალწლიანი ნარგავები – 53,2 ათასი ჰა (20,1%), სათიბი – 55,2 ათასი ჰა (38,5%), საძოვარი – 1107,3 ათასი ჰექტარი (61,6%). აქვე შევნიშნავთ, რომ საძოვრების საერთო ფართობიდან 919,4 ათასი ჰა (83%) ალპური საძოვარია.

ზემოთ აღნიშნული მონაცემების განახლება (დაზუსტება) უკანასკნელ წლებში არ მომხდარა. 2005 წელს მიწის მართვის ერთიანი სამსახური გაუქმდა. შემდგომ პერიოდში მიწის აღრიცხვის ორგანიზაცია მოიშალა. საქართველოში მიწის ბალანსი არ დგება. არ არსებობს სრული ინფორმაცია ვინ არის მიწის მესაკუთრე, ან

1 საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწის პრივატიზებისა და იჯარით გაცემის მიმდინარეობის შესახებ 2003 წლის 1 აპრილის მდგომარეობით. გვ. 1-2.

ფორმალურად აღიარებულ მესაკუთრეს რა ფართობი გააჩნია. განვლილ პერიოდში მიწის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებები არ განხორციელებულა. მიწის კოდ-ექსისა და კადასტრის დამუშავება დაწყებული არ არის.

მიწის პრივატიზაციამ ნაკვეთების დაქუცმაცება გამოიწვია. მეურნეობათა 74,5% ერთ ჰექტრამდე მიწას ფლობს „5-10 ჰექტრამდე — 0,9%. ნაკვეთების საშუალო ფართობი შეადგენს 1,22 ჰა, საშუალო რაოდენობა – 2,33. ერთი ნაკვეთის საშუალო ზომი 0,52 ჰა. მეურნეობათა 48,85%-ს 2 ან 3 ნაკვეთიანი ფართობი აქვს, 17,35%-ს – 4-9 ნაკვეთამდე. მიწის ფრაგმენტაციის მაჩვენებლები განსხვავებულია რეგიონების მიხედვით. ასეთი მდგომარეობა ხელს უშლის მიწების ეფექტიანად გამოყენებას. შეზღუდულია სამეურნეო მანევრირების შესაძლებლობები (მასშტაბის ეფექტი), წარმოების პროცესი ძირითადად ხელით შრომას ეყრდნობა, დიდია ვერტიკალური ზონალობის გავლენა.

ამრიგად, განვლილ პერიოდში თვისებრივად შეიცვალა მიწათმფლობელობის წესი (პრინციპი). 2004 წლისათვის პრივატიზებული იყო ვენახის საერთო ფართობის 96%, ხეხილის – 95%, ჩაის – 20,7%, ციტრუსების 57%, დაფნის – 88%, კაკლოვანის – 61%.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დონე. ცხრილიდან (1) ჩანს, რომ 1986-1990 წლების საშუალო წლიურ მაჩვენებელთან შედარებით 2012 წელს ყურძნის წარმოება შემცირდა 4,8 ჯერ, ხილისა – 3,8 ჯერ, ჩაის ფოთლისა – 193-ჯერ, ციტრუსების – 3,7-ჯერ. მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოების ასეთი შემცირება ადასტურებს იმას, რომ აგრარული სექტორის ეს მნიშვნელოვანი რესურსი მინიმალურადც არ არის გამოყენებული, მაშინ, როცა აღნიშნული პროდუქცია ყოველთვის ექსპორტში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

განვლილ პერიოდში, როგორც ცხრილიდან (2) ჩანს, მნიშვნელოვნად შემცირდა ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება – კერძოდ, ხორბლისა – 3,2-ჯერ, ბოსტნეულ-ბალჩეულის 2,2-ჯერ, ერთწლიანი საკვები კულტურების – 37,4-ჯერ. დაბალია მემცენარეობის პროდუქციის წარმოების (მოსავლიანობის) მაჩვენებლები. მაგალითად, 2012 წელს ხორბლის საშუალო მოსავლიანობა არ აღემატებოდა 17 ცენტნერს, ბოსტნეულის – 71 ცენტნერს, სიმინდის – 24 ცენტნერს.

გაუარესდა მეცხოველეობის განვითარების მაჩვენებლები (ცხრილი 3). მაგალითად, ხორცის (დაკლულ ნონაში) წარმოება შემცირდა 4-ჯერ, რძისა – 1,2-ჯერ, კვერცხის – 1,6-ჯერ, მატყლის – 3,6-ჯერ. აღსანიშნავია, რომ წვრილ ოჯახურ მეურნეობაზე მოდიოდა რძის წარმოების 99,5%, კვერცხის წარმოების 39%, ხორცის წარმოების 85,1%, მატყლის წარმოების 96,4%, თაფლის – 100%. ასევეა მემცენარეობის პროდუქციის წარმოების მხრივაც. მაგალითად, 2012 წელს ოჯახურ მეურნეობებზე მოდიოდა ხორბლის წარმოების 94,0%, სიმინდის – 98%, ხილის – 99,7%, ციტრუსების – 99,9%, კარტოფილის – 99%, ყურძნის – 91,5%. ნათესი და მრავალწლიანი ნარგავების ფართობების, მეცხოველეობის სულადობის შემცირების ტენდენცია ჩანს ქვემოთ მოცემული მონაცემებიდან. მაგალითად, ქვეყანაში ნათესი ფართობი 2012

წელს 1990 წლის მიმართ შემცირდა 442,3 ათასი ჰექტრით, მათ შორის, მარცვლოვანი 78,4 ათასი ჰა. ხორბალი – 41,7 ათასი ჰექტრით, ბოსტნეულ-ბალჩეული – 15 ათასი ჰექტრით, საკვები კულტურები – 316,3 ათასი ჰექტრით, სიმინდის ნათესი ფართობი გაიზარდა 7,8 ათასი ჰექტრით.

აღნიშნულ პერიოდში მკვეთრად შემცირდა მრავალწლიანი ნარგავების ფართობი. კერძოდ, ხეხილის – 3,4-ჯერ, ვენახის – 3-ჯერ, ციტრუსების – 2,8-ჯერ, ჩაის ფართობის – 5,4-ჯერ. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა შემცირდა 169,5 ათასი სულით, ღორის 898,4 ათასი სულით, ცხვრისა და თხის 875,5 სულით, ფრინველის – 15,7 მლნ ფრთით.

მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის დაბალი დონე ჩანს განვითარებული ქვეყნების მონაცემების ფონზეც. მაგალითად, 2012 წელს საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული იყო 77 კგ. ხორბალი და სიმინდი. ევროკავშირის ქვეყნებში წარმოებული იყო (2005 წელს) 543 კგ. მარცვალი, აშშ-ში და კანადაში – 1535 კგ. შესაბამისად, კარტოფილის წარმოება საქართველოში – 56 კგ. ევროკავშირის ქვეყნებში – 113 კგ, აშშ-ში და კანადაში – 113 კგ. ბოსტნეულისა – საქართველოში – 44 კგ. ევროკავშირის ქვეყნებში – 149 კგ. აშშ-ში და კანადაში – 103 კგ. ხორცის წარმოება – 9 კგ, ევროკავშირში – 92 კგ. აშშ-ში და კანადაში – 137 კგ. რძისა – 131 კგ, ევროკავშირში – 311 კგ. აშშ-ში და კანადაში – 255 კგ. 2012 წელს საქართველოში ძროხის პროდუქტიულობამ შეადგინა 1256 კგ. ევროკავშირის ქვეყნებში – 6300 კგ. აშშ-ში და კანადაში – 8100 კგ.¹

2012 წელს საქართველოში 100 დედა პირუტყვისგან მიღებულია 79 ხბო, ერთი დედა ღორიდან – 8 გოჭი, 100 დედა ცხვრისაგან – 98 ბატკანი. ამავე წელს დაეცა 92,1 ათასი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 46,4 ათასი ღორი, ცხვარი და თხა – 43 ათასი სული, ფრინველი – 3 მლნ. 217 ათასი ფრთა.

ამრიგად, განვლილ პერიოდში მკვეთრად დაეცა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დონე. სოფლის მეურნეობა არაკონკურენტუნარიანი ნატურალური მეურნეობის პრინციპებით ფუნქციონირებს.

კვების პროდუქტების მოხმარების დონე. 1990-2012 წლებში მკვეთრად შემცირდა ქვეყანაში მოსახლეობის ერთ სულზე კვების პროდუქტების წარმოების მოცულობა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა სასურსათო პროდუქტების მოხმარების დონეზე. როგორც ქვემოთ მოტანილი ცხრილიდან (4) ჩანს, აღნიშნულ პერიოდში ხორცისა და ხორცის პროდუქტების მოხმარება შემცირდა 1,4-ჯერ, რძისა და რძის პროდუქტებისა – 2,25-ჯერ, თევზისა – 2,3-ჯერ, კვერცხისა – 1,4-ჯერ, ბოსტნეულისა – 1,5-ჯერ. თუ ამ მაჩვენებლებს შევუდარებთ მოხმარების რეკომენდებულ ნორმებს, სურათი შემდეგ სახეს მიიღებს. 2012 წელს სურსათის მოხმარების დონე მკვეთრად ჩამორჩება ნორმატიულ მაჩვენებლებს. მაგალითად, ხორცისა და ხორცის პროდუქტებში იგი შეადგენს 46

1 www.google.ge/search?

ცხრილი 1

მრავალწლიანი კულტურების წარმოება (ათასი ტონა) ყველა კატეგორიის მეურნეობაში¹

	1986-1990 ¹	1990 ²	1995	2000 ³	2002	2008 ⁴	2010	2011	2012	რამდენჯერ შემცირდა 1990 წლის მიმართ
ყურძენი	629,5	691	422,4	210	90	175,8	120,7	159,6	144	4,8 ჯერ
ხილი	645,3	591,2	383,9	250	172,6	157,6	124,1	187,3	157,9	3,8 ჯერ
ციტრუსი	259,8	283,1	118	40	33,1	52,2	52,1	54,9	77	3,7 ჯერ
ჩაის ფოთოლი	522,3	501,7	38,5	24	24	5,4	3,5	2,9	2,6	193 ჯერ
თხილი	-	-	-	-	-	18,7	28,8	3,1	24,7	-

1. 1985-1990 წლების საშუალო წლიური. საქართველო ციფრებში 1990. თბილისი 1991. გვ.94
2. 1990-1995 წლები. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული. 1999. გვ.176
3. 2000-2002 წლები. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2003. გვ.215
4. 2008-2012 წლები. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სოფლის მეურნეობა 2012წ

ცხრილი 2

ერთწლიანი კულტურების წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებში (ათასი ტონა)

კულტურების დასახელება	1990 ¹	1995 ¹	2000 ²	2002 ²	2007 ³	2008 ³	2010 ³	2012 ³	2012 წელი 1990 წლის მიმართ
ხორბალი	257,7	76,6	89,4	197	74,9	80,3	48,4	80,7	შემცირდა 3,2 ჯერ
სიმინდის მარცვალი	270,2	386,5	295,9	400,1	295,8	328,2	141,1	267	შემცირდა 1 ჯერ
ლობიო	7,3	14,8		10,7	10,5	11,6	5,8	9,6	გაიზარდა 2,3 ათასი ტონით
კარტოფილი	293,8	353,3	302	415,3	229	193,4	228,8	252	შემცირდა 41,8 ათასი ტონით
ბოსტნეული	443,2	428,3	354,2	405,6	190,3	165	175,7	198,5	შემცირდა 2,2 ჯერ
ბაღჩეული კულტურები	38,8	12,9	80	125,1	73,5	52,8	40,9	36,7	გაიზარდა 2,1 ათასი ტონით
მრავალწლიანი ბალახების თივა	128,2	61,6	32,4	86,1	8,8	30,2	25,9	32	შემცირდა 4 ჯერ
ერთწლიანი ბალახების თივა	185,2	70,4	19,1	48,8	20,5	5	11,2	5	შემცირდა 37,4 ჯერ

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული. 1999. გვ. 176-177
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული. 2003. გვ. 214-215
3. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2012 წ.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობაში (ათასი ტონა)

	1985 ³	1990 ¹	1995 ¹	2000 ²	2002 ²	2007 ³	2008 ³	2010 ³	2012 ³	2012 წელი 1990 წლის მიმართ
ხორცი (დაკლულ წონაში)	166,4	170,3	115,4	107,9	106,9	73	57,3	56,4	42,6	შემც. 4 ჯერ
რძე (მლნ ტონა)	684,4	659,4	475,4	618,9	742,1	624,8	645,8	587,7	589,5	შემც. 1,1ჯერ
კვერცხი (მლნ ცალი)	822,7	769,2	269,4	361,4	408,8	438,1	437,5	444,5	474	შემც 1,6 ჯერ
მატყლი (ფიზიკურ წონაში)	6,3	6,2	3,1			2,2	1,9	1,7	1,6	შემც. 3,8ჯერ
თაფლი						2,3	2,4	4,2	4,1	-

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 1999წ. თბილისი გვ. 181
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2004წ. თბილისი გვ. 216
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2012 წელს

მოსახლეობის ერთ სულზე კვების პროდუქტების მოხმარება (კგ)

პროდუქცია	1990 ¹	1995 ¹	2006 ²	2012 ²	რეკომენდებული ნორმა ³
პური და პურპროდუქტები	184,5	153,5	112	109	130
სიმინდი			29	22	-
ხორცი და ხორცის პროდუქტები	36,4	12,5	16,4	26	72
რძე და რძის პროდუქტები	311,3	97,9	162	138	350
თევზი და თევზეული	8	0,56	3,5		18,3
კვერცხი	140	66,1	60	99	241
კარტოფილი	37,3	26,7	44	52	61
ბოსტნეული	81,1	60,8	55	55	135
ხილი				35	77

1. ნ. ჭითანავა გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბილისი. 1997. გვ.339
2. სტატისტიკის ეროვნული სამსახური
3. ი.არჩვაძე ი.არჩვაძე მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტი ქართულ ლარსა და საბჭოთა მანეთს შორის. თბილისი 2010 წელი. გვ.21-22

კგ-ს, რძესა და რძის პროდუქტებში – 212 კგ-ს, თევზის – 14,8 კგ-ს, კვერცხში – 142 კგ-ს, ბოსტნეულში – 80 კგ-ს. ეს მაჩვენებლები გაცილებით ნაკლებია ადგილზე წარმოებულსა და მოხმარების ნორმატიულ მაჩვენებლებს შორის. მაგალითად, მოსახლეობის ერთ სულზე ხორბლის წარმოებასა და მოხმარების ნორმებს შორის სხვაობა შეადგენს 112 კგ-ს. რძესა და რძის პროდუქტებში

219 კგ-ს, ბოსტნეულში – 91 კგ-ს, ხილში – 22 კგ-ს, ხორბალში – 112 კგ-ს, ხორცსა და ხორცპროდუქტებში – 63 კგ-ს. ამასთან, არარეალურია საქართველოში მიღებული სტანდარტი 2300კ/კალორია დღე-ღამეში, მაშინ, როცა საერთაშორისო სტანდარტებით იგი გაცილებით მაღალია. არ არის გამართლებული, რომ ქვეყანაში სიღარიბის დონეს ხელოვნურად ვამცირებთ, იგი 2012

სასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის შედარებითი ანალიზი

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	შედარება 2007 წლის მიმართ	
								2012	2013
სავაჭრო ბრუნვა (მლნ. დოლარი)	6444	7797	5634	6935	9247	1022			
ექსპორტი	1232	1495	1134	1677	2189	2377			
იმპორტი	5212	6302	4500	5257	7058	7842			
სალდო	-3980	-4806	-3367	-3580	-4869	-5465			
სურსათის ექსპორტი	148,4	108,4	147,3	137,6	194,8	211,2			
სურსათის იმპორტი	714,6	784,1	642,3	785,6	986,5	1050			
ხორბალი (მლნ. დოლარი)	139,2	108,9	105,6	174,2	184,3	240			
	6,9	8,3	3,3	7,3	6,1	52			
შაქარი	90,4	66	50,4	74,2	89,7	84,7			
	28,8	7,9	0,3	0,1	-	-			
ხორცი (ფრინველის გარდა)	211	28,4	22,8	26	39,5	51,3			
	-	-	-	-	-	-			
ფრინველის ხორცი	36,2	44,8	37,2	47,9	66,1	69,8			
	-	-	-	-	-	-			
კარტოფილი	12,2	6,0	2,6	0,7	13,9	6,5			
	-	-	-	-	-	-			
მცენარეული ზეთი	30,4	27,6	30,7	48,5	67,0	58,2			
	1,4	1,3	0,2	0,1	2,5	1,7			
ხილი (ციტრუსების გარდა)	12,6	12,9	16,6	26,1	38,4	37,0			
	67,6	39,6	74,4	69,9	134,7	90,1			
ბოსტნეული	32,8	23,7	19,5	32,9	60,5	43,4			
	0,9	1,4	2,7	5,1	4,9	5,9			
თევზი	33,8	38,3	31,4	35,5	42,1	44,3			
	-	-	-	-	-	-			
რძე, რძის ფხვნილი, კარაქი და სხვა	25,2	26,4	19,9	26,3	29,0	30,6			
	-	-	-	-	-	-			
მარგარინი	11,6	16,3	15,8	20,8	27,3	28,5			
	-	-	-	-	-	-			
ბრინჯი	5,6	5,0	5,3	5,9	7,7	5,4			
	-	-	-	-	-	-			
კვერცხი	3,1	2,6	1,7	1,2	1,6	1,3			
	-	-	-	-	-	-			
თხილი	-	-	-	-	-	-			
	65	32	70	75	130	84			
ღვინო	-	-	-	-	-	-			
	29,2	36,9	32,1	39,3	54,1	64,9			

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. მრიცხველი – იმპორტი, მნიშვნელი – ექსპორტი

წელს შეადგენდა 9,7%-ს. სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის დეკემბრის მონაცემებით სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ერთიან ბაზაში სულ 1632403 ადამიანია რეგისტრირებული, რაც მოსახლეობის 36,5%-ს შეადგენს.

ამრიგად, სასურსათო პროდუქტების მოხმარების დონის მკვეთრად შემცირების ტენდენცია საშიშ ხასიათს იძენს.

ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურა და სასურსათო უსაფრთხოება. ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზ-

რუნველყოფაში განმსაზღვრელ როლს გარე ფაქტორი – იმპორტი ასრულებს. მასზე არსებითად დამოკიდებული შიდა ბაზარი (ცხრილი 5). 2007-2012 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სასურსათო პროდუქციის შემოტანა. განსაკუთრებით ეს ეხება 2010-2012 წლებს, როცა აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა 1,3-ჯერ.

2012 წელს სასურსათო პროდუქციის იმპორტი სჭარბობდა ექსპორტს 5-ჯერ, მაშინ, როცა მთლიანად საქართველოში ეს მაჩვენებელი შეადგენდა 3,3-ს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხორბლის იმპორტის მონაცე-

მეტი. 2007 წელს 139,2 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების ხორბალი იქნა შემოტანილი, 2012 წელს – 240 მილიონის. სურსათის იმპორტში ხორბალზე მოდის 23%, შაქარზე – 8%, ხორცზე – 11,5% და ა.შ. თუ ქვეყანაში ექსპორტი-იმპორტის სალდო 2007 წლის – 3980 მლნ. აშშ დოლარიდან 2012 წელს გაიზარდა – 5465 მლნ-მდე (1,4-ჯერ), სასურსათო პროდუქციის მიხედვით – 566 მილიონიდან – 838,8 მლნ-მდე (1,5-ჯერ).

დიდი რაოდენობით ქვეყანაში შემოტანილია ისეთი პროდუქტებიც, რომლის წარმოების ხელსაყრელი პირობები გაგვანია (ბოსტნეული 43,4 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების, კარტოფილი (2011-2012 წლებში) 20,4 მილიონის, ფრინველის ხორცი (70 მლნ.), ხილი (37 მლნ.) და სხვ.). ამასთან, მკვეთრად შემცირდა ექსპორტში ისეთი პროდუქციის მოცულობა, რომლებსაც ტრადიციულად წამყვანი პოზიცია ჰქონდა. მაგალითად, ღვინო, მინერალური წყლები, ხილი, ციტრუსები, ჩაი და სხვ. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა თხილის ექსპორტი, რომელმაც 2011 წელს შეადგინა 130 მლნ. აშშ დოლარი, 2012 წელს – 84 მლნ. აშშ დოლარი.

თანამედროვე მსოფლიოში სასურსათო უსაფრთხოება აღიარებულია როგორც ადამიანის სიცოცხლისთვის აუცილებელი საკვებ პროდუქტებთან ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა და მათი საკმარისად წარმოება.¹ ფიზიკური ხელმისაწვდომობა განიხილება როგორც საკმარისი რაოდენობისა და ასორტიმენტის პროდუქტების არსებობა. ეკონომიკური ხელმისაწვდომობა ნიშნავს იმას, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს იმდენი შემოსავალი, რომ მინიმალურად მაინც შეძლოს სურსათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცების მნიშვნელოვანი პირობაა. სამწუხაროდ, სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში ამ პრობლემას სათანადო ყურადღება არ ექცევა.

საქართველოს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის ამოცანის გადაწყვეტა სულ უფრო დამოკიდებული ხდება გარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე. განსაკუთრებით ეს ეხება მარცვლეულით, მეცხოველეობის პროდუქტით, შაქრითა და მცენარეული ზეთით მოსახლეობის უზრუნველყოფას.

საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის² მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სასურსათო

¹ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდებული ნორმა შეადგენს 2450 კ/კალორიას დღეში. საქართველოში 2003 წლის 8 მაისის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბრძანებით №111, სურსათის კალორიულობა განსაზღვრულია 2300 კ/კალორია, ანუ 150 კ/კალორით ნაკლები. ხორცი მოხმარების მაჩვენებლად მიჩნეულია დღე-ღამეში 80 გრამი (200 გრამის ნაცვლად). რძის ნორმად – 215 გრამი (4,5-ჯერ ნაკლები), ბოსტნეულის – 182 გრამი (370 გრამის ნაცვლად), შაქარი – 55 გრამი (100 გრამის ნაცვლად). პურის მოხმარების ნორმა გაზრდილია 350 გრამიდან 400 გრამამდე (შაზოგადობა. გეპოსტიდ=894).

² საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. თბ., 2005, გვ. 265-268.

უსაფრთხოების დონის განსაზღვრისთვის მოსახლეობისთვის დასმულ კითხვას „ყოფილა თუ არა ბოლო 12 თვის მანძილზე შემთხვევა, როდესაც შინამეურნეობა არ იყო უზრუნველყოფილი იმ საკვებით, რომელსაც ჩვეულებრივ მოიხმარს“ საქართველოს შინამეურნეობების 70,8%-მა უპასუხა „დიახ“. 28,9%-მა – უპასუხა „არა“. 0,3%-მა – პასუხი არ გასცა. მკვეთრად განსხვავებულია პასუხები რეგიონების მიხედვით. აღნიშნულმა მაჩვენებელმა აჭარაში შეადგინა 65,1% (ქედაში 97,2%, შუახევის რაიონში – 41,8%). შესაბამისად, გურიაში – 82,1%, იმერეთში – 79,7%, კახეთში – 73%, მცხეთა-მთიანეთში – 80,3%, შიდა ქართლში – 84,4%. ქვეყნის საერთო მაჩვენებელზე დაბალი იყო დანარჩენი რეგიონების მონაცემები.

ექსპერტთა გათვლით საკვები რაციონის ენერგეტიკული ღირებულების 60%-ზე მეტი პურპროდუქტებზე მოდის, ხორცის – 3,5%-ს არ აღემატება. მოსახლეობა ძირითადად პურით იკვებება (განვითარებულ ქვეყნებში პურის წილი საკვებ რაციონში 12-15%-ს არ აღემატება). გაეროს მსოფლიო მოსახლეობის ორგანიზაციის მონაცემებით (2011 წ.) საქართველოს მოსახლეობის 13%-ს (600 ათას კაცს) დღეში შეეძლო დაეხარჯა მხოლოდ 1,25 დოლარი. მათი რიცხვი იმ პერიოდში შეადგენდა: სომხეთში – 4%, აზერბაიჯანში, რუსეთში, ყაზახეთში, მოლდავეთში – 2%. საქართველო სურსათის მოხმარების მაჩვენებლებით იმ ქვეყნებში შორის აღმოჩნდა, სადაც დაფიქსირდა მიმშილობის საშუალო დონე.

ზემოთ აღნიშნული ადასტურებს, რომ საქართველოში სასურსათო უსაფრთხოება მაღალ რისკებთანაა დაკავშირებული (გაეროს რეზოლუციის შესაბამისად (1974 წ.) ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება რისკის ქვეშ ითვლება თუ მოხმარებული პროდუქტის 20%-ზე მეტი იმპორტირებულია). საქართველოში ეს მაჩვენებელი შეადგენს 70-80%-ს.³

საინჟინრო-ტექნიკური მომსახურება. აგრარული სექტორის ეფექტური ფუნქციონირება არსებითად დამოკიდებულია საინჟინრო-ტექნიკური მომსახურების დონეზე, რომლის ორგანიზაციის ფორმას განსაზღვრავს ქვეყნის (რეგიონის) ბუნებრივ-საწარმოო პირობები, სპეციალიზაციის მიმართულებები, კონცენტრაციის დონე, კადრების კვალიფიკაცია, კოოპერაციის ფორმები და სხვ.

აგრარული სექტორის საინჟინრო-ტექნიკური მომსახურება 1991 წლამდე ცენტრალიზებული იყო „საქსოფლტექნიკაში“, რომელსაც გააჩნდა თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კვალიფიციური კადრები, მანქანა-ტრაქტორთა პარკი. ამ პერიოდში სოფლის მეურნეობას ემსახურებოდა 28,8 ათასი ტრაქტორი, 18 ათასზე მეტი სატვირთო ავტომანქანა, 9 ათასამდე სატრაქტორო მისაბმელი, 1,4 ათასი კომბაინი, 1,5 ათასამდე საკვები კულტურების ასაღები კომბაინი, 4 ათასზე მეტი სატრაქტორო კულტივატორი, 4 ათასამდე შემასხურებელი და გამრფქვევი ტექნიკა. სულ 200-მდე მარკისა და დასახელებისა.⁴

³ საქართველო. ჩვენი ფასეულობანი. სოფლის მეურნეობა. თბ., 2013. გვ. 43.

⁴ საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები. თბ., 1999. გვ. 483.

1991-2012 წლებში „საქსოფლტექნიკის“ და შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მანქანების, ტრაქტორების პარკი, ინფრასტრუქტურა მოიშალა, გაიძარცვა, გასხვისდა (ძირითადად ჯართის სახით), ნაწილი კი ფიზიკურად და მორალურად გაცვდა. სასოფლო-სამეურნეო წარმოება დღეს ფაქტობრივად ეფუძნება ხელით შრომას, ცოცხალ გამწვევ ძალას, ნატურალური მეურნეობის გაძლიერების პრინციპს. ეს დასტურდება საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალებით, რომლის მიხედვით 730 ათასი მეურნეობიდან სხვადასხვა სახის ტრაქტორი გამოიყენა მხოლოდ 52,3%. ხელის ტრაქტორი (მოტობლოკი) – 7,4%, კომბაინი – 10,8%, სატვირთო ავტომობილი 23,8%, სხვა ტიპის ავტომობილი 10,4%.¹

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში 1990 წლამდე გამოშვებული ტრაქტორების რაოდენობა შეადგენდა 9843 ერთეულს (65,2), რომლის ნარჩენი რესურსი ექსპერტთა დასკვნით არ აღემატება 20-25%-ს.

ამრიგად, აგრარული სექტორის საინჟინრო-ტექნიკური მომსახურების დონე უკიდურესად დაბალია, რაც ზღუდავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას.

გადამამუშავებელი მრეწველობა. საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრუქტურა, განვითარების მასშტაბი, ტემპები განსაზღვრავენ ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის დაბალანსებულ ფუნქციონირებას. 1990 წელს საქართველოში კვების მრეწველობის საწარმოებზე მოდიოდა ეროვნული მრეწველობის საერთო პროდუქციის 36,9%. ამავე პერიოდში ფუნქციონირებდა ჩაის 184 (700 ათ. ტონაზე გაანგარიშებით) ფაბრიკა, 44 საკონსერვო ქარხანა (100 ათასი ტონის გადამამუშავებით), 104 ლვინის პირველადი და მეორადი ქარხანა 600 ათასი ტონის გადამამუშავებით, 28 მეურნეობა-ქარხანა, რომელიც ეთერზეთებს აწარმოებდა. ფუნქციონირებდა ლუდის 17, ხორცისა და ხორცპროდუქტების 29, რძის 40, უალკოჰოლო სასმელების 17, საკონდიტრო ნაწარმის 4 ქარხანა, პურის ქარხნები აწარმოებდნენ 800 ათას ტონას, კომბინირებული საკვების საწარმოები უშვებდნენ 1 მლნ ტონა პროდუქციას.² ამ პერიოდში ფქვილის წარმოება 1 მლნ ტონას შეადგენდა.

1991-2012 წლებში კვების მრეწველობის საწარმოების უმრავლესობამ ფუნქციონირება შეწყვიტა. მათი საწარმოო სიმძლავრეების დიდი ნაწილი (ძირითადად დანადგარ-მოწყობილობები) ჯართის სახით საზღვარგარეთ გაიყიდა, არსებული შენობები დაიშალა, კვალიფიციური კადრები გაიფანტა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ნედლეულის) წარმოების მკვეთრმა შემცირებამ კვების მრეწველობის სიმძლავრეებზე მოთხოვნის მყისიერი დაცემა გამოიწვია. **ამჟამად კერძო ინიციატივაზე ფუნქციონირებადი მცირე სიმძლავრის ერთეული საწარმოები ვერ უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის გაფართოებულ კვლავწარმოებაზე გადასვლას.**

1 საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. თბ., 2005. გვ. 251-255.

2 საქართველო, ჩვენი ფასეულობანი. სოფლის მეურნეობა. თბ., 2013. გვ. 35.

სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია. ქვეყნის ტერიტორიის ბუნებრივ-საწარმოო პირობების მრავალფეროვნება ვლინდება სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ნიადაგები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულია, არათანაბრად არის განაწილებული წყლის რესურსები. განსხვავებულია მიკრო ზონების, ვერტიკალური ზონალობის მაჩვენებლებიც და სხვ. ქვეყნის ტერიტორიის აღმოსავლეთის და სამხრეთის ნაწილებში მორწყვის, დასავლეთში (კოლხეთის დაბლობი) დაშრობის (დრენაჟის) აუცილებლობა ერთი მხრივ, მეორე მხრივ, დასავლეთ საქართველოში წყლის რესურსების 2/3 არსებობა, ართულებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მელიორაციული ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელებას.³ 1988 წელს 460 ათას ჰა-ს შეადგენდა სარწყავი მიწის ფართობი, საიდანაც რეალურად შესაძლებელი იყო 412 ათასი ჰა-ს მორწყვა. ფაქტობრივად ირწყვებოდა 380 ათასამდე ჰა.⁴

საქართველოში (სტატისტიკური მონაცემებით) ირიცხება 220 სარწყავი სისტემა. აქედან 135 (62%) – ფართობით 0,5 ათას ჰა-მდე და 10 (5%) – 10 ათას ჰა-მდე მეტი ფართობით. გასარწყავების პოტენციალი 480 ათასი ჰექტარია. არსებული სარწყავი სისტემების სრული რეაბილიტაციის შემთხვევაში შესაძლებელია 300 ათასი ჰექტარის მორწყვა. 2012 წელს მოიწერა 24 ათასი ჰა. ფართობი.⁵

საქართველოში დაჭაობებული ნიადაგების პრობლემა ყოველთვის იდგა. ათეული წლების მანძილზე შესაბამისი ღონისძიებათა განხორციელებით 220 ათასი დაჭაობებული ნიადაგიდან 1990 წლისათვის დაშრობილი იყო 160 ათასი ჰა. აქედან, 130 ათასი ჰა გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. ამჟამად არასრული ინფორმაციით ათვისებული 30 ათასი ჰა განიცდის მეორად დაჭაობებას. ასევე, ექსპერტთა აზრით, შეინიშნება გარე კახეთში გაუდაბნოების პროცესი. 1991 წლიდან მელიორაციის განვითარება სახელმწიფოს მხრივ უყურადღებოდ დარჩა. თუ 1989-1990 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დარგის განვითარებისთვის გამოყოფილი იყო წლიურად 45 მლნ ამერიკული დოლარის ექვივალენტი თანხები,⁶ 1993-2006 წლებში იგი 1,5 მლნ დოლარამდე შემცირდა. უფრო დამძიმდა მდგომარეობა 2007 წელს მელიორაციის დეპარტამენტის გაუქმების და მის ბაზაზე 4 სახელმწიფო შპს-ს შექმნის შემდეგ (2012 წელს ჩამოყალიბდა სამელიორაციო სისტემების კომპანია).

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მელიორაციული სისტემებით უზრუნველყოფის დონის მხრივ საქართველო დიდად ჩამორჩება არა მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს, არამედ 80-იან წლებში მიღწეულ დონესაც.

3 სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მონაცემები.

4 საქართველო, ჩვენი ფასეულობები. სოფლის მეურნეობა. თბ., 2013. გვ. 36.

5 სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მონაცემები.

6 იქვე.

აგრარული სექტორის განვითარების ფინანსური უზრუნველყოფა. ტრანსფორმაციული პროცესების მთელ მანძილზე აგრარული სექტორი განიცდიდა ფინანსების ნაკლებობას. უფრო სწორად, მას განვითარებისთვის მინიმალურ დონეზეც არ ჰქონდა იგი. საქართველოს აგრარული სექტორი ტრადიციულად მიმზიდველი არ აღმოჩნდა საფინანსო სისტემებისა და ინვესტიციებისთვის. 1990-2012 წლებში საბანკო სექსებში სოფლის მეურნეობის წილი 2%-მდე იყო. ფაქტობრივად სოფლის მეურნეობა დაკრედიტების მიღმა დარჩა. გარდა ამისა, მაღალი იყო საპროცენტო განაკვეთები. ექსპერტთა გაანგარიშებით 2010 წელს საშუალო წლიური შენონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან საბანკო კრედიტებზე 25%-ს შეადგენდა, გრძელვადიანი – 22,8%-ს. მაქსიმალური განაკვეთი საბანკო სექტორში 36%-ს აღწევდა, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში – 48%-ს, რაც 3,5-ჯერ აღემატებოდა ევროკავშირის ტერიტორიაზე არსებულს. საქართველოში საპროცენტო განაკვეთები გაცილებით მეტი იყო პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის. მაგალითად, 2010 წელს იგი შეადგენდა: სომხეთში 19,2%-ს. აზერბაიჯანში – 20,7%-ს, ბელარუსში – 9,2%-ს, ლატვიაში – 9,6%-ს, ლიტვაში – 8,4%-ს, ესტონეთში – 7,8%-ს, რუსეთში 10,8%-ს, უკრაინაში – 15,9%-ს, საქართველოში – 24,2%-ს. მიკრო და სპეციალიზებული საკრედიტო ორგანიზაციების წილი აგრარული სექტორის დაკრედიტებაში უმნიშვნელოა. განვლილ პერიოდში ასევე უმნიშვნელო იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილიც. მაგალითად, მან შეადგინა 2000 წელს – 0,4%, 2003 წელს – 0,03, 2007 წელს – 0,8%, 2008 წელს – 0,5%, 2010 წელს – 1%, 2011 წელს – 1,3%, 2012 წელს – 1,7%. ტრანსფორმაციულ პროცესებში მყოფი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი დარგებისათვის ფინანსური მხარდაჭერის დაბალი დონე უნდა აიხსნას რამდენიმე მიზეზით. **ჯერ-ერთი**, საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში სახელმწიფომ სწორად ვერ გააცნობიერა ექსტრემალურ პირობებში საკუთარი ეკონომიკური როლი და საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური სტრუქტურების კარნახით მათგან განსხვავებული ფუნქცია დაეკისრა სტიქიურად ფორმირებად საბაზრო მექანიზმებს. ლოგიკური შედეგიც დადგა – ეროვნული ეკონომიკა და მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მდგენელი – სოფლის მეურნეობა სისტემურ კრიზისში შევიდა და სოფლის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური ფენომენის, სტერეოტიპის მსხვერვა გამოიწვია. **მეორე**, იგრძნეს რა სახელმწიფოსგან ეკონომიკის საერთოდ, კერძოდ, აგრარული სექტორისადმი გულგრილი დამოკიდებულება, ფორმირებდნენ საბანკო სისტემამ მთელი ყურადღება „მღვრიე წყალში“ საკუთარი პოზიციების განმტკიცებაზე გადაიტანა და სოფლის მეურნეობის მიმართ მომხმარებლური დამოკიდებულება წესად აქცია. **მესამე**, სოფლის მეურნეობა მზად არ აღმოჩნდა არსებული რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებისთვის. ნაცვლად გადარჩენილი პოტენციალის კონცენტრაციისა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დამკვიდრდა ჯერ კიდევ შემორჩენილი ფონდების მასობრივი ძარცვა, საწარმოების შენობა-ნაგებობების დაშლა, ტექნიკის, პირუტყვის და სხვა ქონების განიავება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოება მატერიალურ-

ტექნიკური ბაზის და ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე დარჩა.

შრომითი რესურსები. ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას სხვა ფაქტორებთან ერთად, აფერხებს დარგის შრომითი რესურსებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები. აკადემიკოს **ლეო ჩიქავას** გაანგარიშებით, დემოგრაფიული განვითარების ნეგატიური ტენდენციები გამოიკვეთა რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, მცხეთა-მთიანეთში. 1990-2012 წლებში სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი შემცირდა 16-ჯერ. სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა 364,3 ათასი კაცით. შემცირება ყველა რეგიონში მიმდინარეობს (გამონაკლისია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი, სადაც აფხაზეთიდან დევნილთა მშენებლობის ნაწილი ცხოვრობს). განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა საქართველოს მთის ზონაში. რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში სოფლის მოსახლეობა 2012 წელს 1990 წელთან შედარებით შემცირდა 23,5%-ით. მათ შორის, ონში 35%, ამბროლაურში 27,4%. **საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით ქვეყანაში 162 ნასახლარიანი სოფელი აღირიცხა. ამათგან 152 სოფელში ცხოვრობდა (საშუალოდ) 10 კაცზე ნაკლები. 905 სოფელში (ანუ 25%-ში) 100 კაცამდე ცხოვრობს. ზოგიერთ სოფელში მხოლოდ 2-3 მოსახლეა დარჩენილი.** პირიქითა ხევესურეთის სოფელ ახილოში 1886 წელს 240 კაცი ცხოვრობდა, ამჟამად ცხოვრობს 6 კაცი.¹ აკადემიკოს **ლეო ჩიქავას აზრით, საქართველოში 1990-2012 წლებში მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების მაჩვენებელი 55,5%-ით გაიზარდა და მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს 20%-ით აღემატება.** იგი განსაკუთრებით მაღალია რაჭაში, სადაც 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის ხვედრითი წილი ჯერ კიდევ 2002 წელს შეადგენდა 29%-ს, მაშინ, როცა შრომისუნარიან ასაკს მიღწეულთა ხვედრითი წილი 16%-ს, ხოლო შრომისუნარიანი ასაკისა – 55%-ს არ აღემატებოდა. სასოფლო-სამეურნეო წარმოება უზრუნველყოფილი არ არის კვალიფიციური სპეციალისტებით. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა შეიცვალა. 2004 წელს 16 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი სოფლის მოსახლეობაში შეადგენდა 21,5%-ს, 2009 წელს 18,2%-ს. 2012 წელს სოფლის 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობიდან დაქირავებულ შრომას ეწეოდა 8,4 ათასით ნაკლები, ვიდრე 1998 წელს. ხოლო თვითდასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 106,1 ათასი კაცით. უმუშევართა დონე 3,8-დან გაიზარდა 7%-მდე. ეს მაჩვენებლები რეალურ მდგომარეობას არ ასახავენ (უმუშევრობის განსაზღვრის ამჟამინდელი მეთოდოლოგია, ექსპერტთა აზრით, სრულყოფას საჭიროებს).

სოფლის მეურნეობაში დაბალია შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი. მაგალითად, 2009 წელს ეს მაჩვენებელი ქვეყანაში საშუალოდ ერთ დასაქმებულზე შეადგენდა 10,8 ათას ლარს, სოფლის მეურნეობაში შეად-

¹ საქართველო, ჩვენი ფასეულობები. სოფლის მეურნეობა. თბ., 2013. გვ. 298

აპარული სექტორის კონსოლიდაცია

გინა 1,4 ათასი ლარი, ხოლო მეურნეობის სხვა დარგებში 27 ათასი.

თუ 1998 წელს სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერება შეადგენდა ქვეყნის საშუალო მაჩვენებლის 45%-ს, 2009 წელს შეადგინა 13%.¹

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი თავისებურებაც. სოფლის მეურნეობაში შრომითი რესურსების ნორმატიული სიდიდე 450-500 ათას კაცს შეადგენს. ფაქტობრივად კი 1712 ათასი კაცია, ე.ი. ერთ ჰექტარ ინტენსიურ სავარგულზე საშუალოდ 1,5 წლიური მუშაკი მოდის, მაშინ, როცა ნორმატიული კოეფიციენტი 0,4-0,45 შეადგენს.²

შრომის მწარმოებლობის აღნიშნულ მაჩვენებელს თუ შევადარებთ განვითარებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს, დავრწმუნდებით თუ როგორ ჩამოვრჩებით განვითარებაში. მაგალითად, ისრაელში ერთი ფერმერი კვებავს 97 კაცს, ამერიკელი – 79, ევროპელი (საშუალოდ) – 67, უკრაინელი – 17,4, რუსეთში – 14,7, საქართველოში ეს მაჩვენებელი შეადგენს 0,85.³

განვიხილოთ პერიოდში მოიშალა მეთესლეობის, სარგავი მასალის, სანაშენო საქმის ორგანიზაციის საფუძველი. სამეცნიერო დაწესებულებები გაუქმდა ან გარდაიქმნენ უსტატუსო ჯგუფებად, ფაქტობრივად, უკანასკნელი 10 წლის მანძილზე სამეცნიერო-კვლევითი საშუალებები არ ტარდება. სამეცნიერო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (მინის ფართობები, შენობები, ტექნოლოგიური მოწყობილობები გაიყიდა). ფაქტობრივად შეწყდა აგრარული სექტორისთვის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება.

აგრარული სექტორის ორგანიზაციულ-მმართველობითი სისტემა (მენეჯმენტი) მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების ადეკვატური არ არის.

აგრარულ სექტორში ჩამოყალიბებული კვლავწარმოების ტიპი (შეკვეცილი კვლავწარმოება) ინტეგრაციის შიდაკავშირებს შლის, აღრმავებს წინააღმდეგობებს, ხელს უწყობს მომიჯნავე დარგების (სანარმოების) პარალიზებას, საბოლოოდ უმუშევრობას, შემოსავლების შემცირებას, სოფლად სოციალურ დაძაბულობას.

ამრიგად, ქვეყნის აგრარული სექტორის ტრანსფორმაციის ძირითადი ნიშნების თავისებურებებისა და ტენდენციების ანალიზი ადასტურებს, რომ უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული გარდაქმნების შედეგად გაჩანაგდა აგრარული მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოიშალა ორგანიზაციული საფუძველი, სანარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა, კოოპერაციული ურთიერთობები. დაბალია პროდუქტიულობა, სუსტია საკანონმდებლო ბაზა. სოფელს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტატუსიც არ აქვს. სოფლები დაცარიელდა. პარალიზებულია აგრარული სამეცნიერო და საგანმანათლებლო სისტემა. მიწების პრივატიზებისას დაშვებული შეცდომების გამო მიწები დანაწევრდა. გლეხი მეურნეობის გაძლიერების

თანამედროვე ცოდნას (ჩვევებს) ვერ იძენს. დაქვეითდა ეკონომიკური მოტივაცია, შიდა ბაზარი დაცული არ არის სასურსათო ინტენვენციისგან. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, აგრარული სექტორი განვითარებაში ჩამორჩა. იგი კვლავწარმოების შეკვეცილი ფორმით ფუნქციონირებს. ნიშანდობლივია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა 2012 წელს შეადგენდა 1990 წლის მხოლოდ 37,3%-ს. სოფლის მეურნეობას მშპ სტრუქტურაში უჭირავს 8,6%, მაშინ, როცა დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტი ამ სფეროში მუშაობს. განვიხილოთ პერიოდში მკვეთრად შემცირდა სასურსათო პროდუქტების მოხმარების დონე. სოფლის მეურნეობიდან მიღებული საშუალო თვიური შემოსავალი 2012 წელს სოფლად შინამეურნეობის ერთ სულზე შეადგენდა 19,4%-ს. სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს.

ეს მონაცემები ადასტურებენ, რომ აგრარულ სექტორში წარმოების ყველა ფაქტორი (მიწა, შრომა, კაპიტალი, მენარმეობრივი უნარი, ინტეგრირებული ცოდნა, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება) დეფორმირებულია, რაც ხელს უწყობს კრიზისის გახანგრძლივებას და დეგრადაციული პროცესების შემდგომ გაღრმავებას.

ზემოთ მოცემული ანალიზიდან კარგად ჩანს რომ ქვეყნის აგრარულ სექტორში შექმნილი კრიზისული მდგომარეობა არასტანდარტულია (მას ისტორიული ანალოგი არა აქვს), ამიტომ ბუნებრივია, მოითხოვს არასტანდარტულ მიდგომებს და მითუმეტეს მოქმედებას, აპრობირებულ და ექსკლუზიურ ღონისძიებათა სისტემის ჩამოყალიბებას, განვითარების ქვეყნის ინტერესებს მისადაგებული სტრატეგიის, შემუშავება-განხორციელებას. სხვანაირად დეფორმირებული საბაზრო მექანიზმების იმედით სახელმწიფოს მრავალმხრივი (პოლიტიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციული და სხვ.) და მთელი საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე საქართველოს აგრარული სექტორი დაკარგავს მის ძირითად ფუნქციას, ქართული სახელმწიფო – მის უმთავრეს საძირკველს – სოფელს.

აგრარული სექტორის კრიზისიდან გამოყვანის დაჩქარების წინაპირობები და რესურსები

აგრარულ სექტორში შექმნილი ვითარება განსაკუთრებული ზომების (ღონისძიებების) განხორციელებას მოითხოვს. სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა აგრარული სექტორის კომპლექსური განვითარებისთვის, მხოლოდ საბაზრო მექანიზმებს, მით უმეტეს თავად ფორმირებადს, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, არ შეუძლია დააჩქაროს სოფლის მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანა. განვითარების პროცესი საჭიროებს პროგრამულ მართვას. ამიტომ, აუცილებელია შედგეს აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების კომპლექსური პროგრამა 2020 წლამდე პერიოდისთვის. მან პასუხი უნდა გასცეს 3 უმთავრეს კითხვას: განვითარების რომელ სტადიაზეა ქვეყნის სოფლის მეურნეობა (ამას სჭირდება არსებული მდგომარეობის სისტემური ანალიზი), როგორია კრიზისიდან გამოსვლისა და სტაბილურ განვითარებაზე

1 საქართველო, ჩვენი ფასეულობები. სოფლის მეურნეობა. თბ., 2013. გვ. 322

2 იქვე, გვ. 324

3 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №199. 17 ოქტომბერი 2012 წ.

გადასვლის დაჩქარების ფაქტორები (სტრატეგიული მიზნის შესაბამისად) და როგორ შეიძლება მივალნიოთ დასახულ მიზანს (ეტაპების, ამოცანების, რესურსების, მექანიზმების განსაზღვრა).

აგრარული სექტორის განვითარება უნდა მივიჩნიოთ ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება-განმტკიცების ერთ-ერთ განმსაზღვრელ პირობა-ფაქტორად. საკითხის ასე დასმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ აგრარული სექტორის კომპლექსური განვითარების მნიშვნელობა განისაზღვრება არა მხოლოდ მისი ექსკლუზიური ფუნქციებით (ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფა), არამედ იმითაც, რომ მისი განვითარების მასშტაბებზე არსებითად დამოკიდებული ეროვნული ეკონომიკის ახალი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება. კერძოდ, სასოფლო მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის, კვების მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, ტრანსპორტის, საგზაო მეურნეობის, ტურიზმის, ვაჭრობისა და სხვა დარგების განვითარება. აგრარული სექტორი ორიენტირებული უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა, ხელმისაწვდომ და მაღალი საკვები ღირებულების პროდუქციის წარმოებაზე. ეს არის მომავალში კონკურენტუნარიანობის ამაღლების ყველაზე საიმედო გზა.

ეკონომიკის ეროვნული თავისებურებების (ტრადიციების) და მსოფლიოს პროგრესული სამეურნეო გამოცდილების შეხამება (სინთეზი) უნდა იყოს განვითარების ამოსავალი პრინციპი (არც ეროვნულ ნაჭურჭში ჩაკეცვა და არც ეროვნული ნიადაგისაგან მონყვეტა).

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ბუნებრივ-საწარმოო პირობები მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის დამახასიათებელ თავისებურებათა უარყოფით გავლენას წარმოების მასშტაბებზე, სეზონურობაზე, პროდუქციის წარმოებასა და დასაქმებას შორის წყვეტილობაზე, ტექნიკის გამოყენებაზე, შემოსავლების განსაზღვრაზე, სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დონეზე, მიზანშეწონილია აგრარული სექტორის განვითარების პრობლემები გადაწყვედეს კომპლექსურად.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს სოფლად სოციალური პრობლემების გადაწყვეტა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოფლად სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად ახალი მიდგომებია საჭირო. არ გამოდგება სოფლის ქალაქად გარდაქმნის ჩვენეული პრაქტიკა. ცნობილია, რომ წლების მანძილზე ქალაქის გაფართოებისთვის სოფლების მათთვის ტერიტორიულად მიკუთვნების ფორმა სჭარბობდა. სოფელი ქალაქის ტიპის დასახლებად ცხადდებოდა შესაბამისი ინფრასტრუქტურის გარეშე. სოფელი შეიძლება იყოს ქალაქის ტერიტორიაზე, მაგრამ მან უნდა შეინარჩუნოს მისთვის დამახასიათებელი სახე. არც ე.წ. უპერსპექტივო სოფლების მიმართ XX საუკუნის 40-იან წლებში განხორციელებული პოლიტიკა უნდა გავიმეოროთ. პრინციპული მნიშვნელობა აქვს სოფლად დემოგრაფიული მდგომარეობის გაჯანსაღებას და ადგილზე ახალგაზრდობის დამაგრებას. სოფლად

მცხოვრებს სწავლის, მეურნეობის გაძლიერების თანამედროვე მეთოდების, ახალი ტექნოლოგიების ათვისებას, საერთოდ, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

ქართული სოფელი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ფენომენი ყოველმხრივ უნდა განვამტკიცოთ.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მოსალოდნელია ახალი ტენდენციების წარმოშობა. მხედველობაში გვაქვს რურალიზაცია – ქალაქის მოსახლეობის საცხოვრებლად სოფლად გადასვლის პროცესი, რომელმაც მნიშვნელოვანი მასშტაბები შეიძინა განვითარებულ ქვეყნებში. XX საუკუნის 70-იან წლებში აშშ ქალაქიდან სოფლად გადავიდა 10 მლნ. -ზე მეტი კაცი. პრაქტიკა ადასტურებს, რომ მომავალში ურბანიზაციის პროცესს რურალიზაცია ჩაანაცვლებს. ეს წინააღმდეგობრივი პროცესია. მომავალში გონებრივი შრომის ადამიანების კონცენტრაცია რეგიონების მიხედვით უნდა გადანაწილდეს. ამ საქმეში ოჯახური მეურნეობის როლი ეჭვს არ იწვევს.

რურალიზაციის პროცესს დააჩქარებს ცხოვრების დონის ამაღლება. პენსიების, თუნდაც საარსებო მინიმუმის დონეზე გაზრდა, სოფლად საწარმოო და სოციალური სფეროს გაჯანსაღების პროცესი და სხვ. მნიშვნელოვნად დააჩქარებს ქალაქის მოსახლეობის გადასვლას სოფელში განსაკუთრებით, სადაც ქალაქის მცხოვრებელს მინის ნაკვეთი, მითუმეტეს საცხოვრებელი ფართი აქვს. ასეთი კატეგორიის ადამიანები ბევრნი არიან. ქ. თბილისის, რუსთავის, ქუთაისის გარშემო ადრინდელი მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ბაზაზე არსებული ასეულობით ჰა მიწის ნაკვეთი (ბევრგან საცხოვრებელი ფართით) ფაქტობრივად გამოუყენებელია. უფრო მეტიც, სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი დედაქალაქში დროებით სამუშაოს ძიებაში კარგავს დროს ან ეწევა არანაყოფიერ საქმიანობას. ეს საშიში მოვლენაა, რომელიც დროულად მოითხოვს მონესრიგებას.

ყოველივე აღნიშნული მიახიშნებს, რომ რურალიზაციის პროცესს სახელმწიფოებრივი რეგულირება სჭირდება.

გასათვალისწინებელია, რომ თანამედროვე პირობებში აგრარული სექტორი წარმოადგენს რთულ მრავალსუბიექტიან ორგანიზაციულ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც საჭირო ეფექტს მხოლოდ მაშინ იძლევა, როცა მთელი კვლავწარმოებითი პროცესის ყველა სტადიაზე კომპლექსურად და თანმიმდევრულად გამოიყენება რესურსული პოტენციალი. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ განვითარების პროცესში სწორად შევარჩევთ იმ მთავარ ფაქტორს, რომელზეც დაყრდნობით შესაძლებელია პროცესში მონაწილე სუბიექტების საქმიანობის ეფექტიანი კოორდინაცია. დღევანდელ პირობებში ასეთ ფაქტორად მიგვაჩნია ორგანიზაციულ-მმართველობითი ფაქტორი. იგი სხვა ფაქტორთა (რესურსების) ურთიერთმოქმედების, ურთიერთგანპირობებულობის დონით, განვითარების მიზნისა და მისი განხორციელების საშუალებათა კოორდინაციით ასრულებს მარეგულირებელ ფუნქციებს და განაპირობებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზანმიმართულ ხასიათს.

ერთი მხრივ გლობალიზაციის გავლენით აგრარულ

აპარული სექტორის კონსოლიდაცია

სექტორში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შეუქცევადი ხასიათი, მეორე მხრივ ადამიანის კეთილდღეობის დონის ამაღლების აუცილებლობა მოითხოვს მართვის (რეგულირების) მაღალ ორგანიზაციას.

ჩვენი აზრით, აგრარული სექტორის განვითარება უნდა წარმოადგინოს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით.

მინის მართვის ორგანიზაცია. მინის რესურსების დაცვაზე სახელმწიფო მონიტორინგი სრულად უნდა განხორციელდეს. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს მინების აუცილებელი მარაგი. უცხოელ პირებზე და იურიდიულ პირებზე მინის გაყიდვა უნდა შეწყდეს. მათ საჭიროებისას შეიძლება მინები გადაეცეთ საარენდო პირობებით. მინის რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნით აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა. მინის სავარგულების რაციონალურად გამოყენებისა და მათი სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად ორგანიზაციულ-სამართლებრივი რეგულირების უზრუნველყოფის მიზნით უნდა შეიქმნას მინის მართვის სახელმწიფო სტრუქტურა. იგი შეიძლება იყოს მინის მართვის კომიტეტი, სააგენტო, დეპარტამენტი და სხვ. ასევე რეგიონებში უნდა იყოს შესაბამისი სამსახურები, ე.ი. ქვეყანაში უნდა ფუნქციონირებდეს ერთიანი ორგანიზაციულ-მმართველობითი სისტემა, რომელთა უფლება-მოვალეობანი ადეკვატურად უზრუნველს საქართველოში მინის რეგულირებით ჩამოყალიბებულ ახალ გამოწვევებს. პრობლემის სიმწვაისა და მასშტაბურობის გათვალისწინებით მინის მართვის (რეგულირების) სისტემა მიზანშეწონილია ფუნქციონირებდეს ავტონომიურად და უნდა ექვემდებარებოდეს ქვეყნის მინისტრთა კაბინეტს ან პარლამენტს.

რეგიონების თავისებურებების მიხედვით, მიზნობრივი პროგრამებით უნდა განხორციელდეს მინის სავარგულების (საკუთრების ფორმების მიუხედავად) დაცვისა და ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებანი. ამ მიზნით უნდა დამუშავდეს 15-20 წელზე გათვლილი მინების დაცვისა და მათი ეფექტიანობის ამაღლების სახელმწიფო კომპლექსური პროგრამა.

იმის გათვალისწინებით, რომ მინის სავარგულების გამოყენების აღრიცხვა მოუწესრიგებელია, არ ხდება ნიადაგის საფარის შესწავლა-ანალიზი, მისი ეკონომიკური შეფასება, მინის ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენა, აუცილებელია დამუშავდეს მინის კოდექსი და კადასტრი, რომლებიც მოიცავენ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ მინის ფონდს (საკუთრების ფორმების მიუხედავად). კადასტრი, რომელიც იძლევა მონაცემებს მინების ბუნებრივ, სამართლებრივ და სამეურნეო მდგომარეობის შესახებ, საფუძვლად უნდა დაედოს თანამედროვე პირობებში საადგილმამულო ურთიერთობების რეგულირებას, საგადასახადო და საინვესტიციო პოლიტიკას, მინის რესურსების დაცვას, მიწათმონყობას და მინის გამოყენების მონიტორინგს, სამეურნეო საქმიანობის შეფასებას, მინის ბაზრის განვითარებას და ა.შ.

მინის პრივატიზაციის შედეგად მწვავედ დადგა მინის კონსოლიდაციის პრობლემა, რომლის გადაწყვეტა მრავალ ფაქტორზე დამოკიდებულია. ამიტომ, სისტემურ

მიდგომას მოითხოვს. კოოპერაციის განვითარებასთან ერთად მიზანშეწონილია სხვა ალტერნატიული გზაც გამოვიყენოთ. მაგალითად, შეიქმნას სახელმწიფო მინის ფონდი, რომელიც შეისყიდის მინის ნაკვეთებს და შემდგომში ეკონომიკური მიზანშეწონილობის მიხედვით მოახდენს მის გასხვისებას ან საარენდო ურთიერთობების საფუძველზე გასცემს. მინების კონსოლიდაცია თვითმიზანი არ არის, იგი განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია, ამიტომ აუცილებელია კონკრეტული პირობების შესაბამისად მინის კონსოლიდაციის სხვადასხვა ფორმების გამოყენება.

არენდა. მინის მართვის სრულყოფასთან პირდაპირ არის დაკავშირებული საარენდო ურთიერთობების განმტკიცება, ჩვენი აზრით არენდას რიგი უპირატესობა აქვს, ამიტომ იგი განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ გავრცელდა.¹ მაგალითად, საფრანგეთში არენდით გამოიყენება მინების ნახევარზე მეტი, ინგლისში 40%-მდე, ისრაელში – 90%. აშშ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მესამედზე მეტი სახელმწიფოს საკუთრებაშია. მათი გადაცემა ხდება არენდით გამოსაცდელი ვადით (1-2 წელი), შემდგომ დროის გაგრძელებით. მკაცრად არის ჩამოყალიბებული არენდატორის მიმართ მოთხოვნები: მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა და მიწაზე მუშაობის გამოცდილება, უნდა იყო ჯანმრთელი, ასევე განსაზღვრულია ასაკი (მაგალითად, ინგლისში 40 წლამდე, საფრანგეთში არენდატორმა არენდის 25-წლიანი ვადის ამონაწევამდე არ უნდა მიაღწიოს საპენსიო ასაკს), უნდა ჰქონდეს ფერმაში მუშაობით შექმნილი გარკვეული კაპიტალი.

სოფლიო პრაქტიკაში გამოიყენება ე.წ. ოჯახური არენდაც (როცა ოჯახის უფროსი ერთ-ერთ წევრს თავის ნაკვეთს გადასცემს გარკვეული ანაზღაურებით). ეს ფორმა ყველაზე მეტად გავრცელებულია გერმანიასა და საფრანგეთში, სადაც ამ ფორმაზე მოდის არენდით აღებული მიწების 15-20%.

კოოპერაცია. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ“ კანონი მიღებულია. ახლა მთავარია ორგანიზაციულად მისი განხორციელება, რაც რთული და წინააღმდეგობრივია. ბევრად დამოკიდებულია ფსიქოლოგიურ ფაქტორზე. კოოპერაცია თვითმიზანი არ არის, იგი მიზნის (მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფა) მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა (ფორმა). ჩვენი აზრით, კოოპერაცია პერსპექტიულია, როგორც წარმოების, ასევე გადამამუშავების, პროდუქციის რეალიზაციის, ტექნიკური მომსახურების სფეროში და ა.შ.. რეგიონების ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებების გათვალისწინებით კოოპერაციის მრავალი ფორმის გამოყენების წინაპირობები შექმნილია ალაზნის ველზე, შირაქში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, კოლხეთის დაბლობზე, მთის ზონაში. კოოპერაციის განვითარება მიზანშეწონილია მეთესლეობაში, სარგავი მასალის წარმოებასა და სანაშენო საქმეში. ამ სფეროში განმსაზღვრელია მეცნიერებასთან ინტეგრაციით შესაბამისი ფორმების შერჩევა და დანერგვა.

1 WOZKS.tazetaz.zu/102/100050/index/htmi

ოჯახური მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობა. ოჯახური მეურნეობა წარმოადგენს აგრარული სექტორის განმსაზღვრელ რგოლს (მეურნეობათა 99,8%). მათ საკუთრებაში გადაცემული აქვთ 839,7 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, მათ შორის სახნავი 472 ათასი ჰა, მრავალწლიანი ნარგავები – 100,2 ათასი ჰა, სათიბ-საძოვრები 267 ათასი ჰა. როგორც აღინიშნა, ისინი აწარმოებენ (2012 წ.) ხორბლის – 94%, სიმინდის – 98%, კარტოფილის – 99%, ხილის – 99,7%, ყურძნის – 91,5%, ციტრუსების – 99,9%, ჩაის ფოთლის – 57,7%, ბოსტნეულის – 98%, რძის – 99,5%, კვერცხის – 39%, ხორცის – 85,1%-ს.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოში საკარმიდამო მეურნეობებს საბჭოთა პერიოდში მიწათსარგებლობის უფლებით გადაცემული ჰქონდათ 193,4 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული. მათ სარგებლობაში იყო მრავალწლიანი ნარგავების 27%. იმ პერიოდში მოსახლეობას ჰყავდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი საერთო სულადობის 60%, ძროხის – 75%, ღორის – 60%, ცხვრისა და თხის – 46,5%. საშუალოდ ერთ კომლზე 0,26 ჰა ჰქვართი მიწის ფართობი მოდიოდა. 1990 წელს საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობაში თითქმის 47% საკარმიდამო მეურნეობებზე მოდიოდა.

საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალების მიხედვით საოჯახო მეურნეობათა 83,55% – თავის საქმიანობის ძირითად მიზნად საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას მიიჩნევს. მხოლოდ 17,55% არის ორიენტირებული ბაზრისათვის პროდუქციის მიწოდებაზე. ეს ტენდენცია საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ოჯახური მეურნეობების სუსტი მხარეა მათი იზოლირებულობა. ბოლო წლებში ისინი მწვავე პრობლემებთან მარტონი დარჩნენ. სახელმწიფომ მათი ინტერესების დაცვა ფორმირებად საბაზრო მექანიზმებს მიანდო. სტიქიური ბაზრის გავლენით მშრომელი კაცის ფსიქოლოგია შეიცვალა, დაქვეითდა მასში ეკონომიკური სუბიექტის ქცევის მოტივაცია, თავი იჩინა პასიურობის, გაუცხოების ტენდენციებმა. ასეთმა ვითარებამ ბუნებრივია განაპირობა ოჯახური მეურნეობების ეფექტიანობის მეტად დაბალი დონე (წარმოების, პროდუქტიულობის მკვეთრი შემცირება).

ოჯახური მეურნეობების ასეთი მდგომარეობის გამო საზოგადოებაში მკვიდრდება აზრი, რომ მცირე მეურნეობებს თითქოს პერსპექტივა არა აქვთ, რომ აუცილებელია მიწების ფორსირებული კონსოლიდაცია მსხვილი სტრუქტურების ფორმირების მიზნით. ასეთი აზრი გავრცელებულია სხვა ქვეყნებშიც. ამასთან, განსხვავებული შეხედულებებიც არსებობს. მსოფლიო პრაქტიკა იცნობს ისეთ მაგალითებსაც, როცა მცირე მეურნეობები უფრო ეფექტური არიან, ვიდრე მსხვილი სტრუქტურები.

ჩვენთან მიწათსარგებლობაში შექმნილი ვითარება (მცირე ნაკვეთებად დაქუცმაცება, ვერტიკალური ზონალობა და სხვ.) გვიჩვენებს, რომ უფრო მიზანშეწონილია ყოველმხრივ ხელი შევუწყოთ მსხვილი მეურნეობების ინტეგრაციის ეფექტიანი ფორმების გამოყენებას. ორივე

მათგანის, როგორც შედარებითი უპირატესობების, ასევე მათი ნეგატიური მხარეების გათვალისწინებით, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის თავისებურება, რომელიც ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი – ოჯახური მეურნეობა, ტრადიციულად, ეკონომიკურ ურთიერთობებში არა მხოლოდ ერთ-ერთი მთავარი სუბიექტია, არამედ ეროვნული სოციალურ-ისტორიული ფენომენიც. იგი ყოველთვის სიცოცხლისუნარიანი იყო. ეს დადასტურდა ბოლო წლების კრიზისულ სიტუაციებშიც. მცირე მეურნეობას აქვს რესურსების ყირათიანად გამოყენების, შემოსავლების ზრდის, პენსიონერებისა და ბავშვებისათვის ხელსაყრელი შრომითი რეჟიმის შექმნის პოტენციალი.

აგრარულ სექტორში აუცილებელია წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ისეთი ფორმების შერჩევა, რომლებიც შეესაბამება არსებულ საწარმოო ძალებს, მანქანებს, ნიადაგის, მცენარის, ცხოველის ბიოლოგიურ თავისებურებებს, მწარმოებლისა და მომხმარებლის ეკონომიკურ ინტერესებს. ოჯახური მეურნეობა ამ ამოცანებს მარტო ვერ გადაწყვეტს. ამისათვის საჭიროა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პროცესში ჩართული სუბიექტების (მათი ინტერესების შესაბამისად) კოოპერირება, ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება. **თანამედროვე პირობებში, როცა საკუთრებისა და მეურნეობრიობის პლურალიზმი სახეზეა, წვრილი და მსხვილი მეურნეობების ერთიან სისტემაში ფუნქციონირებით კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ობიექტური პირობები იქმნება. ეს რთული პროცესი სტიქიურად არ ყალიბდება და არც მხოლოდ საბაზრო მექანიზმებით. აქ საჭიროა სახელმწიფოს მათგანიზებული როლი, მობილიზაციური ეკონომიკის მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს მანევრირებას, შრომის გონივრული დანაწილების, პროდუქციის რელიზაციის ხელშეწყობი გარემოს შექმნას.**

შეიძლება განვიხილოთ ოჯახური მეურნეობების განვითარების რამდენიმე მიმართულება.

პირველი. ოჯახური მეურნეობის კოოპერატივებში გაერთიანება. როგორც აღინიშნა კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ“ მიღებულია. ოჯახურ მეურნეობებსა და კოოპერატივებს შორის საწარმოო ურთიერთობების პრაქტიკა განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებულია. აგრარულ სექტორში ამ ფორმის გამოყენების რეალური არა მხოლოდ შესაძლებლობა არსებობს, არამედ საჭიროებაც. გასათვალისწინებელია საქართველოს რეგიონების ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებათა გავლენით კოოპერაციის განვითარების განსხვავებული ფორმების გამოყენების მიზანშეწონილობა. როგორც აღინიშნა, წინა პლანზე უნდა წამოინიშნოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავების, რეალიზაციის, ტექნიკური მომსახურების კოოპერატივების შექმნა და მათი ეფექტიანად ფუნქციონირების ამოცანა. **ოჯახური მეურნეობის კოოპერატივებში ინტეგრირება – წარმოების ინტენსიფიკაციის სტრატეგიულად სწორი მიმართულებაა.**

მეორე. ოჯახურ მეურნეობებსა და მსხვილ სამეურნეო სტრუქტურებს შორის (გადამამუშავებელი, პროდუქციის შენახვის, მომსახურების საწარმოები, ვაჭრობის

აპარული სექტორის კონსოლიდაცია

ორგანიზაციები და სხვ.) ადგილობრივი პირობების შესაბამისად სახელმწიფო სახსრებზე შეიძლება ჩამოყალიბდეს სანარმოო ურთიერთობები. **ერთ-ერთ ფორმად შეიძლება გამოყენებულ იქნას ფრანჩაიზინგის სისტემა, რაც ბაზარზე გასვლის გარანტიას იძლევა. ამასთან ეს ფორმა თავისებური „ქოლგა“ გაკოტრებისგან ოჯახური მეურნეობის დასაცავად.**

მესამე. არ უნდა გამოვრიცხოთ მინის კონსოლიდაციის პროცესის დაჩქარების ისეთი ფორმა, რომელიც გულისხმობს ქვეყანაში მინის სახელმწიფო ფონდის შექმნას. მას უნდა ჰქონდეს სათანადო ფინანსური რესურსები იმისათვის, რომ შეიძინოს მინის ფართობი, განახორციელოს მათი გამასივება, შემდეგ გაყიდოს ან არენდით გასცეს. არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ შეიქმნას მსხვილი სახელმწიფო (სახელმწიფო-კერძო) კორპორაციები (ჰოლდინგები ან სახელმწიფო მამულები), რომლებიც ოჯახურ მეურნეობებთან ერთად შეიძლება (ნებაყოფლობით) მინის ერთობლივად დამუშავებას, ნედლეულის გადამამუშავებას, პროდუქციის რეალიზაციას და სხვ. სამეურნეო საქმიანობის ასეთი ფორმა უფრო მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანების გადასაწყვეტად. მაგალითად, ნარმოების კონცენტრაციის, ქვეყნის სასაზღვრო ზოლების, კოლხეთის დაბლობის და სხვა ბუნებრივი და სანარმოო პოტენციალის ათვისების მიზნით და ა.შ.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავება.

სოფლის მეურნეობის განვითარების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესაბამისობაშია ნედლეულის მოცულობასთან მისი გადამამუშავების სიმძლავრეები. უკანასკნელი წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გადამამუშავებელი სიმძლავრეების უკმარისობა სასოფლო-სამეურნეო ნარმოების ნედლეულის დანაკარგებს იწვევს, რაც ზიანს აყენებს როგორც ნედლეულის მწარმოებელს, ასევე მომხმარებელს. მაგალითად, 2011 წელს საქართველოში ნარმოებული იქნა 19 ათასი ტონა ატამი. მათ შორის, კახეთში – 14 ათასამდე ტონა, 3,5-ჯერ მეტი, ვიდრე შიდა ქართლში, რომელიც ტრადიციულად მეხილეობის საერთოდ, კერძოდ, ატმის ნარმოების კლასიკურ ზონად იყო აღიარებული. როგორც ჩანს, ბაზრის მოთხოვნას ატმის მწარმოებელმა უპასუხა, მაგრამ პროდუქციის დიდი ნაწილი რეალიზაციის გარეშე დარჩა. კახეთში არც ერთი სანარმო არ არის, რომელიც ატამს გადამამუშავებდა, ატამი კი მალფუჭადია. გამოდის, რომ მოსავალი მოყვანილია, მასზე მოთხოვნაც არის, მაგრამ მომხმარებელი პროდუქციას ვერ იღებს.

ანალოგიური პრობლემები შეიძლება გადაწყდეს როგორც ახალი სანარმოო სიმძლავრეების შექმნის, ასევე არსებულის მოდერნიზაცია-რეკონსტრუქციის გზით. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, სანარმოო სიმძლავრეების დაგეგმვისას ხშირად არ ითვალისწინებენ სოფლის მეურნეობის ნარმოების რიგ თავისებურებებს. **განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო ნარმოების სეზონურ ხასიათს, ნედლეულის ბაზაში სპონტანურ ცვლილებებს (სტიქიური მოვლენები), შრომითი რესურსების ბალანსს და ა.შ.** ცნობილია, რომ ყურძნის, ხილის, ჩაის, ციტრუსების გადამამუშავებისას

არათანაბრად ხდება მუშახელის დატვირთვა, რაც სტაბილური კოლექტივის ჩამოყალიბებას, მისი კვალიფიკაციის დონის ამაღლებას უშლის ხელს, საბოლოოდ კი გავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობაზე. ადრე კვების მრეწველობის სანარმოების გადაადგილება, მათი პროფილი განისაზღვრებოდა უწყებრივი მიდგომებით და დირექტიული გადამამუშავებლობით. ამჟამად, განისაზღვრება ბაზრის მოთხოვნებითა და მოცემულ ეტაპზე ქვეყნისა და საბაზრო სუბიექტის ინტერესების გათვალისწინებით. ჩვენი აზრით, სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი ახალი სანარმოების აშენებისა და არსებულის რეკონსტრუქციისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული პროდუქციის დივერსიფიკაციის პრაქტიკა. **მაგალითად, ღვინის (ან სხვა) ქარხანა, რომელიც სეზონურად მუშაობს, სრულად ვერ იყენებს არსებულ სიმძლავრეებს, რაც მის ნაკლებ რენტაბელობას განაპირობებს. ამ დროს მას საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზაციით შეუძლია მოაწყოს ვთქვათ, ხილის ან ბოსტნეულის გადამამუშავება, ჩირის წარმოება, ან მეცხოველეობის პროდუქციის გამოშვება და სხვ. (იგულისხმება შესაბამისი სანარმოო პირობების მომზადებით), რაც ხელს შეუწყობს ბაზარზე მანევრირებას, დასაქმებას, უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვას, სპეციალიზაციის გაღრმავებას და პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებას.**

დღევანდელი პირობების გათვალისწინებით არსებული კერძო სანარმოების რეკონსტრუქციის სამუშაოები, ასევე ახალი სანარმოების მშენებლობა უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს აქტიური პარტნიორობით. საბაზრო სუბიექტს უნდა მიეცეს გრძელვადიანი კრედიტი მინიმალური განაკვეთით (წელიწადში 2-3%). სიმძლავრეების ექსპლუატაციაში გაშვებიდან ხუთი წლის შემდეგ დაიწყოს სესხის დაფარვა და მოგების გადასახადის გადახდა. რეგიონების ბუნებრივ-სანარმოო თავისებურებებისა და ნედლეულის ნარმოების პერსპექტივის გათვალისწინებით უნდა შედგეს გადამამუშავებელი სანარმოების გადაადგილების გენერალური სქემა. იგი საფუძვლად დაედება ახალი სანარმოო სიმძლავრეების ათვისების მიზნობრივ პროგრამებს. მნიშვნელოვანი რეზერვებია უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვა, საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება, ინოვაციური პროექტების განხორციელება და სხვ. ამ თვალსაზრისით ეფექტიანია განვითარებული ქვეყნების საბაზრო სუბიექტებთან ერთობლივი სანარმოების შექმნა. აღსანიშნავია, რომ მრეწველობის და სხვა დარგების განვითარებისთვის აგრარული სექტორის პროდუქციის მრავალფეროვნება მნიშვნელოვან წილად ორიენტირის ფუნქციას ასრულებს, რაც ხელს უწყობს ეროვნული ეკონომიკის საბაზრო პრინციპებს მორგებული ახალი დარგობრივი სტრუქტურის შექმნას.

სასოფლო-სამეურნეო ნარმოებისა და გადამამუშავებული სანარმოების ინტეგრირების ეფექტიანი ფორმაა ტექნოპარკები. მათი უპირატესობა ისაა, რომ უზრუნველყოფს ნარმოების, განათლებისა და მეცნიერების მიზნობრივ ინტეგრაციას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკური მომსახურება. ამჟამად ჩამოყალიბებული სერვის-ცენტრების ბაზაზე მიზანშეწონილია შეიქმნას ერთიანი საინჟინრო-ტექნიკური მომსახურების სისტემა (პირობითად „სოფტექსერვისი“), რომელსაც რეგიონების ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებათა გათვალისწინებით ექნება შესაბამისი სამსახური (ქსელი). აღნიშნული სისტემა უნდა შეიქმნას როგორც სახელმწიფო (პირველ ეტაპზე მაინც, მისი შემდგომი პრივატიზაციის პერსპექტივით) სახსრებით ან შერეული საწარმოს ფორმით, რომელიც ხელშეკრულებების საფუძველზე შეასრულებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური თუ იურიდიული პირების (როგორც ოჯახური მეურნეობების, ისე სასოფლო-სამეურნეო საწარმოები) შეკვეთებს. ასეთი სტრუქტურის შექმნა ნაკარნახევია აგრარული სექტორის ფუნქციონირების თავისებურებებით (მრავალდარგიანობა, მცირე კონტურიანობა, რელიეფი, მუშახელის ნაკლებობა, წვრილი მეურნეობის მწირი რესურსები, სიახლეთა დანერგვის სიძნელეები და სხვ.). სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მისი ინფრასტრუქტურის საინჟინრო-ტექნიკური მომსახურების დონე დამოკიდებული იქნება საკუთარ ტექნიკურ აღჭურვილობაზე, კადრების კვალიფიკაციაზე, თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებაზე და სხვ. მას უნდა ჰქონდეს მძლავრი სარემონტო ბაზა, რომელიც მოემსახურება როგორც საკუთარ, ასევე, მეურნეობათა საკუთრებაში არსებულ ტექნიკას, დანადგარებს, მონეობილობებს და ა.შ. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით მიზანშეწონილია სისტემის შიგნით შეიქმნას მობილური სტრუქტურები (ვთქვათ, მოტობლოკების ჯგუფები, რომლებიც გამოყენებული იქნება მცირე ნაკვეთებზე), რომელთა გადაადგილება უფრო ოპერატიულად მოხერხდება.

ასეთი სისტემის უპირატესობა ისაა, რომ წარმოებაში (განსაზღვრულ სამუშაოთა სპეციფიკის გათვალისწინებით) ფართოდ დაინერგება ახალი ტექნოლოგიები, რაც ხელს შეუწყობს წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ადეკვატური ფორმების დანერგვა-გამოყენებას.

აგრარული სექტორის ტექნიკური მომსახურება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარების დონეზე. სამწუხაროდ ქვეყანაში შეჩერებულია სოფლის მეურნეობისთვის ტექნიკური საშუალებების წარმოება. ექსპერტთა ჯგუფს (აკად. რ. მახარობლიძე და სხვები) მიაჩნია, რომ აგრარული სექტორის საინჟინრო პოტენციალის ამოქმედებისთვის აუცილებელია პროგრამულ მართვაზე გადასვლა, რაც გულისხმობს აგრარული სექტორის სამანქანო ტექნოლოგიებისა და მანქანათა სისტემების, მანქანათმშენებლობისა და საინჟინრო სერვისის ერთიან კომპლექსში ფუნქციონირებას. ეს ხელს შეუწყობს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებას, ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის პროცესების შეხამებას, ტექნიკური მომსახურების ეფექტიანობის ამაღლებას.

მელიორაცია. იმისათვის, რომ აგრარული სექტორი ეფექტიანად განვითარდეს, აუცილებელია

უზრუნველყოფილ იქნას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე სამელიორაციო სისტემების ფორმირება-ფუნქციონირება. იმის გათვალისწინებით, რომ წყლის რესურსები ქვეყნის ტერიტორიაზე არათანაბრადაა განაწილებული და მათი გამოყენების ტექნოლოგიური სქემები ნიადაგის ხარისხის შესაბამისად უნდა დამუშავდეს, პირველ რიგში არსებული სისტემების ინვენტარიზაციაა საჭირო. უნდა ვიცოდეთ რა გვაქვს, როგორია ტექნიკური ბაზა, რეალურად უნდა განისაზღვროს ამოცანების მასშტაბი, შესრულების ვადები, საჭირო ფინანსური რესურსები, უნდა განხორციელდეს მონიტორინგი.

წყალსამეურნეო მშენებლობისა და, საერთოდ, სარწყავი წყლის რესურსების გამოყენების კოორდინაცია უნდა დაეკისროს სოფლის მეურნეობის სისტემაში ფუნქციონირებად სტრუქტურას.

ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფა

2013 წელს მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა აგრარული სექტორის განვითარებაში. ჩამოყალიბდა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი. გაუმჯობესდა კრედიტების სისტემა, რომელიც მოიცავს 3 სახის საკრედიტო პროდუქტს – 6 თვიანი უპროცენტო სასაქონლო კრედიტი, რომელიც უზრუნველყოფის გარეშე მცირე ფერმებისთვის არის გათვალისწინებული. მისი ოდენობა 5 ათას ლარამდე განისაზღვრება. 50 ათასიდან 100 ათას ლარამდე (წლიური 7-8%-ით) გაიცემა საშუალო და დიდ ფერმებზე და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს მიცემათ გრძელვადიანი კრედიტი, არა უმეტეს 600 ათასი აშშ დოლარისა. ამ სახის კრედიტის საპროცენტო საშუალო წლიური განაკვეთი – 3%-ს შეადგენს. 2013 წელს გამოიყო 190 მლნ ლარი 640 ათასი მცირე მიწიანი ფერმების (ოჯახური მეურნეობის) დასახმარებლად. ინვენტარის, თესლის, სასუქის შეძენისთვის 610 ათასმა კაცმა (ვინც ფლობს 0,25 და 1,25 ჰა მიწის ფართობს) მიიღო ვაუჩერი. გადამამუშავებელი საწარმოს აშენებისათვის მსურველს მიეცემა სესხად 1 მლნ ლარამდე. 2013 წელს მეღვინეობის განვითარების მიზნით გამოიყო 25 თვიანი შეღავათიანი (12-15%) კრედიტი. აქედან 9%-ს სახელმწიფო ფარავს. ღვინის ქარხნებს მიეცათ სუბსიდიები (ყურძნის გარკვეულ ჯიშებზე თუ 1 კგ-ში გადახდიდნენ ერთ ლარზე მეტს მიიღებდნენ დოტაციას). ასევე ფერმერთა გაერთიანების (კოოპერატივის) წევრი 2017 წლამდე თავისუფლდება ქონების გადასახადისგან. გრანტის მიღებისას ფინანსური რესურსები არ დაიბეგრება. გატარებული ღონისძიებანი ფაქტობრივად წარმოადგენს სახელმწიფოს განაცხადს, რომ აგრარული სექტორის განვითარებას პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. ამასთან ეს ღონისძიებანი საკმარისი არ არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სისტემური კრიზისიდან გამოყვანისა და განვითარებულ კვლავწარმოებაზე გადასვლისათვის.

ჩვენი აზრით, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკურ-სოციალური მნიშვნელობის და ეკონომიკური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით გამართლებულია აგრარული ბანკის შექმნა, რომელიც მოემსახურება არა მხოლოდ წარმოების, არამედ, სოფლის

სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. იგი დღევანდელ ეტაპზე ქვეყნისთვის პრიორიტეტულია. მარცვლეულის (ხორბლის), მეცხოველეობის პროდუქციის და სხვა (კონკრეტული ამოცანების შესაბამისად) წარმოების სუბსიდირება (ან სხვა სახის მხარდაჭერა, როგორც დროებითი ღონისძიება) მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტას.

სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის რეგიონებს შორის სამეურნეო კავშირების შემდგომ ინტენსიფიკაციას (რეგიონთაშორისი ერთობლივი სანარმოების შექმნა-ფუნქციონირება, რეგიონთაშორისი ვაჭრობის გაფართოება და სხვ.). ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული გრძელვადიანი დაკრედიტების ისეთი ფორმა, როგორცაა **ლიზინგი**. ეტაპების მიხედვით დასმული ამოცანების შესაბამისად უნდა ხდებოდეს საგადასახადო სისტემის სრულყოფა. მიწის გადასახადი უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ მიზნობრივად (მიწის დაცვის ღონისძიებათა დაფინანსებისათვის). დღეს აგრარული სექტორი ფასების დისპარიტეტის გამო არათანაბარ მდგომარეობაშია ეკონომიკის სხვა დარგებთან. აუცილებელია პარიტეტული ფასების აღდგენა და მხარდაჭერა. ამასთან ფასების რეგულირება უნდა მოხდეს კვლავწარმოების ყველა სტადიაზე (წარმოება, გადამამუშავება, რეალიზაცია). უნდა დაინერგოს თამასუქის ქვეშ სესხების მომავალი მოსავლის რეალიზაციით მიღებული შემოსავლიდან დაფარვის პრაქტიკა. უცხოეთიდან სხვადასხვა არხებით (ძირითადად არასამთავრობო სტრუქტურების მეშვეობით) სოფლის მეურნეობის განვითარების სხვადასხვა ფორმით მხარდაჭერის მიზნით შემოსული სახსრების გამოყენების პროცესი საჭიროებს სახელმწიფო მონიტორინგს (კოორდინაციას). ყოველმხრივ უნდა შეეწყოს ხელი სანარმოო და მომსახურების ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის სტიმულირებას. ახლად შეყვანილი სიმძლავრეები, რომლებიც აგრარულ სექტორს ემსახურებიან, 5 წლით განთავისუფლდნენ ქონებისა და მოგების გადასახადისგან, ხოლო მთის რეგიონებში არსებული სანარმოები 50%-ით გადასახადისგან. მთის ზონაში მომუშავეთ ხელფასზე დაერიცხოთ მაღალმთიანობის კოეფიციენტი და პროცენტული დანამატი მუშაობის სტაჟის მიხედვით. **განვითარების ეტაპების შესაბამისად რომელიმე პროდუქციის წარმოების მნიშვნელობის გათვალისწინებით შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელმწიფო დაკვეთის მექანიზმი.** მას უნივერსალური ხასიათი აქვს. იგი მარტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ნედლეულის) მიზნობრივ შესყიდვას არ გულისხმობს. სახელმწიფო დაკვეთა შეიძლება მიეცეს იმ სამრეწველო (ან სხვა ტიპის) სანარმოს, რომელიც აგრარული სექტორისთვის აწარმოებს (ან აწვდის) ახალ ტექნიკას (ტექნოლოგიას), სასუქებს, სხვადასხვა პრეპარატებს და ა.შ. კომერციულ ბანკებს საჭიროებისას სახელმწიფომ შეიძლება მიზნობრივი დოტაცია გამოუყოს ამა თუ იმ პროდუქციაზე საკრედიტო განაკვეთების შემცირების საკომპენსაციოდ და სხვ.

მანევრირების თვალსაზრისით კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება გამოყენებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის ფუნქციის არსებულ

სანარმოებზე (ორგანიზაციებზე) გადაცემის პრაქტიკა. როგორც ითქვა 2013 წელს ამ მეთოდით ყურძნის შესყიდვა განხორციელდა ღვინის ქარხნების მესვეობით. ეს ფორმა შეიძლება გამოვიყენოთ სხვა პროდუქციის (მაგალითად, ხორბლის) შესყიდვისათვის.

დაზღვევა ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის სამეურნეო სისტემის მნიშვნელოვანი რგოლია, ამიტომ დაზღვევის ნორმალური ფუნქციონირება განიხილება როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტიმულირების ხელშემწყობი პირობა.

აგრარული სექტორის კრიზისიდან გამოყვანის დაჩქარებისთვის **აუცილებელია დაზღვევის ისეთი სისტემის ჩამოყალიბება**, რომელიც უზრუნველყოფს აგრარულ მეურნეობაში დასაქმებულთა შემოსავლების დაცვას **ბუნებრივი** (გვალვა, წყალდიდობა, წაყინვები, სეტყვა, ქარიშხალი, მიწისძვრა და სხვ.), **ბიოლოგიური** (დაავადებები, მავნებლები) და **ეკონომიკური** (ფასების გაუთვალისწინებელი ცვლილებები) ფაქტორებისგან. დაზღვევის სისტემა უნდა ფუნქციონირებდეს კომერციულ საწყისებზე. პირველ ეტაპზე სასტარტო კაპიტალის ფორმირება უნდა მოხდეს სახელმწიფოს ხარჯზე.

სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენება ერთი ან რამდენიმე სახის დაზღვევა. მაგალითად, **მთლიანად მეურნეობის ან მისი რომელიმე საქმიანობის**. ასევე ბუნებრივ მოვლენებთან დაკავშირებული. კერძო კომპანიები აზღვევენ მხოლოდ განსაზღვრულ რისკებს (მაგალითად, სეტყვასთან, წყალდიდობასთან, მენყურულ პროცესებთან დაკავშირებულს). ამიტომ, გამოიყენება დაზღვევაში სახელმწიფოს მონაწილეობის პრაქტიკა. შესაბამისად, ყალიბდება სადაზღვევო სისტემა (სახელმწიფო-კერძო) და კერძო. ევროკავშირის რიგ ქვეყნებში (ავსტრია, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკია, სლოვენია, ესპანეთი) ცალკეული რისკების დაზღვევისას გამოიყენება კერძო, ნაწილობრივ სუბსიდირებული სისტემა. ამასთან, ზოგიერთ ქვეყანაში (ბელგია, ბულგარეთი, დანია, ესტონეთი, უნგრეთი, ისლანდია, შვედეთი, ინგლისი) უპირატესობა ეძლევა კერძო არასუბსიდირებულ სადაზღვევო სისტემას. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად კვიპროსი გამოიყენება სახელმწიფო სავალდებულო ნაწილობრივ სუბსიდირებული სისტემა.

ევროკავშირის ქვეყნებში სადაზღვევო სისტემებში ფერმების მონაწილეობის დონე განსხვავებულია. მაგალითად, კვიპროსში ყველა ფერმა დაზღვეულია, დანიაში – 95%, ავსტრიაში – 78%, ლუქსემბურგში – 57%, პორტუგალიაში – 40%, ფინეთში 30%, საფრანგეთში 15% და ა.შ.¹

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები. როგორც აღინიშნა, ამჟამად ძირითადი პროდუქტების მოხმარება არც ერთ სახეში არ არის უზრუნველყოფილი ადგილობრივი წარმოებით. ცხადია ქვეყანა საკუთარი წარმოებით სურსათზე მთლიანად მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ვერ შეძლებს, ამასთან მხოლოდ იმპორტზე დამოკიდებულება დიდ რისკებთანაა დაკავშირებული. საჭიროა ადგილო-

¹ საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია. ელფოსტა into@ei-lat.ge. ვებგვერდი http://ei-lat.ge

ბრივი წარმოების ზრდისა და იმპორტის რაციონალურ შესამუშავებლად ავილოთ ორიენტაცია. მიზანშეწონილია 2020 წლისთვის 10 საბაზო სტრატეგიულ პროდუქტთან ნუსხის მიხედვით (პური, და პურპროდუქტები, ხორცი და ხორც-პროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი, მცენარეული ზეთი, შაქარი, თევზი და თევზპროდუქტები) განისაზღვროს ეტაპების მიხედვით თითოეულ პროდუქტზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების ზღვარი და არსებული რესურსების ოპტიმალური კომბინაციით მიღწეულ იქნას მაქსიმალური შედეგების მიღება. ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანებიდან გამომდინარე განისაზღვრება დარგობრივი სპეციალიზაციის ამოცანები, ინტენსიფიკაციის დონის ამაღლების, მატერიალური და ადამიანური რესურსების პოტენციალის ამოქმედების ღონისძიებანი.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში განსაკუთრებით დიდია გეოეკონომიკის როლი. უკანასკნელი წლების ნეგატიური მოვლენების ფონზე უმნიშვნელოვანეს პოზიტიურ ფაქტორად ჩამოყალიბდა საქართველოს გეოეკონომიკური უპირატესობა, როგორც განვითარების სტრატეგიული რესურსი. დღეს საქართველოს 140 ქვეყანასთან აქვს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა. საქართველო ასრულებს ევროპისა და აზიის ქვეყნების ეკონომიკური ინტერესების გატარების ხიდის ფუნქციას, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ევრაზიის სივრცე განვითარების დიდ მასშტაბებს იძენს, უნდა ვივარაუდოთ ქართული ეკონომიკის (კერძოდ, აგრარული სექტორისათვის) განვითარების ხელსაყრელი გარემო შეიქმნება.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია საერთაშორისო ტვირთბრუნვისთვის გათვალისწინებული ანაკლიის საზღვაო პორტისა და აეროპორტის მშენებლობა. ანაკლიის სატრანსპორტო კომპლექსი მნიშვნელოვან წილს შეიტანს ევროპა-აზიის სატრანსპორტო და ენერჯეტიკული დერეფნების ფუნქციონირებაში. ჩამოყალიბდება ახალი საბაზრო კონიუნქტურა. გაიზრდება მოთხოვნა სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე, კვალიფიციურ მუშა ხელზე, ახალ ტექნოლოგიებზე. ეს ხელს შეუწყობს ახალი ბაზრების გახსნას. აღნიშნული ობიექტების მშენებლობის კონტექსტში მიზანშეწონილია განხილულ იქნას თანამედროვე სტანდარტებით თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის საკითხი. ერთ-ერთ ვარიანტად მივიჩნევთ რკინიგზის სადგურ ინგირთან მიმდებარე ტერიტორიაზე (ინგირი-გალის მონაკვეთი) თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნას. აღნიშნულ ტერიტორიას მრავალმხრივი უპირატესობა აქვს. ანაკლიის კომპლექსთან, საერთაშორისო რკინიგზის და ავტოტრანსპორტის მაგისტრალებთან სიახლოვით, აფხაზეთთან ეკონომიკური ინტეგრაციით, რუსეთთან (მის რეგიონულ სუბიექტებთან) სამეურნეო თანამშრომლობის პერსპექტივით იგი იძენს ქვეყნის სატრანზიტო დერეფნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლის ფუნქციას, რაც უფრო გაზრდის მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში საქართველოს მონაწილეობის ხარისხს.

ახალი გამოწვევების შესაბამისად უნდა განისაზღვროს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფუნქციები. მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრარული სექტორის განვითარების რიგი თავისებურებები. კერძოდ, **დარგის ბუნებრივ-საწარმოო** (ვერტიკალური ზონალობა, მრავალდარგაიანობა, სამთო მინათმოქმედების თავისებურებანი და სხვ.), **სოციალურ-ეკონომიკური** (სპეციალიზაცია, მეურნეობრიობის ფორმები, ტრადიციები, მენტალიტეტი, ბაზრის კონიუნქტურა შრომითი რესურსების სტრუქტურა, ინოვაციურ მეურნეობაზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაზე ორიენტაცია და სხვ.), **გეოეკონომიკური** (საგარეო, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, სასაზღვრო ვაჭრობა, რეგიონთაშორისი კავშირები, ერთობლივი საწარმოების შექმნა, სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებების აგრარული მეურნეობის ინტერესების გათვალისწინება და სხვ.), **რურალიზაციის** (ქალაქის მოსახლეობის სოფლად გადასვლის პროცესის წახალისება, ქალაქისა და სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის ერთიანობის პრინციპის დაცვა და სხვ.), ასევე სოფლის, როგორც ტერიტორიის (სოციუმის) კომპლექსური განვითარების თავისებურებები.

აგრარული სექტორის სისტემური კრიზისიდან გამოსვლის დაჩქარებისთვის აუცილებელია მობილიზაციური ეკონომიკის საბაზრო მექანიზმებს მისადაგებული ორგანიზაციული და ეკონომიკური ინსტრუმენტების დიფერენცირებულად გამოყენება, არსებული პოტენციალის ამოქმედების სტიმულირება, კონკრეტული სიტუაციების (ამოცანების) შესაბამისად ოპერატიული გადანყვებილებების მიღება, არასტანდარტულ ვითარებაში ადეკვატური ღონისძიებების განხორციელება და სხვ. ყოველივე ამის და სხვა სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით სამინისტროს უნდა დაეკისროს სოფლის (ტერიტორიისა) და აგრარული სექტორის განვითარების სახელმწიფო ორგანო-კოორდინატორის ფუნქცია. ამჟამინდელი რეგიონების (მხარეების) დონეზე უნდა ჩამოყალიბდეს სამინისტროს მმართველობითი რგოლი, რომელიც მოცემულ ტერიტორიაზე კოორდინაციას გაუწევს სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის განხორციელებას. სამინისტროს ერთ-ერთ ფუნქციად უნდა განისაზღვროს პოლიტიკურ პარტიებთან, პროფკავშირებთან, არასამთავრობო სტრუქტურებთან, დარგობრივ ასოციაციებთან, სხვადასხვა კავშირებთან ურთიერთობები. უნდა შეიქმნას ფერმერთა საბჭო (ასოციაცია), კოოპერატივთა კავშირი. სამინისტროსთან უნდა ფუნქციონირებდეს საგარეო-ეკონომიკური და სოფლის მეურნეობის ურთიერთობების შესაბამისი სამსახური. უნდა შეიქმნას სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნული საბჭო.

აგრარული სექტორის კადრების მომზადების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება. აგრარული სექტორის განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს აგრარული უნივერსიტეტის სტატუსი. უნივერსიტეტმა სახელმწიფოს დაკვეთის საფუძველზე უნდა მოამზადოს აგრარული მეურნეობის ყველა პროფილის სპეციალისტი, სამეცნიერო კადრები, რომლებსაც შეეძლება (სტატუსის შესაბამისად) იმუშა-



აონ როგორც ქვეყანაში, ასევე ქვეყნის გარეთაც. უნივერსიტეტი შეიძლება (მიზანშეწონილობის შემთხვევაში) მოემსახუროს კავკასიის რეგიონს (ამ მხრივ მდიდარი ტრადიცია ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს).

ეტაპობრივად უნდა განისაზღვროს აგრარული მეურნეობის სპეციალისტების მომზადებისათვის პროფესიული სასწავლებლების, კოლეჯების, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების (სემინარების), კონსალტინგის (საკონსულტაციო) სამსახურების ფორმირებისა და ფუნქციონირების პირობები.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები) მიზანშეწონილია ფუნქციონირებდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციულ სისტემაში. მას დაეკისრება ქვეყნის ტერიტორიაზე აგრარული პრობლემების კვლევის კოორდინაციისა და შედეგების, ასევე ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ფუნქციები.

– აგრარული პოლიტიკის განხორციელებისთვის აუცილებელია სამართლებრივი და ინფორმაციული უზრუნველყოფის საშუალებების ეფექტურად გამოყენება. თვისებრივი განახლება სჭირდება საკანონმდებლო ბაზას. უნდა გაძლიერდეს მედია-საშუალებების როლი (რადიო, ტელევიზია, პრესა). ჩვენი აზრით, სოფლის პრობლემებზე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებაში საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას ხელს შეუწყობს სპეციალური თემატიკით „ქართული სოფელი“ (ან სხვ.) კვირაში ორჯერ მაინც ტელეგადაცემა. ასევე თემატური გეგმით უნდა იმართებოდეს სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონკურსები, გამოფენები და სხვ.

– სოფელს (თემს) უნდა განესაზღვროს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტატუსი. გაიმიჯნოს მისი საზღვრები. გადაეცეს ქონება, ჰყავდეს წარმომადგენლობითი ორგანო (**საბჭო, საკრებულო**), მოსახლეობა პირდაპირ უნდა ირჩევდეს სოფლის ხელმძღვანელს (**მამასახლისს, გამგებელს**). ადგილობრივი თვითმ-

მართველობა მომსახურების მიწოდების ფუნქციასთან ერთად უნდა ასრულებდეს ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების კოორდინაციის ფუნქციას.

ქვეყნის აგრარული მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანის დაჩქარება საგანგებო მნიშვნელობის ამოცანაა. მისი გადაწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, როცა სახელმწიფო აიღებს პასუხისმგებლობას და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად ჩამოაყალიბებს და განახორციელებს ადეკვატურ აგრარულ პოლიტიკას.

აგრარულ სფეროში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტა ხანგრძლივ პერიოდს, დიდ ინვესტიციებს, თანამედროვე მენეჯმენტს და, რაც გადამწყვეტია, საზოგადოების ერთიან ნებას, ერის ყველა თაობის ცოდნისა და ენერჯის გამთლიანებას და ერთიანი მიზნისკენ წარმართვას და ორგანიზებულობის მაღალ დონეს მოითხოვს.

ჩემი აზრით, მიუხედავად მძიმე ნეგატიური ფონისა, განვილი პერიოდში ჩამოყალიბდა პოზიტიურ ფაქტორთა ერთობლიობა, რომელთა ამოქმედებით ქვეყანას შეუძლია ახალი გამოწვევების შესაბამისად განსაზღვროს ე.წ. გარღვევის (ჩამორჩენიდან თავის დაღწევის) სტრატეგია. აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამის საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია შეიქმნას სამთავრობო კომისია ყველა დაინტერესებული სამინისტროს (უნწყების), სამეცნიერო წრეების, არასამთავრობო და საერთაშორისო სტრუქტურების წარმომადგენელთა შემადგენლობით. კომისიამ მოცემულ ვადაში (განსაზღვრავს მთავრობა) უნდა უზრუნველყოს შესაბამისი დოკუმენტის მომზადება, რომელიც შემდგომში საჯარო განხილვისთვის მიენოდება საზოგადოებას. საბოლოოდ, პროგრამა პარლამენტის თანხმობით მთავრობამ უნდა დაამტკიცოს.

კიდევ ერთხელ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე



ვაჰტა კოლუაშვილი,
ეკ. მეცნ.დოქტორი,
სტუ სრული პროფესორი

ქართულ სოფელში, დღეისათვის არსებული სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, სამეურნეო (დანვრით-ლერითულებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ბაზა და ა.შ.) და სხვა მძიმე პრობლემების ფონზე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საშუალებით შესაძლებელია ორი ძირითადი საწყისის გაერთიანება, კერძოდ, საკუთრების (რომელიც აძლევს მის მფლობელს არჩევანის თავისუფლებას) და მასშტაბური წარმოების განვითარების (რაც განაპირობებს ერთი მხრივ — ტექნიკურ და ეკონომიკურ უპირატესობას და მეორეს მხრივ — ავტორიტეტსა და წონას სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე).

კოოპერატივების მუშაობის სტილი მოქნილია და დღევანდელი მოთხოვნილებების ადეკვატური. სახელმწიფოსთვის იგი წარმოადგენს ძლიერ და სანდო პარტნიორს სოფლად რთული ეკონომიკური და ორგანიზაციული პრობლემების მოგვარებისას. ამ მიზნის რეალიზაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ მინის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებების შექმნისა და მათი გადამმუშავებელ საწარმოებთან ინტეგრირების გზით (სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამმუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა). აგროსამრეწველო ინტეგრაციისა და კოოპერაციის მრავალი წარმატებული მაგალითი გვიჩვენებს, რომ კოოპერაციული შრომის უკუგების ხარისხი გაცილებით მაღალია ინდივიდუალურ შრომასთან შედარებით. საყურადღებოა ისიც, რომ ხსენებული ერთიანი ციკლის პირობებში ყოველ მომდევნო საწარმომო საფეხურზე იზრდება დამატებითი ღირებულება, რაც ქმნის დამატებით მოტივაციას დაინტერესებული მხარეებისთვის.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განხორციელება გამიზნულია უშუალოდ სოფლადმცხოვრები ადამიანების და საბოლოო ანგარიშით, მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ. აქედან გამომდინარე, არსებული რეალობის გათვალისწინებით, სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და განვითარებული ქვეყნების მსგავსად იკისროს კოოპერაციის პროცესის წარმართველის ძირითადი (მაკოორდინირებელი და ხელშემწყობი) ფუნქცია.

სწორედ ამიტომ, საქართველოს პარლამენტის მიერ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ კანონის მიღება უდავოდ უნდა ჩაითვალოს წინ გა-

დადგმულ ნაბიჯად, რომელმაც დასაბამი უნდა მისცეს საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგების ახლებურ, რაციონალურ ორგანიზაციულ მოწყობას, რაც პირდაპირ აისახება მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ კანონის ის ხარვეზები, რომლებიც მომავალში აუცილებლად ნეგატიურად აისახება ამ პროცესზე. კერძოდ, კანონით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ არ ხდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შემოსავლების განაწილებისა და საპაიო ფონდის ფორმირების ძირითადი წესების განსაზღვრა. მოგებისა და ზარალის საკითხი რეგულირდება მხოლოდ „მენარმეთა შესახებ“ კანონის 68-ე მუხლით. კერძოდ:

მუხლი 68. მოგებისა და ზარალის განაწილება (14.03.2008 N5913)

წლიური ანგარიშის დამტკიცებისას კოოპერაციის წევრებისთვის გათვალისწინებული სამეურნეო წლის მოგება ან ზარალი უნაწილდებათ კოოპერაციის წევრებს.

პირველი სამეურნეო წლისთვის განაწილება ხდება მათ მიერ შეტანილი შენატანების პროპორციულად, ყოველი მომდევნო წლისათვის კი — მოგების მიმატებით და ზარალის ჩამოწერის გზით წინა სამეურნეო წლის ბოლოსათვის არსებული პაის საერთო თანხის პროპორციულად. მოგების მიმატება გაგრძელდება მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული პაის ოდენობა.

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს მოგებისა და ზარალის განაწილების სხვა წესებს.

სანამ არ მიღწევა ზარალის გამო შემცირებული პაის ოდენობა, მოგება არ განაწილდება.

წესდება ან საერთო კრების დადგენილება შეიძლება

ითვალისწინებდეს, რომ მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ დაერიცხოს რეზერვს.

ეს ნორმა არის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომლის საშუალებით შესაძლებელია კოოპერატივმა შეინარჩუნოს მისი ძირითადი არსი, რაც მას დიამეტრალურად განასხვავებს მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან (შპს, სააქციო საზოგადოება და სხვა). კოოპერატივის არსებობის მიზანშეწონილობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს არა საპაიო ფონდში შეტანილი ფულადი და სხვა სახის ქონებრივი სახსრები, რომელიც მეპაიეს აძლევს დივიდენდების მიღების საშუალებას, არამედ მისი წევრების შრომითი რესურსების კაპიტალიზაცია, სადაც დომინანტია შრომა, ხოლო მატერიალური რესურსების ერთადერთ დანიშნულებას — არა საპაიო შენატანების პროპორციულად დივიდენდების მიღება, არამედ კოოპერატივის წევრთა შრომის უკუგების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ევროპული ტიპის კოოპერატივების გამოცდილებიდან ყველაზე ნიშანდობლივია ის, რომ ამ მიმართულებით განვითარებული ყველა წარმატებული ქვეყანა ქმნის შესაბამის ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზას, რითაც ახდენენ კოოპერატივების შიდა სანარმოო ურთიერთობების რეგულირებას საკანონმდებლო დონეზე იმ მთავარი მიზნით, რომ ამ ურთიერთობებში განმსაზღვრელი იყოს შრომითი რესურსის ფაქტორი და მასზე მატერიალურმა კაპიტალმა, საპაიო შენატანების სახით, არ მოახდინოს დომინანტური ზეგავლენა.

მიუხედავად იმისა, რომ მენარმეთა შესახებ კანონის 68-ე მუხლი შეიცავს ჩანაწერს: „წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს მოგებისა და ზარალის განაწილების სხვა წესებს“, კანონი იძლევა საპაიო შენატანების მიხედვით მოგებისა და ზარალის განაწილების საშუალებას, რაც დამახასიათებელია მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციებისათვის და კატეგორიულად ეწინააღმდეგება კოოპერატივის შიდა სანარმოო ურთიერთობის პრინციპებს.

მრავალი წარმატებული ქვეყნის გამოცდილებით კოოპერატივის მოგება ნაწილდება არა საპაიო შენატანების, არამედ კოოპერატივის საერთო სამეურნეო ბრუნვაში მისი წევრების მონაწილეობის პროპორციულად.

რაც შეეხება საპაიო შენატანების შეუსაბამობას კოოპერატივის წევრების მონაწილეობასთან კოოპერატივის საერთო სამეურნეო ბრუნვაში, ამან, რა თქმა უნდა ჰპოვოს ასახვა კოოპერატივის მოგების განაწილებაში. სწორედ ამისთვის არის განსაზღვრული ისეთი კატეგორიები, როგორცაა აუცილებელი და დამატებითი საპაიო შენატანები და მათი რეგულირების წესები, როგორცაა:

1. კოოპერატივის წევრის პაი ყალიბდება აუცილებელი და დამატებითი საპაიო შენატანებიდან.

2. აუცილებელი საპაიო შენატანი კოოპერატივის წევრს უფლებას აძლევს მიიღოს მოგება კოოპერატივის შემოსავლებიდან.

3. კოოპერატივის წევრების აუცილებელი საპაიო შენატანი განისაზღვრება თანაბრად, ან კოოპერატივის სამეურნეო საქმიანობაში მათი მონაწილეობის პროპორციულად.

4. კოოპერატივის წევრს უფლება აქვს აუცილებელი საპაიო შენატანის გარდა შეიტანოს დამატებითი საპაიო შენატანი, რომელიც მისი სურვილის შემთხვევაში გადაეცემა კოოპერატივის რომელიმე მიზნობრივ ფონდს.

5. კოოპერატივის წევრს შეუძლია განახორციელოს დამატებითი საპაიო შენატანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მის მიერ სრულად იქნება დაფარული აუცილებელი საპაიო შენატანი.

6. დამატებითი საპაიო შენატანი კოოპერატივის წევრს უფლებას აძლევს მიიღოს დივიდენდი.

მოგებისა და ზარალის განაწილება ხდება შემდეგნაირად:

1. შემოსავლების ნაწილი, სახელმწიფო გადასახადების, სახელფასო დავალიანების, სხვა აუცილებელი ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების დაფარვის შემდეგ ნაწილდება კოოპერატივის წევრებზე დამატებითი საპაიო შენატანების პროპორციულად.

2. დივიდენდების გაცემის შემდეგ დარჩენილი შემოსავლები ნაწილდება კოოპერატივის წევრებზე, კოოპერატივის სამეურნეო საქმიანობაში მათი მონაწილეობის პროპორციულად, ან გამოიყენება სხვა მიზნებისათვის კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით. ამ შემოსავლებიდან ავტომატურად ხდება აუცილებელი საპაიო შენატანის გადაუხდელი ნაწილის დაფარვა.

3. კოოპერატივის წევრის მოთხოვნით კოოპერატივის შემოსავლებიდან მისთვის განკუთვნილი მოგების და/ან დივიდენდების ნაწილი შეიძლება მიმართული იქნეს მისი დამატებითი პაის მოცულობის გაზრდისათვის.

ასეთი ადმინისტრაციული რეგულაციების გარეშე კოოპერატივები ვერ უზრუნველყოფენ ყველაზე მთავარს — იყვნენ ორიენტირებული შრომითი რესურსის კაპიტალიზაციაზე, მის მაქსიმალურ უკუგებაზე და არა ფულადი და მატერიალური რესურსების დაბანდებით დივიდენდების მიღებაზე (შპს-ებისა და სხვა მომგებიანი სანარმოების მსგავსად). ასეთ შემთხვევაში ზოგიერთებს მიეცემათ კარგი საშუალება — საკუთარი მიზნებისთვის წარმატებით გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის კანონით მინიჭებული საგადასახადო და სხვა სახის შეღავათები და საკუთარ ინტერესებს

დაუქვემდებარონ სხვა ნევრების შრომითი რესურსები და ინტერესები, რაც საფუძველშივე ენიშნა დედას კოოპერაციის ფუნდამენტურ პრინციპებს (კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ“ მალევე გადაიქცევა კანონად „სასოფლო-სამეურნეო შპს შესახებ“, რადგან „კოოპერაციისაგან“, როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისგან, დარჩება მხოლოდ სახელი და აბრა. ახალგამომცხვარი „შპს კოოპერაციები“ გლეხებისაგან მათთვის მისაღებ ფასებში შეიძენენ წარმოებულ საქონელს, ხოლო ხვნის, სასუქის თუ სხვა მომსახურებაში გლეხებს გაცილებით ძვირს გადაახდებიან). ეს პროცესი კიდევ უფრო გააღრმავებს საზოგადოებაში ისედაც შორს წასულ სოციალურ პოლარიზაციას და ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს იმ მთავარი მიზნის განხორციელებას, რისთვისაც შეიქმნა კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ.

სამწუხაროდ, საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ ეს საკითხები არ მიიჩნია მნიშვნელოვნად. ამიტომ რჩება ერთადერთი სწორი გამოსავალი: შევიდეს ცვლილებები კანონში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ და ზემოთ აღნიშნულმა ნორმებმა ასახვა შპს-ის მასში. კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ უნდა გამოსცეს ნორმატიული აქტი: „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ტიპური წესდების დამტკიცების შესახებ“, სადაც ასახული იქნება კოოპერაციების შიდა სანარმოო ურთიერთობების სხვა მარეგულირებელი ნორმები, რომელიც სავალდებულო იქნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სტატუსის მიღების მსურველი ყველა იურიდიული სუბიექტისთვის.

მეწარმეთა შესახებ კანონის 68-ე მუხლის ნორმა „წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს მოგებისა და ზარალის განაწილების სხვა წესებს“ იძლევა იმის საშუალებას, რომ აღნიშნული ცვლილებები წინააღმდეგობაში არ მოვიდეს მეწარმეთა შესახებ კანონთან.

მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია ილია ჭავჭავაძის ხედვა სოფლად კოოპერაციული მოძრაობის განვითარებისადმი. მისი განმანათლებელი ცდილობდა ევროპული გამოცდილების მაგალითზე ჩვენშიც დანერგულიყო კოოპერაციულ ამხანაგობათა ჩამოყალიბების ტენდენცია. ილია მიესალმა თელავის თავადაზნაურთა მიერ შექმნილ „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირის“ შექმნას, მოიწონა მისი წესდების პროექტი და გამოთქვა იმედი, რომ „კავშირი“ ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებდა. „ეს იმისთანა საქმეა (კოოპერაციული მოძრაობა), რომელიც საუკუნოდ სახსოვრად გახდის იმის სახელს, ვინც ამ საქმეს მესვეურობას და მეთაურობას გაუწევს. ესეც უნდა იცოდეს თავადაზნაურობამ, რომ აქ მცირეოდენის განიწვინა და გაცემა დიდის სიკეთის მომავლინებელია ყველასათვის ერთად და სათითაოდ ცალკე, და

ყოველი და ზოგვა და არგაცემა — დაკარგვაა“.

1882 წელს ვინმე მაისნერმა კავკასიის მთავარმართებელს წარუდგინა ორი პროექტი სოფლის მეურნეობის დარგში სააქციონერო საზოგადოების შექმნის შესახებ. ერთი პროექტი შეეხებოდა ამიერკავკასიაში ღვინის კეთებას, ღვინით ვაჭრობას და არყის ხდას, მეორე კი — ხილისა და ბოსტნეულ-ბალჩეულის წარმოების საქმეს. მთავარმართებელს პროექტი განსახილველად გადაუგზავნია კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებისათვის. საზოგადოებამ გამოყო სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში სხვებთან ერთად შედიოდა რაფიელ ერისთავი.

ქართველ საზოგადოებაში განსაკუთრებული მსჯელობის საგნად იქცა პირველი პროექტი. ილიას აზრით, საქმე შეეხებოდა იმისთანა წარმოებას და სიმდიდრის იმისთანა წყაროს, რომელიც ქართველ მინათმოქმედთა ეპყრათ ხელთ. ეს წყარო იყო „ღვინის კეთება“, რასაც „თავისი მიზეზი“ ჰქონდა „და დიდად პატივსაღებიცა, იმიტომ რომ ღვინის საქმის მიზეზნი საეკონომიო მიზეზნი არიან და, მაშასადამე, ისეთნივე გარდაუალნი, როგორც თვითონ ბუნების მოთხოვნილებანი“.

კომისიის წევრთა უმრავლესობამ მაისნერის პროექტის მიზანდასახულობა სასარგებლოდ ცნო, მიუხედავად რაფიელ ერისთავის გამოთქმული შიშისა, რომ ამ საზოგადოებას შეეძლო გაეკოტრებინა ადგილობრივი მწარმოებლები და მხოლოდ პირადი მოგებისთვის ეზრუნა.

სამწუხაროდ, კომისიამ ვერ შეძლო სიღრმისეული ანალიზი გაეკეთებინა მაისნერის ქვეშარტი მიზნისა და გეგმისათვის, მან უმთავრეს დადებით მომენტად კავკასიისათვის ორნახევარი მილიონი მანეთის შემოტანა მიიჩნია.

„პროექტის“ არსის დასახასიათებლად მოვუსმინოთ თავად ილია ჭავჭავაძეს. ილიას აზრით, მოქმედება მარტივი გეგმით „ვიყიდი ღვინოს, რომ ისევე გაეყიდო, ესე იგი, ღვინის ვაჭრობას გავმართავო“ არ იქნება მომგებიანი საქართველოს საზოგადოებისათვის. მისი დადებითი შედეგი მხოლოდ აქციონერთა გამდიდრების საშუალება იქნებოდა და ეს უფრო მეტად გააღრმავებდა ღვინის უშუალო მწარმოებელ გლეხობას.

ილიამ სწორად განჭვრიტა მაისნერის პროექტის ჩანაფიქრი და დაასაბუთა მისი მიუღებლობა ქართული სინამდვილისათვის. მაისნერი საქართველოში იაფად შეიძენდა ღვინოს და რუსეთში სარფიანად გაყიდდა, ვინაიდან რუსეთის ბაზარი დაპყრობილი ჰქონდა ძვირად ღირებულ ფრანგულ ღვინოებს და საზოგადოების მაღალი ფენაც მას ეტანებოდა. მაისნერს საქართველოდან გატანილი ღვინისთვის უნდა ეძებნა საშუალო მომხმარებელი, შეეჩვია იგი ქართული ღვინისთვის და ღვინოც ფრანგულთან შედარებით იაფად გაეყიდა. მეორე მხრივ, მაისნერი აპირებდა ადგილობრივი მწარმოებლებისგან შესყიდული ღვინო ქართველი გლეხის ერთადერთი

სისუსტის – ევროპული კომერციული მენეჯმენტის არცოდნის – და ხელისუფლების შეფარულად მტრული დამოკიდებულების წყალობით მხოლოდ რუსეთის ბაზარზე გაეტანა, ეს კი საქართველოში ღვინის გაძვირებას გამოიწვევდა. ჯამში: ა) გლეხს შემოსავალი ან იგივე რჩებოდა, ან უმნიშვნელოდ ეზრდებოდა, ბ) ახალი მუშტრის – მაისნერის – გაჩენა გლეხს აცდუნებდა, რომ ვენახი გაეყიდა, გ) ღვინის გაძვირებით ხარჯი ემატებოდა ქართველ მომხმარებელს. ამით ზარალდებოდა საზოგადოება მთლიანად. ქართველ მევენახეს, პრაქტიკულად, ხვედრით წილად ვენახის მოვლა-გამწევა და ყურძნის მოყვანა რჩებოდა, მაისნერი კი ხელთ იგდებდა თითქმის უშრომელ მაღალხარისხოვან პროდუქტს — იგდებდა მხოლოდ იმით, რომ ადმინისტრაცია მის მხარეზე იყო. სწორედ ამიტომ შესძახა ილიამ ქართულ საზოგადოებას: „გვეყო, ბატონებო, ჩვენის ანწყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება, ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ... ჩვენი ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ“. ეს არის ერთ-ერთი მაგალითი წარმატებული უიარაღო ბრძოლისა საქართველოსათვის დივერსიული პროექტის წინააღმდეგ (დღეს ასეთი პროექტები ასობითაა).

საქართველოს უდავოდ შეუძლია, კოოპერაციულ საწყისებზე მოახდინოს სოფლად მოსახლეობის სამენარმოე აქტივობის მობილიზაცია და არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მასთან ტექნი-

კურ-ტექნოლოგიურად დაკავშირებული დარგების სწრაფი რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება. სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრებას ავტომატურად მოსდევს სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მისი შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მიგრაციის შეჩერება, სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის კომპლექსური და დაჩქარებული განვითარება. ესაა ცნების „ჯანსაღი საშუალო ფენა“ რეალური შინაარსი.

დასასრულ. არასაკმარისი გაცნობიერება იმისა, რომ აგრარულ სექტორში კოოპერაციის განვითარება სახელმწიფო რეფორმებისა და გარდაქმნების ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა და თავის შეკავება ამ კუთხით ადეკვატური ქმედითი ღონისძიებების გატარებისა და წარმატებული ეკონომიკის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების გაზიარებისაგან, აუცილებლად შექმნის სერიოზულ პრობლემებს, რაც ნეგატიურად აისახება მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ უკვე გატარებული და გასატარებელი მასშტაბური ღონისძიებების ეფექტურობაზე და მოსალოდნელ სისტემურ-სინერგიულ ეფექტზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **კოლუაშვილი პ., მამუკელაშვილი დ.** — კოოპერაციის პროცესის სახელმწიფომ უნდა წარმართოს. //ყ. „სოციალური ეკონომიკა — XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, №2, 2013.
2. **კოლუაშვილი პ.** — კოოპერაციის პროცესის სტიმულირებისთვის საჭიროა კოოპერატივების შიდა სანარმოო ურთიერთობების რეგულირება. //ყ. „ეკონომიკა“, №9-10 2013.
3. **კოლუაშვილი პ.** — სოფლის გადარჩენა კოოპერაციული ტიპის ინტეგრირებული სისტემის შექმნაშია. //ყ. „სოციალური ეკონომიკა — XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, №4, 2013.
4. **კოლუაშვილი პ.** — ილია ჭავჭავაძე მეურნის თვალით. „მერიდიანი“, 2013.

FOR THE DESCRIPTION OF MAIN ESSENCE OF AGRICULTURAL COOPERATIVES

Summary

Paata Koghuashvili, GTU full Professor

The work concerns the development of voluntary cooperative relations and inter-branch integration and also the technological settlement in rural areas. Under the aegis of the community unions, the most important locally available resources of the intellectual, economic and organizational arrangement will be fully highlighted as well as a single cycle of production, processing and marketing of agricultural products will be created. Based on social solidarity the cooperative community population will be in full ownership of the income from sales of the final product and it will itself decide on earmarking the respective funds for reproduction and/or handling of common social problems. Implementation of the Community Entrepreneurial Mobilization Program will bring forth a substantial growth of incomes of the major portion of the country's population and dynamic improvement of its socio-economic situation.

როგორ გამოვიყენოთ მინა

მინა და მისი გამოყენება შეიძლება სხვადასხვა კუთხით განვიხილოთ. ეკოლოგიური თვალსაზრისით, მინა სასიცოცხლო მნიშვნელობის როლს ასრულებს სხვადასხვა ჯიშის სულიერი გამოზრდისა და გადარჩენის სტრატეგიაში. ადამიანთა დასახლებათა ისტორიაში ყოველთვის დომინირებდა ეროვნულ თუ ეროვნებათაშორის კონფლიქტები-ადამიანს შეეძლო მოეკლა ან მოკლული ყოფილიყო ბრძოლაში საზღვრების გამო-იქნებოდა ეს ეროვნული თუ ინდივიდუალური საკუთრების საზღვრები.



დავით ეხიაშვილი
სოციალური მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი

მინა, როგორც საგანი, რომელზეც ინდივიდებსა თუ კომუნებს აქვთ ყიდვა-გაყიდვის უფლება. იგი დაბეგვრის საგანია და ეკონომიკის წარმოების საფუძველს წარმოადგენს. ზოგ ქვეყანაში ტერმინი “უძრავი ქონება” გამოიყენება მინის ალსანიშნავად, ან განასხვავებენ მინასა და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებს და ამ უკანასკნელს მოიხსენიებენ ტერმინით “ქონება” ამ შემთხვევაში ჩვენ ტერმინი “მინას” განვიხილავთ, როგორც ყოვლისმომცველი, მაშინ, როცა უძრავი ქონება აღნიშნავს ადამიანის მიერ აგებულ ნაგებობებს.



ანზორ მახიტაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

მინას ქვეყნის ეკონომიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ქვეყნისთვის აუცილებელია დოვლათის მართვა, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტია (მშპ) 20 %-ზე მეტი შეიძლება მოდიოდეს მინაზე, ქონებასა და შენობა-ნაგებობებზე. მიუხედავად იმისა, რომ მინისმფლობელობა, ღირებულება და სარგებლობა არსით დამოკიდებული ცნებებია, რეალურად ურთიერთდამოკიდებული, მჭიდროდ გადაჯაჭვული საკითხებია. მინის მართვას სჭირდება განსაკუთრებული სიფრთხილე და აუცილებლობას წარმოადგენს მინაზე სრულყოფილი ჩანაწერების არსებობა: მფლობელობის თაობაზე — სარგებლობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; ღირებულების თაობაზე — მინაზე არსებული ქონების სამართლიანად და მიუკერძოებულად დაბეგვრისათვის, სახელმწიფო მიზნებისათვის მინის სავალდებულო შეყიდვის შემთხვევაში; ასევე, მინის გამოყენების თაობაზე — რესურსების ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად.

მინა უდიდესი რესურსია, რომლის გარეშეც დედამინაზე სიცოცხლე არ იარსებებდა. მინა – როგორც ფიზიკური, ასევე აბსტრაქტული შინაარსის მქონე საგანია. მინის ფლობისა და მოხმარების უფლებები ისევე მჭიდროდაა მასთან დაკავშირებული, როგორც მცენარის ფესვები მინასთან. მინის სწორად მართვა აუცილებელია ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის.

მინა მიჩნეულია ერთ-ერთ ძირითად ელემენტად, საიდანაც ერს სიმდიდრის მიღება შეუძლია. მინა ბუნებრივი საგანია. ის თავისთავად არსებობს და ადამიანის

მიერ არ არის შექმნილი. მიუხედავად ამისა, ადამიანს შეუძლია მისი სარგებლობის შეცვლა. მაგალითად, დაჭაობებული მინა შეიძლება დააშრონ, ან მინა, რომელიც დაფარულია ზღვით, ასევე დააშრონ და დამუშაონ, აგრეთვე შესაძლებელი გახადონ მეტი მინის გამოყოფა შენობების ასაგებად.

იურიდიული პერსპექტივიდან გამომდინარე, მინა ვრცელდება დედამიწის ცენტრიდან კოსმოსისკენ, უსასრულობაში. მოცემულ თვალსაზრისში, მიუხედავად იმისა, რომ ფოკუსირება მოხდება სივრცეზე, რომელიც დედამიწის ზედაპირს ეკვრის, განხილული იქნება ყველა საგანი, რაც მასზეა მიმაგრებული, ასევე კლდეები და მინერალები, რომლებიც მის წიაღში მდებარეობს. მინა მოიცავს წყლით დაფარულ ფართობსაც, მაგალითად, ზღვებს, ტბებს, ასევე მცენარეებსა და შენობა-ნაგებობებს.

ობიექტები, რომლებიც მიმაგრებული არაა ნიადაგზე, მაგალითად მანქანები, ცხოველები და ადამიანები,

რის შესახებ

მინის ნაწილად არ მოიაზრებიან, თუმცა ისინი წარმოადგენენ უფლებათა ობიექტს და ეს უფლებები აკონტროლებენ მათ მიერ დაკავებული სივრცის გამოყენებას. „საპაერო უფლებები“ ნიშნავს უფლებებს მინის ზემოთ არსებული სივრცის გამოყენების შესახებ და ზოგიერთ იურისდიქციაში განიხილება როგორც მინის ნაწილი, მაგრამ ჩვენ მათ არ შევხებით.

მიუხედავად იმისა, რომ მინის მფლობელობა, ღირებულება და სარგებლობა არსით დამოუკიდებელი ცნებებია, რეალურად ურთიერთდამოკიდებული, მჭიდროდ გადაჯაჭვული საკითხებია. **მინის თითოეულ ატრიბუტს სჭირდება ფრთხილი მართვა და ამის მისაღწევად უნდა არსებობდეს სრულყოფილი ჩანაწერები მინის შესახებ: მფლობელობის თაობაზე — სარგებლობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; ღირებულების თაობაზე — მინაზე არსებული ქონების სამართლიანად და მიუკერძოებლად დაბეგვრისთვის, სახელმწიფო მიზნებისთვის მინის სავალდებულო შესყიდვის შემთხვევებში; ასევე, მინის გამოყენების თაობაზე — რესურსების ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად.**

მინის ადმინისტრირების ყველა სისტემა უნდა მოიცავდეს მინის რეგისტრაციის ზოგიერთ ფორმას, როგორცაა: **ჩანაწერების დამუშავება.** მინის რეგისტრაციის ფუნქცია უზრუნველყოფს უსაფრთხო და გარანტირებული საფუძველი მინაზე უფლების განკარგვის, შესყიდვისა და სარგებლობისთვის. მინის ადმინისტრირების სისტემის უსაფრთხოებამ უნდა უზრუნველყოს წესრიგი და სტაბილურობა არა მარტო მესაკუთრისთვის და მათი პარტნიორებისთვის, არამედ ეროვნული და საერთაშორისო ინვესტორებისთვის, გამსესხებლების, მოვაჭრეების, დილერებისა და მთავრობისთვის.

მინის ადმინისტრირების ყველა სისტემა უნდა მოიცავდეს მინის რეგისტრაციის ზოგიერთ ფორმას, როგორცაა: **ჩანაწერების დამუშავება, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში კი - გარანტიებს მინის მფლობელობის ინფორმაციის შესახებ.** უფლება ნიშნავს, როდესაც პიროვნებას ან პიროვნებათა ჯგუფს ენიჭება გარკვეული უფლებამოსილება. **მინის რეგისტრაციის ფუნქცია უზრუნველყოფს უსაფრთხო და უეჭველი საფუძველი მინაზე უფლებების განკარგვის, შესყიდვისა და სარგებლობისთვის.**

მინის ადმინისტრირების სისტემის უსაფრთხოებამ უნდა უზრუნველყოს წესრიგი და სტაბილურობა არა მარტო მინის მესაკუთრეთათვის და მათი პარტნიორებისთვის, არამედ ეროვნული და საერთაშორისო ინვესტორებისთვის, ასევე გამსესხებლების, მოვაჭრეების, დილერებისა და მთავრობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მინის ადმინისტრირების სისტემები ხშირად მიმართულია მინის ინდივიდუალურ მესაკუთრეთა ინტერესების დასაცავად, ისინი წარმოადგენენ ეროვნული მინის პოლიტიკის ინსტრუმენტებსა და ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობ მექანიზმებს.

მინის მართვა წარმოადგენს პროცესს, რომლის შემდეგობითაც მინის რესურსები ეფექტურად გამოიყენება.

იგი მოიცავს ყველა საქმიანობას, რაც უკავშირდება მინის, როგორც რესურსის მართვას: ორივეს – დანყებული გარემოდან, ეკონომიკური პერსპექტივის ჩათვლით. იგი შეიძლება ეხებოდეს სოფლის მეურნეობას, მინერალების მოპოვებას, საკუთრებისა და ქონების მართვას, ასევე, ქალაქებისა და სასოფლო დასახლების ფიზიკურ დაგეგმარებას. იგი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: **სანოტარო აქტების შედგენა საკუთრების გადაცემის შესახებ, გირავნობისა და ინვესტირების თაობაზე გადაწყვეტილებების ჩათვლით; საკუთრების შეფასება; საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარება და მენეჯმენტი; მინის რესურსების მართვა, როგორცაა: სატყეო მეურნეობა, ნიადაგები, სოფლის მეურნეობა; მინათსარგებლობის პოლიტიკის ფორმირება და განხორციელება; გარემოზე ზეგავლენის შეფასება; მინაზე ყველა სახის საქმიანობის მონიტორინგი, რაც გავლენას ახდენს მინის ეფექტურად გამოყენებაზე.**

გარდამავალ პერიოდში ცენტრალურად დაგეგმილი ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაბიჯია მინაზე კერძო საკუთრების დანერგვა. ინვესტირებისთვის ინვესტორები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ მათ მიერ შექმნილი აქტივები განხორციელებული იქნება მინაზე, რომელსაც უსაფრთხო ტიტული გააჩნია. უნდა არსებობდეს კანონების ცხადი და ურყევი ჩარჩოები, რომლის ფარგლებშიც იმართება მინის საკუთრებისა და სარგებლობის უფლებები

მინის ადმინისტრირების ეფექტური სისტემა, ფიზიკური დაგეგმარების დასახმარებლად, უნდა უზრუნველყოფდეს მინის საკუთრების, მინის ღირებულებისა და მინათსარგებლობის ჩანაწერების ინტეგრირებას სოციოლოგიურ, ეკონომიკურ და გარემოს მონაცემებთან. ურბანული ფართობების თანამედროვე ფართომასშტაბიანი საკადასტრო გეგმების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს ძირითად ინფორმაციის მისაღები მოდელები, რომლის ფარგლებშიც სქემების განვითარება შეიძლება დაიგეგმოს, შეფასდეს და განხორციელდეს.

მინასთან დაკავშირებული ინფორმაციის ბაზარზე-ორიენტირებული მიდგომების შესამუშავებლად მმართველებმა/მენეჯერებმა უნდა: **გამოიკვლიონ, ვინ არიან ბაზარზე მინასთან დაკავშირებულ მონაცემთა მომხმარებლები და რა ძირითადი ინფორმაცია ესაჭიროებათ მათ; წარმართონ არსებულ მონაცემთა შეგროვება და დამუშავება მინის მესაკუთრეობის, ღირებულებისა და სარგებლობის კენ; უზრუნველყონ სახელმწიფო მასშტაბის მომსახურება, საჭიროების შემთხვევაში კი - ჯვარედინი სუბსიდიები, ქვეყნის ტერიტორიის სრული დაფარვის გარანტირებისათვის.**

მინის ჩანაწერების წარმოების სისტემა უნდა: შეიცავდეს უძრავი ქონების ერთეულების იურიდიულ განსაზღვრას, რაც ზუსტად ასახავს საბაზო პირობებს; ეხმარებოდეს მინის ტრანზაქციების წარმოებას იმ სისტემის საშუალებით, რომელიც მარტივი, უსაფრთხო და იაფია; გამორიცხავდეს ტიტულის ჯაჭვის ფარ-



№2 პარტი 2014

თომასშტაბიანი ძეგლის საჭიროებას; გამყარებულ იქნეს კანონმდებლობით, რომელიც მისგან მოითხოვს მუდმივ განახლებას, მაგალითად, მუტაციის შემთხვევაში; აკმაყოფილებდეს ადგილობრივ საჭიროებებს; აწარმოებდეს ჩანაწერებს სპეციფიკური უძრავი ქონების უფლებების, საკუთრებისა და საკუთრების შეზღუდვების შესახებ, რომლებიც სხვაგვარად არ არის გამჭვირვალე; მოიცავდეს მთელ მიწას, სახელმწიფოს, ინდივიდუალურ კერძო მოქალაქეთა თუ დანესებულებათა საკუთრებაში არსებული მიწების ჩათვლით.

მიწის ეფექტურად მართვის დასახმარებლად მიწისა და ქონების საჯარო რეესტრის წარმოება აუცილებელია, ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ არის აგებული რეესტრების სტრუქტურა მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, ნაკლებად მნიშვნელოვანია ვიდრე, როგორ კეთდება ეს – ფიქსირებული თუ ზოგადი საზღვრების სისტემის საშუალებით. სხვადასხვა ტიპის გარემოსთვის, მაგალითად, ურბანულ და სასოფლო-სამეურნეო ფართობებზე, შესაძლოა სხვადასხვა ხარისხის ინფორმაცია იყოს საჭირო. სიზუსტე, რომლითაც საზღვრებია აგემილი, დამოკიდებული უნდა იყოს ადგილობრივ პირობებსა და მოთხოვნებზე.

მიწის ადმინისტრირების სისტემის დაფინანსების ფაქტობრივად სამი სხვადასხვა ფორმა არსებობს: დაფინანსება გადასახადებით; დაფინანსება შენატანებით;

დაფინანსება საკომისიო შემოსავლებით. გადასახადების საშუალებით დაფინანსება ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს არანაირი კავშირი დადგენილი გადასახადსა და მთავრობის (ეროვნული, ან ადგილობრივი) მიერ სააგენტოს საქმიანობის დაფინანსებას შორის. შენატანების საშუალებით დაფინანსება ნიშნავს იმას, რომ მომხმარებელი იხდის მომსახურების საფასურს და არსებობს კავშირი შენატანსა და მომსახურების საფასურს შორის. ნიხრი დგინდება მთავრობის მიერ. შენატანები შესაძლოა შეტანილ იქნეს სააგენტოში პირდაპირ, ან ირიბად. საკომისიო შემოსავლების საშუალებით დაფინანსება ნიშნავს იმას, რომ მომხმარებელი იხდის მომსახურების გადასახადს და სააგენტო, რომელიც სთავაზობს მომსახურებას, ფლობს უფლებამოსილებას მთავრობის მიერ დადგენილი წესების საფუძველზე დაადგინოს ნიხრი.

მიწის ადმინისტრირების დროს აუცილებლობას წარმოადგენს მინათსარგებლობა. მინათსარგებლობა მიწაზე უფლებებისა და მიწის მართვის ურთიერთქმედებას. იგი მოიცავს მიწისა და მასთან ასოცირებული უფლებების შეჯერებას. მინათსარგებლობის აგეგმვა წინაპირობაა განვითარების გეგმის მოსამზადებლად. იგი უნდა: **განსაზღვრავდეს მიწის სარგებლობის არსებულ ტიპს; ადგენდეს ცვლილებებს და განაკვეთებს/ ნორმებს, რომელთაც ადგილი აქვთ ამ ცვლილებებში, მაგალითად, ურბანულ ფართობებზე; აკავშირებდეს მინათსარგებლობის მონაცემებს სხვა ფიზიკურ და**

რის შესახებ

სოციალურ მონაცემებთან; უზრუნველყოფდეს ტერიტორიების ანალიზს სტატისტიკური მეთოდების მრავალფეროვანი გამოყენებით და მრავალრიცხოვანი საშუალებებით; ამზადებდეს ცვლილებათა მოდელებს დროისა და სივრცის მიხედვით;

წარმოადგენდეს დაგეგმარების შედეგებს იმ ფორმით, რომ გასაგები იყოს ორივესთვის როგორც გადაწყვეტილების მიმღებთათვის, ისე საზოგადოების ფართო მასებისთვის. განვითარების გეგმა უნდა მოიცავდეს კომუნის/დასახლების სრულ ფართობს. იგი უნდა განსაზღვრავდეს გზას, რომლითაც მიწა უნდა იყოს სარგებლობაში და ეფუძნებოდეს დასახლების განქვრეცად მოთხოვნებს. მოცემული ტერიტორიის გეგმის ეს ძირითადი მონახაზი უნდა აკონკრეტებდეს: ტერიტორიებს, რომლებიც ცალკეა გამოყოფილი შენობა-ნაგებობებისთვის – ამგვარი სამუშაოები დაშვებული უნდა იყოს სამშენებლო ნორმებით; კომერციულ ტერიტორიებს საქონლისა და მომსახურების მომარაგება-განაწილებისთვის; საჯარო ტერიტორიებს – საავადმყოფოების, სკოლების, ეკლესიებისა და სასაფლაოების ფართებს, რაც აუცილებელია დასახლების სამედიცინო მომსახურების, განათლების, რელიგიის, სოციალური და კულტურული საჭიროებებისთვის; სამარშრუტო გზებს ადგილობრივი ძირითადი და მეორეხარისხოვანი გზებისთვის, ასევე, გზებს შორი დისტანციის ტრანსპორტისათვის და ტერიტორიებს ავტოსადგომებისთვის; ტერიტორიებს რკინიგზისა და ტრამვაის ფუნქციონირებისთვის; ტერიტორიებს საყოფაცხოვრებო მომსახურების ინფრასტრუქტურისთვის: წყლის, გაზის, ელექტროობის და ცენტრალური გათბობის ძირითადი ქსელების ჩათვლით; ტერიტორიებს კანალიზაციისთვის, ნარჩენების მართვისა და ნაგვის განადგურებისთვის, აგრეთვე, ფეკალური წყლების განმენდისთვის; პარკებსა და ბაღებს, სპორტულ მოედნებს, სათამაშო მოედნებს, საბანაო და საბანაკო ადგილებს; წყლიან ტერიტორიებს, ნავმისადგომებს, ფართობებს, რომლებიც განკუთვნილია წყლის მართვისთვის, აგრეთვე, წყლის დონის ადიდებისგან დაცვად; ტერიტორიებს ნაგავსაყრელებისა და ნაგავსამარხებისთვის, აგრეთვე, ბუნებრივი წიაღისეულის მოპოვებისთვის; სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ტერიტორიებს; გარემოს დაცვის ტერიტორიებს და სპეციალური სამეცნიერო ინტერესის ზონებს; სხვა ტერიტორიებს დასახლებისა თუ ქალაქის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მას შემდეგ, რაც განვითარების მონახაზის გეგმა დამტკიცდება, თითოეული ადგილობრივი ტერიტორიისთვის შეიძლება მომზადდეს უფრო დეტალური გეგმა. ისევე, როგორც ზოგადი გეგმა, ეს ადგილობრივი ტერიტორიის გეგმაც უნდა იყოს იურიდიულად განსაზღვრული. იგი ზოგად გეგმაზე გაცილებით დეტალურ დეფინიციას უნდა აკეთებდეს ისეთ საკითხებში, როგორიცაა: შენობის ტიპი, რომელიც შესაძლოა აშენდეს; მშენებლობის მეთოდი და სტრუქტურების

განლაგება-პოზიცია; ნებისმიერი ნაკვეთის დაშვებული მინიმუმის ზომები (სიგანე, სიგრძე, ფართობი) და ნაკვეთების მაქსიმალური ზომები ბინათმშენებლობისთვის, მიწის ეკონომიურად გამოყენების მიზნით;

ბინების მაქსიმალურად დასაშვები რაოდენობა თითოეული საბინაო ერთეულისთვის; ტერიტორიები საბინაო მშენებლობისთვის, რომლებიც სოციალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სრულად, ან ნაწილობრივ ფინანსდება საჯარო ფონდებიდან; ტერიტორიები იმ პირთა ჯგუფებისთვის, რომლებსაც განსაკუთრებული საბინაო მოთხოვნილებები აქვთ; კომერციული და ინდუსტრიული ქონების ზუსტი საზღვრები; ტერიტორიები, რომლებიც დაუმუშავებლად უნდა იქნეს შემონახული, როგორც მომავალი განვითარებისთვის საჭირო რესურსი; საჯარო და კერძო გამწვანებული ტერიტორიები, როგორიცაა: ბაღები, კერძო მარადმწვანე ნაკვეთები, სპორტული მოედნები, სათამაშო მოედნები, საბანაკო და საცურაო ადგილები, სასაფლაოები და ა.შ.; აგრეთვე, ტერიტორიები სხვა მიზნებისთვის, განვითარების გეგმებისა და სხვა გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

მიწის ადმინისტრირების პოლიტიკის განხორციელების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიწის კონსოლიდაციას. მიწის კონსოლიდაცია წარმოადგენს იმ პროცესს, რომელიც შექმნილია მიწის გასაუმჯობესებლად, სადაც მცირე ზომის მფლობელობის გამო მესაკუთრეობა არარენტაბელურადა გადაქცეული. ეს დანაწევრება ხშირად მემკვიდრეობის სისტემის შედეგია, როდესაც მინა მემკვიდრეებს შორის იყოფა. იგი შეიძლება შედეგი იყოს გაფანტული მიწის ნაკვეთებისა, რომლებიც ერთ პირს ეკუთვნის (ნაკვეთების მრავალრიცხოვნება), ან შესაძლოა მიწის ერთი ნაკვეთის წილის მფლობელად ბევრი სხვადასხვა პირი გვევლინებოდეს (მფლობელების მრავალრიცხოვნება). საქართველოში მიწის დანაწევრება შედეგია 1992 — 1998 წლებში ჩატარებული მიწის რეფორმის. როდესაც საწარველოს ორ მილიონზე მეტმა მოქალაქემ უფასოდ მიიღო მიწის ნაკვეთები 0.06 ჰექტრიდან 1.25 ჰექტრამდე.

მიწის ხელახალი გამოყოფა შეიძლება მოხდეს, როცა სახელმწიფო იღებს გადაწყვეტილებას ხელახლა განავითაროს ესა თუ ის ტერიტორია დასახლების უფრო ფართო ფენების საკეთილდღეოდ. ამგვარი მოქმედებისთვის მას ესაჭიროება მიწის მოპოვება და ფულადი თანხის, ან ახალი მიწის გაცემის სახით კომპენსაციის გადახდა მათთვის, ვინც განვითარების ხელშესაწყობად თავის საცხოვრებელი ადგილიდან უნდა გადავიდეს.

რა მიზეზებიც არ უნდა არსებობდნენ მიწის კონსოლიდაციისა, თუ ხელახალი გამოყოფისთვის, თავდაპირველი პროცესები მსგავსია და მოითხოვს ყველა იმ მიწის მესაკუთრისა და მფლობელის ცხად ინფორმაციას, ვისზეც ეს პროცესი გავლენას იქონიებს. ამ ფენის – ინფორმირებისთვის გადაწყვეტილება მიწის ხელახალი გამოყოფის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ. სრული საჯაროობა აუცილებელია, როგორც წესი, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისთვის. ამისთვის



№2 პარტი 2014

გამოყენებული უნდა იქნეს ადგილობრივი პრესა, რადიო და რეკლამები.

ტერიტორია, რომელიც მიწის რეფორმის საგანია, განსაზღვრული უნდა იყოს ოფიციალურად, ხოლო პროცედურები, რომლის მიხედვითაც იგი უნდა განხორციელდეს, – კანონით რატიფიცირებული. განვითარებისთვის შემოთავაზებული ტერიტორიის საკადასტრო გეგმა, რომელიც მესაკუთრეობის ამჟამინდელ მდგომარეობას გვიჩვენებს, უნდა მომზადდეს ქონების ყველა სიასთან ერთად. ის თითოეული მიწის ნაკვეთის შესახებ უნდა მოიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ მონაცემებს: მიწის მესაკუთრეთა A გვარებს, თითოეული ნაკვეთის არსებულ საზღვრებს, ზომას, მოხაზულობას და ღირებულებას; ურბანული ქონების შემთხვევაში კი – ქუჩების სახელებს და სახლების ნომრებს, აგრეთვე გირავნობას, ყადაღას ან რაიმე სხვა შეზღუდვებს (თუ კი ასეთი არსებობს), რაც შესულია მიწის რეესტრში.

ხელახალი განვითარების განხორციელების ძირითადი პირობაა მეთოდურად/ორგანიზებულად წარმოებული კადასტრი. განსაზღვრული ტერიტორიის ხელახალი განვითარების კურსში შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ზოგ შემთხვევაში ფაქტობრივად უკვე აგებული არ ემთხვევა ტერიტორიის ოფიციალურ საკადასტრო გეგმას. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა აუცილებელი იყოს გადაგეგმარდეს განლაგება, განსაკუთრებით განაშენიანებულ ფართობებზე, ისე, რომ ახალი ნაგებობა მოერგოს არსებული შენობების მდებარეობას, მოხაზულობას და ზომას. იმავდროულად, საკადასტრო ჩანაწერები უნდა განახლდეს და მოყვანილი იქნეს ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში.

ახალი განვითარების ტერიტორიების გადაგეგმარების განლაგებაზე პირდაპირი პასუხისმგებლობა უნდა ეკისრებოდეს ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელიც მუდმივად მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდეს კადასტრის და მიწის რეგისტრაციის სამსახურებთან.

ხელახალი განვითარების პროცესში მონაწილეობენ:

- **განსავითარებელ ტერიტორიაზე არსებული ყველა საკადასტრო ნაკვეთის მესაკუთრე;**
- **ოფიციალური უფლებების მქონე ყველა მფლობელი, სარგებლობის უფლების ჩათვლით, ვინც მიწის რეესტრებშია დაფიქსირებული;**
- **უფლებათა ყველა მფლობელი, ვინც მიწის რეესტრში დაფიქსირებული არ არის, მიწაზე მოსარჩელეთა ჩათვლით, მაგალითად, მემკვიდრეობის თაობაზე მოსარჩელენი;**
- **ადგილობრივი ხელისუფლება;**
- **კონტრაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომუნალური ინფრასტრუქტურის მომსახურებას.**

ინდივიდუალური მიწის ნაკვეთების განლაგების დაგეგმარებამდე ადგილობრივ ხელისუფლებას ესაჭიროება ტერიტორიების ცალკე გამოყოფა: ადგილობრივი საგზაო მოძრაობისა და ავტომაგისტრალისთვის, გზებისთვის, ფეხით სასიარულო ბილიკების ჩათვლით, გზებთან მისასვლელის, სკვერების და მიმოსვლის სხვა ფართობებისთვის; ავტოსადგომის და გამწვანებული ადგილებისთვის, სათამაშო მოედნებისა და ნაკრძალებისთვის. ადგილობრივი ხელისუფლებისა და კომუნალური მომსახურების ინფრასტრუქტურის

კონტრაქტორების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მინის გამოყოფის შემდეგ, დარჩენილი ფართობი შეიძლება განაწილდეს მინის ღირებულების, ან ნაკვეთების ზომების მიხედვით.

მესაკუთრეებთან და უფლებათა მფლობელებთან დისკუსიის დამთავრების შემდეგ, ტერიტორიის ხელახალ ნაკვეთებად დაყოფაზე პასუხისმგებლებმა უნდა გამოუშვან რუკა ტექსტური დანართებით. რუკა უნდა განსაზღვრავდეს მოცემულ ტერიტორიაზე ნაკვეთების მომავალ განლაგებას, თითოეული ახალი ნაკვეთის, საზღვრებისა და სამიჯნების ჩათვლით. ტექსტური ნაწილი უნდა უზრუნველყოფდეს თითოეული ახალი მინის ნაკვეთის სრულ მონაცემებს და ადგენდეს მის მესაკუთრეს.

სრული პროექტის დეტალები ოფიციალურად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ამასთანავე, ყველა მონაწილე დამატებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს უფლებებთან დაკავშირებული პროექტის ამონაწერი. შემდეგ, უნდა არსებობდეს განსაზღვრული პერიოდი, მაგალითად 60 დღე, რომლის განმავლობაშიც მონაწილეებს შეეძლებათ შემოთავაზებული გეგმების აპელაცია. ამ პერიოდის ამონაწერის და ყველა შესაძლო სარჩელის დარეგულირების/მოგვარების შემდეგ, ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია დათანხმდეს, რომ შემოთავაზებული განლაგების გეგმა პროექტი იურიდიულად შევიდეს ძალაში. ამგვარად, შესაძლებელი ხდება სამშენებლო სამუშაოების დაწყება.

მინის პოლიტიკა - მინის მართვა მოიცავს მინაზე განეული ინვესტიციების ხასიათსა და მასშტაბთან დაკავშირებულ ფუნდამენტური პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესრულებას. ამგვარად, ის მოიცავს მინის ადმინისტრატორების, ანუ, ამგეგმავების, შემფასებლების და რეგისტრატორების მიერ მიღებულ ყოველდღიურ სამუშაო გადაწყვეტილებებს. ინსტიტუციური თვალსაზრისით, მინის მართვა მოიცავს მინასთან დაკავშირებული პოლიტიკის ფორმულირებას, სამართლებრივ ჩარჩოებს, რესურსების მართვას, მინის ადმინისტრაციულ მოწყობას და მინის საინფორმაციო მართვას. მასში გაერთიანებულია, როგორც სამთავრობო, ისე კერძო ინიციატივები.

მინის პოლიტიკა შედგება სოციალურ-ეკონომიკური

და სამართლებრივი ნორმატივების კომპლექსისგან, რომელიც გვკარნახობს, თუ როგორ უნდა განაწილდეს მინა და მისგან მიღებული სარგებელი. მინის, როგორც რესურსის, ექსპლუატაციას, გამოყენებასა და კონსერვაციას შორის ბალანსი აუცილებელი პირობაა. კაცობრიობის გადარჩენის უზრუნველსაყოფად მიღწეული უნდა იქნეს შეუქცევადი განვითარების აუცილებელი დონე.

სწორედ ამ მიზეზით, სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგია ფოკუსირდება მინის პოლიტიკასა და მინის ადმინისტრირების პროცესზე. ვინაიდან არსებობს რამდენიმე იდეოლოგია, განსხვავებულია მინის პოლიტიკური კურსიც და მინის ადმინისტრირების მიმართ მიდგომაც. თვით საბაზრო ეკონომიკისკენ მიმართულ ქვეყნებს შორისაც კი დიდი განსხვავებაა, განსაკუთრებით, ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებით. როგორც ზოგადად საჯარო და კერძო სექტორების, ისე - საჯარო სექტორის ორგანიზატორთა და მმართველთა როლი საკმაოდ განსხვავდება ერთიმეორისაგან.

მინის ადმინისტრირების ფუნქციაა მინის განვითარებისა და გამოყენების რეგულირებასთან, მინიდან მიღებული შემოსავლების მოკრებასთან (გაყიდვა, იჯარა, ბეგარა) და მინის მესაკუთრეობასა და გამოყენებასთან დაკავშირებული კონფლიქტების გადაჭრა. ეს ეხება როგორც საჯარო, ისე კერძო მინებს და მოიცავს: დასახლებულ მინებს, მინის აგეგმვას, მინის რეგისტრაციას, მინის ფისკალურ და ფიზიკურ შეფასებას, მინათსარგებლობის კონტროლსა და მართვას, ინფრასტრუქტურისა და კომუნალური მომსახურების მართვის ორგანიზებას. მინის ადმინისტრირება წარმოადგენს მინისა და მასთან დაკავშირებული რესურსების მესაკუთრეობის, ფასის და გამოყენების შესახებ ინფორმაციის ჩანერისა და გავრცელების პროცესს, რომელიც მოიცავს უფლებებისა და მინასთან დაკავშირებული სხვა ატრიბუტების განსაზღვრას, ან სამართლებრივ გადაწყვეტას, მინის აგეგმვასა და მის აღწერას, დეტალურ დოკუმენტაციას და მინის ბაზრის ხელშესაწყობად შესაბამისი ინფორმაციის უზრუნველყოფას.

LAND ADMINISTRATION POLICY

summary

David Egiashvili,
Anzor Meskhishvili

Land can be reviewed from different perspectives. Land, to which individuals or groups have the right to sell or buy, is subject to taxation and represents the bases for economic production. The Land has a significant role in country's economy. Consequently, development of a sound land administration system which will secure rights of owners and users is very important. A land policy is essentially an expression of the government's perception of the direction to be taken on major issues related to land use and the proposed allocation of the national land resources over a fixed period of time. It includes land management and administration issues together with fundamental political decisions.

ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ასპექტები

ბაბრქელაბა, დანსანყისი იხ. „ბპ“ №1

ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების ერთ-ერთ ძირითად შემაფერხებელ ფაქტორად შეგვიძლია განვიხილოთ ისიც, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ფაქტობრივად არ არის გამოყენებული აღნიშნულ სფეროში თანამედროვე მეცნიერული (მათ შორის, რეგიონული ინსტიტუტების და უნივერსიტეტების მკვლევარების ნაშრომების ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების კუთხით) მიღწევები.



ბორის ჭიჭინაძე
აკაკი წერეთლის სახელობის
ქუთაისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

მთავარი პრობლემა ცენტრსა და მუნიციპალიტეტებს შორის არაჰარმონიული დამოკიდებულებაა. რაც იწვევს ცენტრში დიდძალი კაპიტალის თავმოყრას. „საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, თითქმის ყველა ადვილად ამოღებადი გადასახადი (დღგ, აქციზი, მოგების, საშემოსავლო, იმპორტის), გარდა ქონების (მათ შორის მიწის) გადასახადისა, რომელიც ძალიან მიზეზურია, ირიცხება ცენტრალურ ბიუჯეტში, რაც იწვევს ადგილებზე ფინანსური სახსრების ქრონიკულ დეფიციტს. ეს ხელს უშლის თვითმმართველობების საკუთარი ფინანსური ბაზის ფორმირებას.

ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკური სტაგნაცია გამოწვეულია ასევე დაუხვეწავი საკანონმდებლო ბაზით, არასრულყოფილი ადგილობრივი ფინანსური რესურსებით და მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ხალხთან ანგარიშვალდებულების არარსებობით. თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში ირდევია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნები ამომრჩევლებთან ანგარიშვალდებულების შესახებ“, რაც იწვევს სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის წინააღმდეგობის წარმოშობას და უნდობლობას.

წლების განმავლობაში ადგილობრივ თვითმმართველობებში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ თითქმის ყველა მთავრობა ადგილობრივი თვითმმართველობების მიმართ ყოველთვის დიდ უნდობლობას იჩენდა. ცენტრალური ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა არ მიეღო ისეთი კანონები, რომელიც გამოიწვევდა ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაზრდას. ცენტრალურ ხელისუფლებას სურდა ადგილობრივი

თვითმმართველობები სრულ დაქვემდებარებაში ჰყოლოდა. ცენტრის მხრიდან ასეთი მიდგომები კი მნიშვნელოვნად ლახავდა ადგილობრივი თვითმმართველობების კანონიერ უფლებებს.

ამჟამად მოქმედი საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ბუნდოვანია და ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კანონი თვითმმართველობების განვითარებას აფერხებს, ადგილობრივი თვითმმართველობის „ევროპული ქარტიით“ პირდაპირ არის განსაზღვრული, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ისეთი კანონები, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსურ და ქონებრივ დამოუკიდებლობას.

ადგილობრივი თვითმმართველობების დამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით, საჭიროა გამოვლინდეს მუნიციპალიტეტებში არსებული რესურსები და რეზერვები, რომლებიც წარმოადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკური განვითარების საფუძველს. საჭიროა ასევე შეფასდეს სუბრეგიონული კომპონენტების პოტენციალი. ჩვენი აზრით აღნიშნული მიზნის მისაღწევად, საჭიროა ადგილებზე შემდეგი საკითხების შეფასება:

- რამდენად უწყობს ხელს საქართველოს მუნიციპალიტეტების განვითარებას და მათ წინაშე მდგომი პრობლემების მოგვარებას არსებული საკანონმდებლო ბაზა;
- ხდება თუ არა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წინაშე არსებული ეკონომიკური პრობლემების

გადაწყვეტისას უცხოური გამოცდილების გაზიარება;
• რამდენად სწორადაა გამოყენებული ადგილებზე ის ეკონომიკური პოტენციალი, რომელთა სწორად ათვისებამ უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტების მძიმე საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოყვანა;

• საჭიროა ადგილობრივ დონეებზე იმ სუბიექტური ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც იწვევენ მუნიციპალიტეტების განვითარების შეფერხებას და ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკური წინსვლის ანტისტიმულატორად გვევლინებიან;

• საჭიროა შესწავლილ იქნას იმ ეკონომიკური ინსტრუმენტების კომპლექსი, რომლის გამოყენებამაც უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტების სტრატეგიული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შემუშავება, რომელიც იქნება საფუძველი მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარებისათვის.

მუნიციპალიტეტების ეკონომიკური მდგომარეობის განვითარების შესასწავლად საჭიროა მოვახდინოთ მუნიციპალიტეტების ფუნქციონალური, სტრუქტურული და ეკონომიკური ანალიზი, ასევე მიღებული შედეგების ეკონომიკურ-სტატისტიკური დაჯგუფებები და საფინანსო-საინვესტიციო ანალიზი.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში არსებული რეზერვების გამოვლენის და ინსტრუმენტების დამუშავებისას საჭიროა გამოყენებულ იქნეს პროგნოზირების მეთოდები, სტრატეგიული და ინსტრუმენტული პროექტირებები, რომლებიც უნდა იქნეს შეხამებული საქართველოს მუნიციპალიტეტების ეკონომიკურ ინტერესებთან.

მმუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარების შესწავლისას უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი საინვესტიციო გარემოს მდგომარეობის დადგენა. მუნიციპალიტეტების საინვესტიციო მიმზიდველობის ამალგებისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისათვის, პირველ რიგში, საჭიროა განისაზღვროს მუნიციპალიტეტების სამართლებრივი სტატუსი და ფუნქციები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში. ასევე, საჭიროა განისაზღვროს მუნიციპალიტეტების განვითარების სპეციფიკა, მათი რესურსული ბაზის გაფართოების შესაძლებლობები და ადგილებზე ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ტერიტორიული ბიზნეს-სფეროების დივერსიფიკაცია, ადამიანური კაპიტალის ზრდის უზრუნველყოფა, ფინანსური და რეალური სექტორების განვითარება, ახალი თანამედროვე მიღწევების დანერგვა თვითმმართველობების მართვის კუთხით.

იმედისმომცემ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ 2013 წლის 1 მარტს საქართველოს მთავრობის №223 განკარგულებით დამტკიცებული სტრატეგია „საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისათვის“. მიუხედავად

იმისა, რომ აღნიშნულ სტრატეგიასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული კითხვები, ის შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე ეტაპზე თვითმმართველობების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გეგმად.

მთავრობის აღნიშნული განკარგულებით განსახორციელებელი რეფორმის ამოსავალი პრინციპია მოქალაქეების მაქსიმალური გააქტიურება და უშუალო ჩართულობა მართვის პროცესში. საქართველოს მთავრობა დეცენტრალიზაციის პროცესს განიხილავს ქვეყანაში დემოკრატიისა და მისი შესაბამისი ინსტიტუტების დამკვიდრების საკვანძო ასპექტად. პროექტში აღნიშნულია, რომ საჭიროა გაძლიერდეს ადგილობრივი თვითმმართველობები ფუნქციური და მატერიალური თვალსაზრისით, რაც ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებას უზრუნველყოფს.

პროექტის მიხედვით სრულყოფილი და ეფექტიანი თვითმმართველობის განსახორციელებლად უნდა მოხდეს;

- საზოგადოებრივი თვითმმართველობის ფორმირება თითოეულ დასახლებაში;
- მუნიციპალური თვითმმართველობის ტერიტორიული ოპტიმიზაცია და გაძლიერება;
- სამხარეო ხელისუფლებაში თვითმმართველობის ელემენტების დამკვიდრება;
- სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტური მექანიზმების შექმნა;
- რეფორმირების პროცესის სამართლებრივი, ტექნიკური და რესურსული უზრუნველყოფა.

ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით იგეგმება მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები მომავალი (2014 წლის მასი) ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების შემდეგ, რაც მისასაღებელია და ოპტიმიზების საფუძველს იძლევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მთავარია შემუშავდეს ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების ისეთი სტრატეგია, რომელიც მორგებულ იქნება ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებზე, მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ცენტრსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის კომპეტენციების მაქსიმალურად გამიჯვნას, უზრუნველყოფს თვითმმართველობების ფინანსურ დამოუკიდებლობას, ადგილობრივი თვითმმართველობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას, რაც მთლიანობაში ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების საწინდარი იქნება.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო დამოუკიდებლობის შემცირება გამოწვეულია არასრულყოფილი კანონმდებლობით. საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული გადასახადებიდან ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთარ შემო-

სავლელს წარმოადგენს მხოლოდ ქონების (მათ შორის მიწის) გადასახადი. ქონების გადასახადის ხვედრითი წილი კი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ძალიან მიზერულია მაგალითად, რეგიონების მიხედვით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ იმერეთის მთლიან ბიუჯეტში ქონების გადასახადმა შეადგინა 10%, სამცხე-ჯავახეთში 11%, აჭარაში--8,4%, კახეთში--12,7%, მცხეთა-მთიანეთში - 16,4%, რაჭა-ლეჩხუმში და ზემო სვანეთში--7%. რაც შეეხება ქ.თბილისს, იქ აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 6,3%.

აღსანიშნავია, რომ საგადასახადო კოდექსის მიხედვით ის ფიზიკური პირები, რომელთა დასაბეგრი შემოსავალი არ აღემატება 40 000 ლარს, სრულად განთავისუფლებულნი არიან ქონების გადასახადისგან 2007 წლიდან. აღნიშნული პირები იხდიან მხოლოდ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადს 2011 წლიდან.

საჭიროა აღინიშნოს, რომ „საბიუჯეტო კოდექსის“ თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთარ შემოსავალს წარმოადგენს ასევე ის ადგილობრივი მოსაკრებლები, რომლებიც სრულად 100%-ით ირიცხება მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში. კერძოდ, ეს მოსაკრებლებია:

- მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული მშენებლობისა) მოსაკრებელი;
- ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მოსაკრებელი;
- ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი;
- დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი;
- სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გადაცემის მოსაკრებელი;
- კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი;
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლები.

ადგილობრივი მოსაკრებლების გადახდისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩარიცხვის ვადებს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობითი ორგანოები-საკრებულოები.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მოსაკრებლების ჩამონათვალი ვრცელია, მათ ფისკალურ ეფექტზე საუბარიც კი ზედმეტია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, 2007-2012 წლებში ადგილობრივ თვითმმართველობებში ადგილობრივი მოსაკრებლებიდან მობილიზებულია ყოველწლიურად 45-50 მლნ. ლარი, რაც ადგილობრივი თვითმმართველობების მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 4-5%-ია. ადგილობრივი მოსაკრებლებიდან ყველაზე მეტი თანხები შედის ქ.თბილისის ბიუჯეტში - მთლიანად ქვეყნის მასშტაბით მობილიზებული მოსაკრებლების 80 %. შემდეგ მოდის ქალაქი ბათუმი,

ქუთაისი, რუსთავი, ფოთი და სხვა ქალაქები, რომლებზეც ნაწილდება დანარჩენი 20 %. როგორც მოყვანილი მონაცემებიდან სჩანს, ადგილობრივი მოსაკრებლებიდან საქართველოს მუნიციპალიტეტებში მობილიზებული თანხები ვერანაირად ვერ უზრუნველყოფენ ადგილობრივი ბიუჯეტების ფინანსურ მდგრადობას, რაც მთლიანობაში ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს ცენტრზე დამოკიდებულს ხდიან.

მნიშვნელოვნად დასახვეწია მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენისა და შესრულების სტრუქტურა. საჭიროა მოხდეს ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლების დივერსიფიკაცია, რათა მუნიციპალიტეტებმა მოახდინონ მათ წინაშე მდგარი სოციალური საკითხების სწრაფად და ეფექტურად გადაჭრა. ამჟამად მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ადგილობრივი მმართველობების შემოსავლების წყაროები სხვადასხვაა.

საქართველოს მუნიციპალიტეტების განვითარების ტენდენციებზე დაკვირვებებმა ცხადყო, რომ საკანონმდებლო დონეზე მისაღებია კანონები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემდგომი განვითარება. ჩვენი მოსაზრებით პირველ რიგში საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება;

- გადასახედა ამჟამად მოქმედი საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“. სწრაფად უნდა გაუქმდეს მუნიციპალიტეტების დონეზე მმართველობაში ჩამოყალიბებული პარალელური სტრუქტურები, რომელიც წარმოადგენილია საკრებულოსა და გამგეობის სახით. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვთ მათი ფუნქციების გაორებას, რაც მუნიციპალიტეტების განვითარებაზე ნეგატიურად აისახება და მათ საქმიანობას არაეფექტურს ხდის;
- რადიკალურად შესაცვლელია ამჟამად მოქმედი კანონი „საბიუჯეტო კოდექსის შესახებ“. ამ კანონით რეგულირდება საგადასახადო შემოსავლების შესაბამის ბიუჯეტებში ჩარიცხვის წესები. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩარიცხოს ადგილობრივი თვითმმართველობების ტერიტორიაზე აკრეფილი ყველა სახის მოსაკრებელი, როგორც სახელწიფო, ასევე ადგილობრივი;
- ფაქტობრივად ახალი ფორმულაა შესაქმნელი გამოთანაბრებითი ტრანსფერის გამოსაანგარიშებლად. ამჟამად მოქმედი ფორმულა, რომელიც რეგულირდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივ დონეებზე მოქალაქეთა შემოსავლების გამოთანაბრებას. არ ითვალისწინებს დეპრესიული და პრობლემური მუნიციპალიტეტების თავისებურებებს. ფორმულით გამოანგარიშებულ ტრანსფერს პოლიტიკური ელფერი დაკრავს და იმ პარტიის პოლიტიკური კურსის გამგრძელებლად წარმოგვიდგება, რომელიც მმართველ პარტიას წარმოადგენს;
- მნიშვნელოვნად დასახვეწია კანონმდებლობა

ადგილობრივი მუნიციპალური ქონების მართვა-განკარგვის კუთხით. მუნიციპალიტეტებს საკუთრებაში უნდა გადაეცეთ არა მარტო მათ ბალანსზე რიცხული უძრავ-მოძრავი ქონება, არამედ მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული ყველა ქონება, გარდა სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებისა, რომელთა მართვა-განკარგვა ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა;

- მნიშვნელოვნად დასახვეწია კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“. კანონით შეღავათები უნდა დაუწესდეს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლების განათავსებენ კაპიტალს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. დღეს კი მდგომარეობა მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ინვესტიციების განთავსების კუთხით მეტად სავალალოა. ფაქტობრივად ინვესტორები თავს არიდებენ მუნიციპალიტეტებში ინვესტიციების განთავსებას.

- „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდ-ით“ გათვალისწინებული თანხების გადანაწილებისას საჭიროა გამოირიცხოს კორუფციული გარიგებები. თანხები მუნიციპალიტეტებს შორის უნდა განაწილდეს სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე.

- ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს მუნიციპალიტეტში არჩეული უმოქმედო მაჟორიტარი დეპუტატი. უმრავლეს მუნიციპალიტეტში მაჟორიტარი დეპუტატი დაკავებულია მხოლოდ ვიწრო პოლიტიკური საკითხებით და არანაირი წვლილი არ შექვს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მიმართულებით, გამომდინარე აქედან დეპუტატი ხშირად ადგილებზე მადესტაპილიზირებელ როლს ასრულებს. საჭიროა ცენტრალური მთავრობის მიერ მიღებული იქნეს კანონი დეპუტატის პარლამენტიდან გამოწვევის შესახებ, რაც მნიშვნელოვნად შეცვლის დეპუტატების მიდგომებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისადმი. თითოეულ დეპუტატს უნდა გააჩნდეს მკაცრად გაწერილი სამოქმედო გეგმა (3-6 თვიანი), ამ გეგმის შეუსრულებლობის შემდეგ ის გამოწვეულ უნდა იქნეს საკანონმდებლო ორგანოდან (პარლამენტი) და დანიშნულ იქნეს ახალი არჩევნები. კარგი იქნება თუ დეპუტატი არჩეულ იქნება არა თითოეული მუნიციპალიტეტიდან, არამედ რეგიონიდან ერთი. ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყნის განვითარების მიმართულებით. ამჟამად კი მდგომარეობა საგანგაშოა, თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში მაჟორიტარი დეპუტატები თავს გრძნობენ როგორც ფეოდალები და არანაირად არ მონაწილეობენ შესაბამისი მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კუთხით გასატარებელ ღონისძიებებში.

- რთული ვითარებაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციის აღრიცხვის კუთხითაც. ფაქტობრივად შეუძლებელია იმის გაგება

თუ რამდენი ადამიანია დასაქმებული ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში, რას შეადგენს გამოშვებული პროდუქციისა და მომსახურების ღირებულება, როგორია საშუალო ხელფასი და რა მდგომარეობაშია შესაბამის მუნიციპალიტეტებში დასაქმების მაჩვენებელი. შექმნილი არაჯანსაღი მდგომარეობა მნიშვნელოვნად აკნინებს ადგილობრივი თვითმმართველობების დამოუკიდებლობას და მათ საქმიანობას არაპროგნოზირებადს ხდის. საჭიროა ადგილობრივი სტატისტიკური სამსახურების შექმნა, რათა მუნიციპალიტეტებს ჰქონდეთ სრული სტატისტიკური ინფორმაცია.

- საქართველოს მუნიციპალიტეტების განვითარების მიზნით აუცილებელია საქმიანი ურთიერთობების დამყარება უცხოეთის განვითარებული ქვეყნების ადგილობრივ თვითმმართველობებთან, ამისათვის საჭიროა მუნიციპალიტეტების ადგილობრივ ბიუჯეტებში გათვალისწინებულ იქნეს შესაბამისი თანხები უცხოეთის განვითარებული ქვეყნების ადგილობრივ თვითმმართველობებთან ურთიერთობის დამყარების მიზნით. აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებები აღნიშნული მიმართულებით, რათა მნიშვნელოვნად გაიზარდოს მუნიციპალიტეტების ფინანსური დამოუკიდებლობა დასმული საკითხის სწრაფად და ეფექტურად გადაჭრის მიზნით.

- მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ადგილობრივი თვითმმართველობების კომპეტენციები ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით. ინვესტიციების განთავსებისას მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული რეგიონის სპეციფიკა და პრიორიტეტად მიჩნეული უნდა იყოს ადგილობრივი სამუშაო ძალის დასაქმება. აღნიშნული საკითხის მოგვარება საჭიროებს მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს.

- თვითმმართველობების საქმიანობაზე წლების განმავლობაში განხორციელებულმა დაკვირვებებმა ცხადყო, რომ ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტურაში ჯერაც დიდია ადმინისტრაციული ხარჯების ხვედრითი წილი, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ძვირი უჯდება მმართველობითი ორგანოების (საკრებულო და გამგეობა) შენახვა. გამომდინარე აქედან, მინიმუმამდეა დასაყვანი მმართველობით სტრუქტურებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა, რაც საერთო ჯამში ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობას ეფექტურს და შედეგზე ორიენტირებულს გახდის.

- ძირეულად შესაცვლელია სახელმწიფო გადასახადების განაწილების ამჟამინდელი მეთოდიკაც. ჩვენის აზრით ადგილობრივ თვითმმართველობებში უნდა დარჩეს საშემოსავლო და მოგების გადასახადების 50% მაინც. გადასახადების ასეთი განაწილება მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტების ფინანსური ბაზის განმტკიცებას, რაც საერთო ჯამში მათ დამოუკიდებლობაზე დადებითად აისახება.

- აუცილებელია მუნიციპალიტეტების დონეზე

მოხდეს მათი შესაძლებლობების ღრმა ანალიზი, რის შემდეგაც უნდა განხორციელდეს ქალაქების ბრენდის კონცეფციების შემუშავება. მიუხედავად იმისა, რომ ბრენდინგი საქართველოს მუნიციპალიტეტებისთვის სიახლეს წარმოადგენს, მისი დანერგვა პოზიტიურად აისახება მუნიციპალიტეტებზე და მათ საქმიანობას უფრო ეფექტურს გახდის.

- აუცილებელია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ძირეული ცვლილება. აღნიშნული კანონით მკაცრად უნდა გაიმიჯნოს თვითმმართველობების და ცენტრის ფუნქციები და კომპეტენციები. მკაცრად უნდა განისაზღვროს ცენტრალური ხელისუფლების ვალდებულებები თვითმმართველობების მიმართ.

- ახლიდან არის მისაღები ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის გადასაცემი გამოთანაბრებითი ტრანსფერის გამოსაანგარიშებელი ფორმულა. ფორმულაში მკაცრად უნდა განისაზღვროს ის კრიტერიუმები, რისი გათვალისწინებითაც ადგილობრივი თვითმმართველობებმა ცენტრალური ხელისუფლების მიერ უნდა მიიღონ ტრანსფერის ის ოდენობა,

რომელიც უზრუნველყოფს ადგილებზე მოქალაქეთა შემოსავლების გამოთანაბრებას და მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

- საქართველოს თვითმმართველობების განვითარების მიმართულებით აუცილებელია მაქსიმალურად იყოს გამოყენებული ქვეყანაში არსებული დიდი სამეცნიერო პოტენციალი, კვლევით ინსტიტუტებში არსებული ის მიდგომები, რომლებშიც ფართოდ არის წარმოდგენილი ადგილობრივი მუნიციპალიტეტებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები. აღსანიშნავია, რომ ეს გამოცდილება მნიშვნელოვანი კაპიტალია და ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისათვის მეტად მნიშვნელოვანია. გამომდინარე იქედან, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების გარეშე ფაქტობრივად წარმოუდგენელია ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, ამიტომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მუნიციპალიტეტებში სწორი ეკონომიკურ-სამართლებრივი პოლიტიკის გატარებას.

გამოყენებული ლიტერატურა;

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპის ქარტია.
2. ბარათაშვილი ე. რეგიონული ეკონომიკა, თბ. 2004 წ
3. ბოლაშვილი ჰ, მუნიციპალური განვითარების სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, თბ. 2000 წ, გვ.140-144.
4. გველესიანი ე, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების ძირითადი მიმართულებები (საქართველოს მაგალითზე), ქუთ. 2009, დისერტაცია; ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. გვ.236.
5. ერქომაიშვილი გ. საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტები, წიგნში; „ქალაქის მართვა“, თბ, 2002 წ, გვ.45-48.
6. საქართველოს კანონი-„ზოგადი განათლების შესახებ“
7. ჭითანავა ნ. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2012 წ, №1. გვ.36
8. ხმაღამე კ. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2011 წ, №10-11, გვ.72-79
9. Ведомости Литовской Республики, №4, закон „Литовской Республики о выборах советов самоуправления“
10. Дергачев И. А., Регионалистика, Издательский проект 2008 г
11. www.economy.gov.ge- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი.
12. www.b-k.ge-ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის“ ოფიციალური ვებ-გვერდი.
13. www.mrdi.gov.ge-საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი.
14. www.government.gov.ge საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდი.
15. www.nala.ge- საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის ოფიციალური ვებ-გვერდი.
16. www.mof.ge- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი.
17. www.geostat.ge- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდი.

ეკონომიკის აპრაპული სექტორის განვითარების მაკროეკონომიკური ასპექტები

ეკონომიკის აგრაული სფეროს განვითარების დაბალი დონე ერთ-ერთი მწვავე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემაა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა მთავარი ეკონომიკური ამოცანა, რომლის გადაჭრაც დარგში (და მთლიანად ეკონომიკაში) სისტემური და კარდინარული რეფორმების გატარებასა და ფართო სახალხო-მეურნეობრივ მიდგომას მოითხოვს.



აგრაული რეფორმის ეფექტურობის მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს: აგროსასურსათო სფეროში ეკონომიკური ზრდის იმ დონემდე მიღწევა, როდესაც მოსახლეობის ყველა ჯგუფი უზრუნველყოფილი იქნება მაღალი ხარისხისა და ხელმისაწვდომი ფასების ადგილობრივი წარმოების აგროსასურსათო საქონლით; სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა; თვითუზრუნველყოფის დონის ზრდის პარალელულად აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის გაფართოება და აგრაული სფეროს უცხოური ვალუტით მომარაგება, და ამით, აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკის გამყარება; აგროსასურსათო წარმოების ბაზაზე მრავალფუნქციური ეკონომიკის შექმნა. რამდენადაც, აგრაული მიმართულების განვითარება თავისთავად მულტიპლიკაციურ ზემოქმედებას მოახდენს ეკონომიკის ისეთ სფეროებზე, როგორცაა: სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, მსუბუქი მრეწველობა, ქიმიური მრეწველობა, ტრანსპორტი, მშენებლობა და სხვა. რაც უზრუნველყოფს ამ (და არა მარტო ამ) სფეროებში დასაქმების, შემოსავლების ზრდას და დემოგრაფიული და სოციალური ფონის გაუმჯობესებას; საბოლოოდ კი მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ასკ-ს მოდერნიზაციასა და მისი გადასვლას განვითარების ინოვაციურ მოდელებზე.

ჯერ განვიხილოთ პირდაპირი მიზეზები, რომლებიც უშუალოდ განაპირობებენ სფეროს დაბალეფექტურობას, დაბალკონკურენტუნარიანობას, ესენია:

- წვრილგლეხური მეურნეობების დომინირება, ნატურალური მეურნეობის მაღალი ხვედრითი წილი და წარმოების კონცენტრაციის დაბალი დონე. შედეგად არაა უზრუნველყოფილი მასშტაბის ეფექტის რეალიზება;

- რეალური ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა – გაუმართავი ირიგაციისა და მელიორაციის სისტემები, შედეგად ვერ ხერხდება მცენარეების მორწყვა რაც მისი დიდი ნაწილის განადგურებას იწვევს არასასურველი კლიმატური პირობებისას; სასაწყობე მეურნეობებისა და პროდუქციის შენახვის სპეციალური (ელევატორული, სამაცივრე და სხვ.) სისტემების არარსებობა, რაც პროდუქციის სეზონურობას განაპირობებს; მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა, რაც ართულებს პროდუქციის მიტანას გასაღების ბაზრებზე და აძვირებს მის თვითღირებულებას; ბუნებრივი აირის, ელ. ენერჯის და სასმელი წყლის მიწოდებაში არსებული პრობლემები და სხვა.

- აგრაული მეურნეობების დაბალი ტექნოლოგიური დონე – ბუნებრივია დაბალრენტაბელური წვრილგლეხური მეურნეობები, იყენებენ პრიმიტიულ შრომის საშუალებებს, დრომოჭმულ ტექნოლოგიებს, მათ არ მიუწვდებთ ხელი სფეროში არსებულ თანამედროვე მიღწევებზე. ტექნიკისა და ტექნოლოგიების დეფიციტი განსაკუთრებით არის მაღალმთიან რეგიონებში სადაც განსაკუთრებით დაბალია შრომის მწარმოებლურობა;

- ინოვაციური სისტემის განუვითარებლობა – სფეროში ვერ ხერხდება ვერც ინოვაციების შექმნა და ვერც უკვე არსებულის ათვისება. ინოვაციების შექმნა-ათვისების გარეშე კი შეუძლებელია არათუ საერთაშორისო, არამედ, საშინაო ბაზარზეც პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა;

- ენერგომატარებლებზე მაღალი ფასები, რაც ზრდის მინის დამუშავების ხარჯებს და, მაშასადამე, საბოლოო პროდუქტის ფასს.

- ფასების დისპარიტეტი სოფლის მეურნეობასა



და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს შორის – აგრარულ პროდუქციისა და დანარჩენი საქონლის (მათ შორის აგრარული სექტორისთვის საჭირო მასალებსა და ტექნიკაზე) ფასებს შორის დიდი სხვაობა აგრარული საზიანოდ, რაც განაპირობებს ერთის მხრივ, სოფლის მეურნეობის საქონლის მაღალ თვითღირებულებასა და დარგის დაბალრენტაბელობას, ხოლო, მეორეს მხრივ, აგრომწარმოებლების დაბალშემოსავლიანობას სხვა სექტორში დასაქმებულებთან შედარებით (მათ საქმიანობიდან მიღებული ამონაგები ელემენტარული საარსებო და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არ ყოფნით). საბოლოოდ ეს იწვევს არასასურველ შიდამიგრაციულ პროცესებს (სოფლიდან მოსახლეობის მიგრაციას ქალაქად);

• სოციალური ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა (მისი ჩამორჩენა ქალაქთან შედარებით) – სოფლად საავადმყოფოების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების არარსებობა, მოუწესრიგებელი კომუნალურ-საყოფაცხოვრებო-საბინაო, სატრანსპორტო მეურნეობა და სხვ. სოციალური ინფრასტრუქტურის ამოცანას წარმოადგენს ნორმალური ცხოველმოქმედება, კვლავწარმოება და სამუშაო ძალის მიმაგრებასოფლად. მისი მოუწესრიგებლობა კი განაპირობებს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესებას, სოფლის ახალგაზრდობისგან დაცლასა და შესაბამისად შრომის ნაყოფიერების შემცირებას.

ფაქტორები რომლებიც ირიბად განაპირობებენ დარგის დაბალ კონკურენტუნარიანობას და ხელს უშლიან მის განვითარებას – სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობის დარგების განუვითარებლობა, შედეგად ვერ გამოიყენება საშინაო მოთხოვნის პოტენციალი; სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სტაგნაცია; შხამქიმიკატებისა და აგროქიმიური მრეწველობის განუვითარებლობა; კოოპერაციისა და ინტეგრაციის დაბალი დონე სოფლის მეურნეობას, მის გადამამუშავებელ მრეწველობასა და სავაჭრო ქსელებს

შორის. რაც განაპირობებს აგრარულ ნედლეულზე დაბალ მოთხოვნას; აგროსასურსათო ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა და მასთან სოფლის მეურნეობის მწარმოებლების რთულად ხელმისაწვდომობა; აგროსასურსათო სავაჭრო ქსელის მაღალი მონოპოლიზაცია; ვიწრო საშინაო ბაზარი და მისი მცირე მსყიდველუნარიანობა, რაც იწვევს აგროსასურსათო საქონელზე დაბალ სამომხმარებლო მოთხოვნას და სხვ.

ცალკე შეიძლება განვიხილოთ ისეთი ირიბი ფაქტორი, როგორცაა, მაკროეკონომიკურ რეგულირებაში არსებული ხარვეზები, კერძოდ:

ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში – მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, სავალუტო პოლიტიკის შეუსაბამობა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან და ინტერესებთან, ეროვნული ბანკის მიერ საკრედიტო სისტემის არასათანადო რეგულირება და ზედამხედველობა. აღნიშნული ფაქტორები განაპირობებენ: **მაღალი სარგებლის განაკვეთს; საკრედიტო ბაზრის მონოპოლიზაციას; ვაჭრობის და არა რეალური სექტორის წახალისებას; დოლარიზაციის მაღალ დონეს; ეროვნული ვალუტის მოჭარბებულ კურსს და შესაბამისად იმპორტის სტიმულირებას, ექსპორტის შეზღუდვას და სხვა.**

უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი უარყოფით ტენდენციაა, **საბანკო-საკრედიტო და სადაზღვევო სისტემის მონოპოლიზაციის მაღალი დონე**. რამდენადაც მისი საბოლოო შედეგი არის ის, რომ ზემოგებას გამოდევნებული, დაბალრისკიანი (ძირითადად სავაჭრო) ოპერაციებზე ორიენტირებული საბანკო და სადაზღვევო მონოპოლიები არ არიან დაინტერესებული მაღალრისკიანი აგრარული სექტორით – **ბანკები არ იძლევიან არც მოკლევადიან, და მითუმეტეს, გრძელვადიან კრედიტებს წვრილგლეხურ და ფერმერულ მეურნეობებზე, რასაც ისინი ყველაზე მეტად საჭიროებენ.** (ეს დასტურდება ეროვნული ბანკის 2012 წლის მონაცემებით – კომერციული ბანკების ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხებიდან მხოლოდ 1,07 პროცენტი მოდის სოფლის მეურნეობაზე, მაშინ როდეს

აპარული სექტორი

საც 47,6 პროცენტი მოდის ვაჭრობაზე) **ფერმერული მეურნეობებისთვის მიუღებელია კრედიტის აღების პირობები** (მოკლევადიანობა, მაღალი პროცენტი, ლიკვიდური ქონებით დატვირთვით მოთხოვნა და სხვ.), **სადაზღვევო კომპანიები ფაქტობრივად არ აზღვევენ აგრარულ რისკებს**. ამის მაჩვენებელია ეროვნული ბანკის სტატისტიკა, რომლის მიხედვით სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურაში აგროდაზღვევა საერთოდ არაა წარმოდგენილი;

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაში – ბიუჯეტიდან ნაკლებად ხდება (რეფორმებამდე) აგრარული სფეროს სუბსიდირება, განსაკუთრებით ეს ეხება მხარდაჭერის ისეთ ირიბ ფორმას, როგორიცაა **საფასო მხარდაჭერა; არ გამოიყენება დარგის ხელშეწყობის ისეთი ქმედითი მექანიზმი, როგორიცაა სახელმწიფო შესყიდვების სისტემა; გამოყენებული საგადასახადო პრეფერენციების სისტემა უმნიშვნელო და არაეფექტურია და სხვ.**

საგარეო-ეკონომიკურ პოლიტიკაში – ზედმეტად ლიბერალურია საბაჟო-სატარიფო პოლიტიკა, არ გამოიყენება ბაზრის დაცვის საერთაშორისო შეთანხმებებით ნებადართული მექანიზმებიც კი (ანტიდემპინგური, დაცვითი, სანიტარული და სხვ.), ვერ ხერხდება რიგი ქვეყნების მხრიდან (ევროკავშირი, აშშ) შემოთავაზებული სავაჭრო პრეფერენციების სისტემების ათვისება, ვერ გამოიყენება ეკონომიკურად მომგებიანი პოტენციური სავაჭრო-პარტნიორი ქვეყნების ბაზრების პოტენციალი და სხვა.

ასევე შეიძლება ცალკე ფაქტორებად გამოვყოთ ანტიტრესტული რეგულირების არარსებობა, პროდუქციის ხარისხის არასათანადო კონტროლი, აგროსასაქონლო და საფონდო ბირჟების განუვითარებლობა და სხვ.

აქ მოკლედ ხაზი უნდა გავუსვათ ერთ ფაქტორს – აგროსასაურსათო ბაზრის მნიშვნელოვანი სეგმენტები მსხვილი აგროიმპორტიორების მხრიდანაა მონოპოლიზებული. რასაც ისინი ახერხებენ აგრესიული დემპინგის, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის – დაბალი ხარისხი – დაბალი ფასების მეთოდის გამოყენებით; მათ არც თუ იშვიათად ლობირებენ სახელმწიფო მოხელეები; ზოგჯერ პროცესს ხელს უწყობს კანონმდებლობაც კი (მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვების კანონი, რომელიც აგროსასაურსათო (და ნებისმიერი) საქონლის შესყიდვისას პრიორიტეტს არა საქონლის მაღალ ხარისხს (რომელიც ქართულ პროდუქციას ახასიათებს) არამედ, დაბალ ფასს (რაც უცხოური ნაწარმისთვისაა დამახასიათებელი) ანიჭებს). ეს საბოლოოდ განაპირობებს მრავალ აგრარულ პროდუქციაზე ფასების თვითღირებულების ზღვრამდე, და შესაბამისად, ეროვნული აგროსასაურსათო მწარმოებლების მოგების ნულოვან დონემდე შემცირებას.

დღეისათვის ხელისუფლებამ აგრარული მიმართულება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებად გამოაცხადა, შემუშავდა სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის სამთავრობო პროგრამა. განვიხილოთ მისი ძირითადი მიმართულებები და თუ რამდენად შეუწყობს

ის ხელს სფეროში არსებული პრობლემების აღმოფხვრას.

ჯერ შევეხოთ დაგეგმილ და მიმდინარე სამთავრობო პროგრამის მთავარ მიმართულებებს, ესენია:

- **მცირე მინიანი ფერმერების დახმარების პროგრამა** – ხორციელდება ვაუჩერული ფორმით და გულისხმობს სამი კატეგორიის მცირემინიანი ფერმერებისთვის (რომელთაც საკუთრებაში აქვთ 0-დან 5 ჰექტრის ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი), მიწის უფასო დამუშავებას (მოხვნასა და გაფხვიერებას) და ნედლეულისა და ინვენტარის გარკვეულ ფარგლებში უფასო შეძენის შესაძლებლობას. ამისათვის შესყიდულ იქნა ტრაქტორები, მოტობლოკები, მისაბმელები და სხვა ტექნიკა, შეიქმნა სპეციალიზებული მაღაზიები და სხვ.;

- **შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი** – ითვალისწინებს: მცირეფერმერებისთვის (რომლებიც არ არიან მცირე ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამის ბენეფიციარები) 5 000 ლარამდე უპროცენტო სასაქონლო კრედიტის (განვადების) შეთავაზებას ერთი სეზონის ვადით, საშუალო და დიდი ფერმერებისთვის 5 000-დან 100 000 ლარამდე არაუმეტეს 7-8 პროცენტიანი კრედიტის მიცემას 1 წლამდე ვადით, სასოფლო-სამეურნეო სანარმოებისთვის 1 მილიონ ლარამდე საშუალოდ 3 პროცენტიანი გრძელვადიანი კრედიტის აღების შესაძლებლობას;

- **სასოფლო-სამეურნეო სანარმოებისა და ინფრასტრუქტურის დაფინანსების პროექტი** – გულისხმობს სასაწყობო, დამფასოებელი, სამაცივრე, სასათბურე მეურნეობებისა და თანამედროვე ფერმების, გადამამუშავებელი სანარმოების და სხვა განვითარების ინიციატივების იაფი და გრძელვადიანი ფულადი რესურსით მხარდაჭერას. მენარმეთათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამ ტიპის სესხებზე იქნება საკმაოდ დაბალი, დაახლოებით 3%;

- **საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციის პროგრამა** – გულისხმობს სამელიორაციო, სადრენაჟე და მთლიანად საირიგაციო სისტემების მოწესრიგებას, რისთვისაც შეძენილ იქნა სპეც-ტექნიკა;

- **საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების შექმნა** – სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ეფექტურად განხორციელებისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით ადგილზე ყოველდღიურ რეჟიმში გლესებსა და ფერმერებზე კონსულტაციების განწევა;

- **შემუშავებულია ევროკავშირთან თანამშრომლობით სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი** – გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერას და სხვ.

თავდაპირველად განვიხილოთ რამდენად საკმარისია და რამდენად შეუწყობენ აღნიშნული სახელმწიფო ღონისძიებები სფეროს დაბალეფექტურობის, დაბალკონკურენტუუნარობის განმაპირობებელი ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი პირდაპირი და ირიბი ფაქტორების ნეიტრალიზებას.

ერთ-ერთ მიზეზად ჩვენ დავასახელებთ **კონცენტრაციის დაბალი დონე**. მის ამაღლებას ხელი უნდა



შეუწყოს კოოპერაციული გაერთიანებების შექმნამ. მის გარეშე წარმატების მიღწევა კონკურენტულ ბაზარზე შეუძლებელი იქნება. როგორც წესი, კოოპერაციაზე დაფუძნებული აგრარული მეურნეობები ეკონომიკურ კავშირებს წმინდა საბაზრო ურთიერთობებზე ამყარებენ. მათსა და მომხმარებელს შორის შუამავალი კი სამომხმარებლო, გადამამუშავებელი და სხვა სახის კოოპერაციებია. დაგეგმილმა სამთავრობო ღონისძიებებმა, განსაკუთრებით დაკრედიტების სისტემამ და ევროკავშირის კოოპერაციებზე დახმარების პროგრამამ გარკვეულწილად ხელი უნდა შეუწყოს ამ პროცესს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი ბაზრის პირობებში კოოპერაციებიც ვერ შექმნიან გამსხვილების საკმარისი ხარისხს კონკურენტუნარიანობის მოპოვებისთვის საშინაო და განსაკუთრებით საგარეო ბაზრებზე. ამისათვის აუცილებელია კონცენტრაციის კიდევ უფრო მაღალი დონე, სპეციალიზებული და მრავალდარგოვანი აგროსამრეწველო მიმართულებების შექმნა აგროსამრეწველო ჯგუფების, კლასტერების სახით, ორგანიზაციულ-ინსტიტუციური სტრუქტურით – ჰოლდინგები, ასოციაციები, რომლის ფარგლებში შეიძლება შედიოდნენ საკრედიტო-ფინანსური დაწესებულებები და სხვა. ინტეგრირებულმა ასკ-ს კოოპერაციამ უნდა მოიცვას აგრარული ნედლეულის წარმოება, ტრანსპორტირება, შენახვა, გადამამუშავება, საბოლოო პროდუქტის რეალიზაცია, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, სამეცნიერო-კვლევითი-საკონსულტაციო მუშაობა და სხვა.

აღნიშნულ სისტემაში სოფლის მეურნეობის მწარმოებლების ჩართულობა (მაგალითად წილების, აქციების პაკეტის ფლობის სახით და სხვ.) უნდა იყოს რაც შეიძლება მაღალი – მათ უნდა შეეძლოთ სასაოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებიდან მოხმარებამდე მთელ ჯაჭვში წარმოქმნილ მოგების ფორმირებასა და გადანაწილებაში მონაწილეობის მიღება (ეს ხელს შეუწყობს ასკ-ის ფარგლებში ქვედარგებს შორის შემოსავლების კუთხით არსებული ღრმა დისპარიტეტის აღმოფხვრასაც). რა თქმა უნდა, ამისთვის დაგეგმილი სამთავრობო პროგრამები

საკმარისი არ იქნება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საწყის ეტაპზე, სახელმწიფომ თვითონ შექმნას აგრარული სექტორის მომსახურე თუნდაც რამოდენიმე კლასტერული გაერთიანება სხვადასხვა რეგიონში.

ერთ-ერთი ფაქტორია – დარგის ინფრასტრუქტურა, რომლის გარკვეული მიმართულებების მონესრიგებაც პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია. თუმცა, პროდუქციის შენახვის მეურნეობების მხოლოდ ინიციატივების დაკრედიტება პროგრამით გათვალისწინებული. მიგვაჩნია, რომ მთავრობამ, საწყის ეტაპზე, ვიდრე სფერო არ მიაღწევს რენტაბელობის აუცილებელ, კერძო სექტორისთვის მიმზიდველ დონეს, თვითონ უნდა უზრუნველყოს ასეთი მეურნეობების შექმნა, სახელმწიფო რეზერვების შესაქმნელად და დაბალშემოსავლიანი ფერმერული მეურნეობების მომსახურებისთვის.

პროგრამის მიღმა რჩება სოციალური ინფრასტრუქტურის მონესრიგება, რაც მთავრობის მხრიდან აუცილებლად გადასაჭრელ საკითხად რჩება. მის გარეშე, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ძნელი იქნება სოფლად ახალგაზრდების „დაკავება“ და იქ კვალიფიკაციური კადრების მიზიდვა.

რაც შეეხება ტექნოლოგიური და ინოვაციური ჩამორჩენის საკითხს. ის მოითხოვს მსხვილი კაპიტალდაბანდების განხორციელებას. ამისათვის კი აუცილებელია როგორც ადგილობრივი ასევე უცხოური პოტენციური ინვესტორების გააქტიურება.

დღეისათვის ამ კუთხით სიტუაცია არასაიმედოა – უცხოური ინვესტიციები არ შემოდის დაბალრენტაბერულ და სარისკო აგრარულ სფეროში (პირდაპირ უცხოური ინვესტიციებიდან სოფლის მეურნეობასა და თევზჭერაზე 2011 წლის მონაცემებით მოდის მხოლოდ 1,3 პროცენტი); ადგილობრივი აგროიმპორტიორები, რომლებიც, არც თუ იშვიათად, თვითონ წარმოადგენენ ამა თუ იმ ფორმით აგრარული მეურნეობისა (მაგალითად სასათბურე მეურნეობის) თუ სხვა მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის (მაგალითად აგროსაწყობების) მფლობელებს, და, რომლებიც ფაქტობრივად წარმოადგენენ მიმართულების ერთ-ერთ პოტენციურ

აპარატი სექტორი

შიდა ინვესტორებს, ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის შემოტანას ამჯობინებენ მის ადგილზე წარმოებას, რამდენადაც სახელმწიფო თავის ეკონომიკური პოლიტიკით ახალისებს იმპორტს და არა ქვეყნის შიგნით წარმოებას.

რა თქმა უნდა მხარდაჭერის ფარგლებში დაგეგმილი გარკვეული ღონისძიებები (იაფი კრედიტის პროგრამა) მხოლოდ გარკვეულწილად შეუწყობს ხელს დარგში ინვესტიციების გაფართოების პროცესს, რამდენადაც მთავრობა ახდენს პროცენტის სუბსიდირებას, ხოლო, სესხის დაფარვის რისკი ბანკებს ეკისრება. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ბანკებმა ეს რისკი თავის თავზე აიღონ და მოახდინონ აგრარული სექტორის მასშტაბური დაკრედიტება. პროგრამის ეფექტურობის გაზრდისთვის აუცილებლად მიგვაჩნია, რომ ამ მხრივ გარანტიორად მთავრობა გამოვიდეს. ამასთან, თუ არ იქნა მკაცრი სახელმწიფო ზედამხედველობა, დაბალპროცენტიანი კრედიტები არა აგრარულ, არამედ, ისევე, უფრო მომგებიან, სავაჭრო და იმპორტის სფეროში მოხვდება.

პროგრამის მიღმა დარჩენილი და მწვავე პრობლემად რჩება აგროდაზღვევის საკითხი. დაზღვევა ფინანსური მხარდაჭერის ძლიერ საშუალებას წარმოადგენს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია საწყის ეტაპზე მთავრობამ მოახდინოს აგრორისკების დაზღვევა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **საერთოდ პროგრამის მიმდინარეობა უნდა ექვემდებარებოდეს მკაცრ სახელმწიფო კონტროლს, რამდენადაც, როგორც მოსალოდნელი იყო, სუსტი ზედამხედველობის პირობებში, ადგილი ჰქონდა კორუფციასა და კომერციულ თაღლითობებს (კორუფციას თვით სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ვაუჩერების არამიზნობრივად გამოყენების არც თუ იშვიათ შემთხვევებს), რაც საფრთხეს უქმნის პროგრამის ეფექტურობას.**

დარგის მატერიალურ-ტექნიკურ განახლებას მხოლოდ გარკვეულწილად შეუწყობს ხელს პროგრამის ფარგლებში ტექნიკის (ტრაქტორების) შეძენა. **აქ დიდი როლის შესრულება შეუძლია ლიზინგს.** საქართველოში სალიზინგო ოპერაციებს ფაქტობრივად მხოლოდ ბანკები ასრულებენ, ისიც ფორმალურად, მიუხედავად იმისა, რომ ლიზინგური ოპერაციების რისკი უფრო ნაკლებია, სხვა საბანკო პროდუქტთან შედარებით, მისი ხასიათიდან გამომდინარე, რამდენადაც თვითონ ლიზინგის ობიექტით არის სესხი უზრუნველყოფილი. აუცილებლად მიგვაჩნია ლიზინგური ოპერაციების გაფართოება მძლავრი სახელმწიფო ლიზინგური ფირმების შექმნითა და უცხოური სალიზინგო კომპანიების მოზიდვით. ის სწრაფი ტექნოლოგიური გადაიარაღების საშუალებას მოგვცემს და ხელს შეუწყობს თანამედროვე ტექნოლოგიების ბაზრის ფორმირებასაც ქვეყანაში.

ამასთან, დარგში კაპიტალდაბანდების გაზრდისთვის მთავარია სფერო გახდეს შემოსავლიანი, მომგებიანი. ამისათვის კი საწყის ეტაპზე აუცილებელია დარგის სახელმწიფო საფასო მხარდაჭერა. მისი აუცილებლობა განპირობებულია ასევე მოსალოდნელი ჭარბწარმოების ნეგატიური შედეგების (ფასების პროდუქციის

თვითღირებულების ზღვრამდე შემცირების) თავიდან ასაცილებლად.

აგრარული ფასებისა და ფერმერული შემოსავლის პოლიტიკას იყენებს თითქმის ყველა განვითარებული ქვეყანა და მიზნად ისახავს ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლების დაკვირვება-შენარჩუნებას, როგორცაა: **საწარმოო დანახარჯები, ფასების პარიტეტი სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, ფერმერების შემოსავლები და სხვ.**

უცხოეთის ქვეყნებში ასკ-ში ფასწარმოქმნის ძირითად საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის შესყიდვის ფასების მისი წარმოებისა და რეალიზაციის საზოგადოებრივ აუცილებელ ხარჯებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამასთან, ცდილობენ გაითვალისწინონ მსოფლიო ბაზრის ფასების დინამიკა. ფასების მნიშვნელოვან ფუნქციად რჩება სოფლის მეურნეობის შემოსავლების რეგულირება მისი შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად. ფასწარმოქმნის სისტემა ითვალისწინებს ოპერატიულ დაკვირვებას წარმოების საშუალებების, სოფლის მეურნეობაში დანახარჯებისა და შემოსავლების, აგრარული პროდუქციის ფასების დინამიკაზე.

საფასო მხარდაჭერა (რეგულირება) უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებში თითქმის ერთნაირია და გულისხმობს: ფასების მერყეობების ქვედა და ზედა ზღვრების დაწესებას და ამით ინდიკატური ან პირობითი ფასების სახელმწიფო მხარდაჭერას;

მაგალითად აშშ-ში სახელმწიფო მხარდაჭერის ფარგლებში არსებობს ორი სახის ფასები: **მიზნობრივი (გარანტირებული) ფასები**, რომელიც ვრცელდება სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან პროდუქციაზე. ის გაანგარიშებულია იმგვარად, რომ მან უზრუნველყოს გარანტირებული დონის შემოსავალი რათა მიღწეულ იქნას გაფართოებული კვლავწარმოება. რეალიზაცია ფერმერული პროდუქციის ხდება საბაზრო ფასით, რომელიც შეიძლება იყოს გარანტირებული ფასზე მაღალი, დაბალი ან მისი ტოლი. თუმცა წლის ბოლოს (ზოგჯერ წლის განმავლობაში საავანსო გადახდით) ფერმერი ღებულობს სხვაობას გარანტირებულ და საბაზრო ფასს შორის თუ ეს უკანასკნელი მეტი დაბალია. ამგვარად, სწორედ გარანტირებული ფასი წარმოადგენს ფერმერისათვის, საბოლოო რეალიზაციის ფასს.

გირავნობის ფასი (განაკვეთი) – გირავნობის ფიქსირებული ფასით ფერმერი აბარებს სასაქონლო-საკრედიტო კორპორაციას გირავს სახით მის მთლიან პროდუქციას მაშინ, თუ საბაზრო ფასები არის გირავნობის ფასზე დაბალი. ამასთან, 9 თვის განმავლობაში ფერმერს უფლება აქვს გამოისყიდოს დაგირავებული პროდუქცია (ამასთან თუ ამ პერიოდის განმავლობაში მსოფლიო ფასი აღმოჩნდება გირავნობის ფასზე დაბალი, მაშინ, ფერმერს უფლება აქვს ჩაბარებული პროდუქცია გამოისყიდოს მსოფლიო ბაზრის ფასით, ამით ფერმერი ღებულობს სუფთა მოგებას გირავნობის ფასსა და მსოფლიო ფასს შორის არსებული სხვაობის შედეგად). ამ



ვადის გასვლის შემდეგ კი ფერმერი კარგავს უფლებას ამ საქონელზე, ხოლო ფერმერი მასზე ლეზულობს ფულად კომპენსაციას გირავნობის ფასით შენახვის დანახარჯის გამოკლებით. გირავნობის ფასი წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე გარანტირებული ფასის ქვედა ზღვარს.

საინტერესოა ევროკავშირის პრაქტიკაც. იქ არსებობს 3 სახის საფასო მხარდაჭერა – **მიზნობრივი, დოტაციური და დამატებითი ფასები**. მიზნობრივ ფასებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ყოველწლიურად განსაზღვრავს და ამტკიცებს მხოლოდ აგრარული საქონელმწარმოებლების გაერთიანების თანხმობით. წლის განმავლობაში ეს ფასები შეიძლება კორექტირდეს ინფლაციის გათვალისწინებით. მიზნობრივი ფასის დგინდება უკეთესი პირობების რაიონების სოფლის მეურნეობის მწარმოებლების თვითღირებულების კალკულაციის საფუძველზე. უარესი პირობების რაიონებისთვის გათვალისწინებულია დოტაციები. დოტაციური ფასები იმავე პროცედურებით მტკიცდება, როგორც გარანტირებული ფასები, მაგრამ მხოლოდ ექსპორტზე გამავალ სოფლის მეურნეობის პროდუქციისთვის. ამასთან, თუ ფერმერი აწარმოებს საექსპორტო პროდუქციას დოტაციურ ფასზე მაღალი ფასით, მაშინ, ზარალს მას არ უნაზღაურებენ. უფრო მეტიც, თუ ის აჭარბებს საექსპორტო კვოტით გათვალისწინებულ მოცულობას, სიჭარბე არ ექვემდებარება დოტაციური ფასით გადახდას. სახელმწიფო კვოტის ზემოთ წარმოებული პროდუქციისთვის გათვალისწინებულია დამატებითი ფასები, რომელიც იცვლება საშინაო ბაზარზე ცალკეულ აღებული რეგიონის მიხედვით არსებული სიტუაციის შესაბამისად.

შემოსავლების საფასო მხარდაჭერა შეიძლება განხორციელდეს როგორც აღნიშნული მეთოდების დახმარებით, აგრეთვე, სუფთა ეკონომიკური, საბაზრო მექანიზმის გამოყენებით – მოთხოვნის გაზრდით. მოთხოვნის გაზრდა შესაძლებელია მიიღწეს შესყიდვითი ინტერვენციით, შემოსავლების გაზრდით, საგარეო ბაზ-

რების ათვისებით და სხვ. შეიძლება ცალკე გამოვყოთ აგრარული პროტექციონიზმი.

შესყიდვითი ინტერვენცია ეს არის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთავრობის მიერ ორგანიზაციული შესყიდვა, რომელიც მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსების გზით აგრარული საქონელმწარმოებლებისთვის შემოსავლებისა და მოგების აუცილებელი დონის შექმნით, გაფართოებულ კვლავწარმოების უზრუნველყოფასთან ერთად, მიზნად ისახავს სახელმწიფოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მასტაბილიზებელი ფონდებისა და მატერიალური რეზერვების შექმნას და ამით სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

საქართველოში მიზანშეწონილია ფასებისა და შემოსავლების რეგულირების (ასევე შესყიდვითი ინტერვენციის) განხილული პრაქტიკის დანერგვა. მისი გამოყენება აუცილებელია საწყის ეტაპზევე, რამდენადაც ჭარბწარმოებამ, რომელიც სასურველი კლიმატური პირობების შემთხვევაში სავარაუდოდ მოჰყვება სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის გატარებულ ფრანგმენტულ ღონისძიებებს, აგრარულ ნაწარმზე ფასის (ამასთავე შემოსავლების) მიხედვით არაელასტიური მოთხოვნის პირობებში, შეიძლება ფერმერების დაგეგმილი მოგება ზარალად გადააქციოს.

უნდა აღინიშნოს, რომ შესყიდვითი ინტერვენციების განხორციელებისთვის აუცილებელი იქნება პირველ რიგში სახელმწიფო შესყიდვების კანონში ცვლილებების შეტანა და სახელმწიფო შესყიდვების წარმოებისას ადგილობრივ აგრარულ ნაწარმზე პრიორიტეტის მინიჭება უცხოურთან შედარებით.

რაც შეეხება შემოსავლების გაზრდას, ის საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის დახმარებით უნდა განხორციელდეს. კერძოდ, მის ერთ-ერთ მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს ეფექტური სოციალური პროგრამების გატარებისა და გადასახადების დიფერენცირების გზით (საშემოსავლოს დანესება ოჯახის შემოსავალზე და მისი განაკვეთის შემცირება დაბალშემოსავლიან ოჯახებისთვის, დღგ-ს შემცირება სასურსათო საქონელზე და

სხვ.) სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი ადამიანების გადახდისუნარიანობის მხარდაჭერა და ამით სამომხმარებლო მოთხოვნის სტიმულირება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც უცხოური გამოცდილება ადასტურებს, მაღალი გადახდისუნარიანი მოთხოვნის დონე არ წარმოადგენს აგრობიზნესის მომგებიანობის გაზრდის გარანტიას. ასევე აუცილებელია აგრარული სფეროსთვის საგადასახადო პრეფერენციების დანესება დიფერენცირებული სახით რეგიონული ნიშნით.

მნიშვნელოვანია ისეთი საკითხის გადაჭრა, როგორცაა **დარგის ინოვაციური უზრუნველყოფა** – ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და მის საფუძველზე რესურსტეკვალობის შემცირება, შრომის მწარმოებლობის გაზრდა. მართალია საწყის ეტაპზე ვერ მოხდება მასშტაბური სამეცნიერო კვლევების წარმოება, თუმცა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მსოფლიოს მიღწევების ადგილობრივ პირობებზე „მორგება“ და ფერმერებამდე მისი „მიტანა“. ამისათვის აუცილებელია სახელმწიფომ შექმნას ქმედითი, პრაქტიკულ შედეგებზე ორიენტირებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, ლაბორატორიების, საკონსულტაციო დანესებულებების ერთიანი ქსელი.

ქმედითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას კონკურენციის გაძლიერებისა და მონოპოლიების შეზღუდვის მიმართულებით. პირველ რიგში უნდა დასრულდეს ენერგო-მატარებლების; ენერგეტიკის; აგროქიმიკატებისა და პესტიციდების; აგროსასურსათო სავაჭრო ქსელების და აგრარულ სექტორთან დაკავშირებული სხვა სფეროებში მონოპოლიური ბატონობა.

აგრარული სექტორის მხარდაჭერის ვერც ერთი ღონისძიება ქმედით შედეგს ვერ გამოიღებს, თუ არ მიიღ-

ნევა გასაღების უცხოური ბაზრების მოძიება-ათვისება. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოტენციურ მასიური გასაღების ბაზრად ისევ პოსტსაბჭოთა ქვეყნების (უპირველესად რუსეთის) ბაზრები რჩება. რამდენადაც, მიუხედავად სხვადასხვა განვითარებული ქვეყნის მხრიდან (აშშ, ეკ) პრეფერენციების განსაკუთრებული რეჟიმების შემოთავაზებისა ამ ქვეყნების ბაზრებზე ქართულმა აგროსასურსათო პროდუქციამ ფართო გასაღება ვერ ჰპოვა. ამ კუთხით სიტუაციის გამოსწორების ალბათობა არც თუ დიდია – ამდენად, ორიენტაცია ალებული უნდა იქნეს ტრადიციული გასაღების (მათ შორის უპირველესად რუსეთის) ბაზრებზე.

გარდა აღნიშნული პრინციპებისა, აგრარული პოლიტიკის გატარებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბაზრის დაცვასთან (მათ შორის ხარისხის კონტროლთან) დაკავშირებული პრობლემა. როგორც მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს პროტექციონიზმი. სწორედ ის წარმოადგენს ბაზრის, და მაშასადამე, დარგის საფასო და შემოსავლიანობის მხარდაჭერის ერთ-ერთ ქმედით მექანიზმს. ამგვარად, აუცილებლად მიგვაჩნია სახელმწიფოს სავაჭრო-ეკონომიკურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი კორექტივების შეტანა.

ზვიად ბეშკენაძე, სოციალურ მეცნიერებათა (ეკონომიკა) დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული პროფესორი

MACROECONOMIC ASPECTS OF RISING EFFICIENCY OF AGRARIAN SECTOR

Summary

Zviad Beshkenadze- IvaneJavakhishvili Tbilisi State University, Doctor of Social Sciences (Economy), Associated professor

In the work there are discussed direct and indirect factors of law efficiency of agrarian sector. From the direct reasons there are analyzed such factors as are: low level of concentration, backwardness of real and social infrastructure, technological backwardness in agrarian field, high prices of energy resources, disparity of prices between agrarian and other products. From indirect reasons there are analyzed factors as are: backwardness of processing industry of agricultural products, agrarian mechanical engineering, agrochemical industry and other related fields, monopolization of trade network, unprotection of the market and others. There is separately analyzed such reasons as are: gaps in macroeconomic policy (monetary-credit, budgetary- taxation, foreign- economic), antimonopoly regulation and others.

In the work there are discussed main directions of planned and current government programs of agrarian sector and there are analyzed how they can support in solving problems in the field. There are substantiated and offered specific proposals to improvement of agrarian policy. Among them the most important is the price policy in order to make correspondence between prices and industrial costs, to achieve parity of prices and regulate incomes of farmers. It's essential to establish target and mortgage prices. Also, there is substantiated applying of purchase interventions at the beginning as overproduction, which may follow supposedly to support of fragment arrangements of agriculture, may turn profit into loss. Also, there is offered taking different arrangements.

ადამიანური რესურსების როლი ბიზნესის განვითარებაში

თანამედროვე ბიზნესის წარმოებისას, როდესაც ფირმები და კომპანიები ძალიან სწრაფი ტემპით ზრდიან თავიანთ საქმიანობას საზღვარგარეთ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მათი სათანადო კადრებით უზრუნველყოფა.



ეფექტიანი ბიზნესის წარმოება მნიშვნელოვანწილად დამყარებულია სუბიექტებს შორის საქმიან ურთიერთობებზე, ადამიანთა ჯგუფებსა და პიროვნებათშორის ურთიერთობებზე. ასეთი ურთიერთობების შედეგები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კონკრეტულ სუბტუაციაზე, რომელთა ცვლილებების ხარისხი ინფორმაციის სწრაფი გავრცელების გამო ძალიან მაღალია.

აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა მრავალი სხვადასხვა ფაქტორით განისაზღვრება. ესენია: **განსხვავებები შრომის ბაზრებში, კადრებისა და სამუშაო ძალის შერჩევა და მომზადება, მართვის სტილი და პრაქტიკა, ტერიტორიული დაშორება, მრავალეროვნული საკუთრების არსებობა, უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა და სხვა.**

ადამიანური რესურსების ფუნქციები განსაზღვრავენ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციებში ადამიანის მართვასთან და განვითარებასთან. მათ ეხებათ ისეთი სფეროები, როგორცაა **ორგანიზაციის სტრუქტურული სქემა და განვითარება, ადამიანური რესურსების დაგეგმვა, დაკომპლექტება და შერჩევა, განვითარება და ტრენინგი, დაქირავებულთა წახალისება, მათი ურთიერთობები, ჯანდაცვა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა, კანონიერი მოთხოვნილებების შესრულება და სხვა საკითხები.**

ადამიანური რესურსების ფუნქციის როლი შესაძლებლობას აძლევს ორგანიზაციას, მიაღწიოს საკუთარ მიზნებს ინიციატივის ხელში აღებით და რეკომენდაციების უზრუნველყოფით. მთავარ მიზანს კი წარმოადგენს მმართველების მხრიდან ხალხის მართვისა და სამუშაო ძალას შორის ურთიერთობის ეფექტიანად წარმართვის გაძლიერება, მთავარია

აგრეთვე ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ადამიანი საუკეთესოდ გამოიყენებს თავის უნარს და პოტენციალს როგორც ორგანიზაციის, ისე თავის სასარგებლოდ!

კადრების მართვა ხორციელდება, როგორც ბიზნესის მართვის პროცესის ნაწილი. ადამიანური რესურსების მართვა განიხილება როგორც კადრების სტრატეგიული მართვის მეთოდი. ადამიანური რესურსების მართვის დამახასიათებელი ნიშნებია სტრატეგიული შესაბამისობა (ინტეგრაცია), შეთანხმებულობა-მართვის მეთოდების შეჯერება, ვალდებულება(მოვალეობა)-ორგანიზაციის ამოცანებისა და ღირებულებების მიმართ პასუხისმგებლობის ზრდა და მოვალეობის გრძნობის გათავისება, ადამიანის გადაქცევა კაპიტალად და ადამიანურ კაპიტალად, კორპორატიული კულტურა, უნიტარული ურთიერთობები, მმართველობის პასუხისმგებლობა.

ბიზნესში მნიშვნელოვანია მართვის ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების საქმიანობის შერჩევა, შეფასება, ანალიზი და შესრულების უნარი. ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი მოთხოვნებია **ადამიანის შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება, ადამიანის წვლილის უმაღლეს დონეზე აყვანის მეთოდების გამოვლენა, უნარიანი ადამიანის წინსვლის შესაძლებლობის მიცემა, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის სპეციალური ტრენინგების განხორციელება, წახალისების და წარმოების მართვის ეფექტიანი დაგეგმვა, სამუშაო ძალის ფიზიკური და გონებრივი სრულყოფის შენარჩუნება, სათანადო პირობების, ჯანდაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.**

ადამიანური რესურსების მართვა განსხვავებულია ბიზნესის სახეების მიხედვითაც, რაც შესაბამისად დამოკიდებულია ბიზნესის სახეობის, მმართველი ძალის, ტექნოლოგიური პროცესების, ორგანიზაციის საქმიანობის და სხვა საკითხებზე.

ადამიანური რესურსების მართვას ორი ძირითადი მიზანი გააჩნია - **მიაღწიოს სტრატეგიულ ინტეგრაციას, რაც გულისხმობს იმას, რომ ორგანიზაციას ჰყავდეს კვალიფიციური, ვალდებულების გრძნობის მქონე და**

აბრარული სექტორი

კარგად წახალისებული სამუშაო ძალა საკუთარი ბიზნეს-ამოცანების მისაღწევად და შესაბამისობა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და დასაქმების პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში.

ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი დამახასიათებელია ის, რომ იგი ჰორიზონტალური მენეჯერების ხელშია და მისგან იმართება. ამ ვითარებაში ადამიანური რესურსების მენეჯერები რჩებიან ყოველდღიური ფუნქციებით, კერძოდ: დაკომპლექტება, ფიზიკურად მომუშავეთა შერჩევა და დოკუმენტაციის შენახვა. თუ ჰორიზონტალური მენეჯერები შერჩევას, დაკომპლექტებას და დისციპლინარულ საკითხებს აგვარებენ, მართვის სპეციალისტები პასუხს აგებენ ისეთ საკითხებზე, როგორცაა ტრენინგების აუცილებლობის ანალიზი, ადგილზე კურსების ჩატარება, ანაზღაურება და შეღავათები.

ამასთან ერთად, ხშირად მენეჯერებს წინააღმდეგობა ხვდებათ პერსონალის მხრიდან. უმაღლესი ხელმძღვანელობის მხარდაჭერის მიღება შესაძლებელია ადამიანური რესურსების ფუნქციის მარკეტინგული პროცესების მეშვეობით და დარწმუნებით. მხარდაჭერის მოპოვება მოითხოვს ბაზრის შესაძლებლობების შესწავლას.

ბიზნესში წარმატების მიღწევა, უპირველეს ყოვლისა, ნდობის ფაქტორზეა დამოკიდებული. ნდობა, იგივე შუამავალია ბიზნესის ორ სუბიექტს შორის. უმაღლესი მმართველობა და ჰორიზონტალური მენეჯერები შიდა

მომხმარებლები არიან, რომელთა სურვილებსა და მოთხოვნილებებს ადგენს და აკმაყოფილებს ადამიანური რესურსების ფუნქცია.

ჩვენის აზრით, აუცილებელია ბიზნესის მოთხოვნილებების და მისი წარმატების გადამწყვეტი ფაქტორის გაგება. ბიზნესის მოთხოვნილებების შეცნობის შემდეგ ირკვევა, თუ რომელმა მენეჯერმა უნდა დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნები. უნდა გაირკვეს ხალხთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც მათ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ რესურსებით მომარაგების, წახალისების და მოტივაციის, დაქირავებულთა კვალიფიკაციის ამაღლების, ტრენინგისა და ურთიერთობის სფეროებში.

ადამიანური რესურსების მართვის საფუძველია ეკონომიკური თეორია, ხოლო კვლევის მეთოდები - ზოგადი და კერძო. ეს მეთოდები გულისხმობს ბიზნესის სამყაროს ადამიანური კაპიტალის, ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ერთ მთლიანობაში, მუდმივ მოძრაობაში განხილვას, მენეჯმენტის სისტემის შემადგენლობას, მის შინაგან და ფუნქციურ თვისებებს შორის კავშირების განხილვას და რისკ ფაქტორების გათვალისწინებას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ნებისმიერი სახის ბიზნესის განვითარებაში.

მანია სუციშვილი,
სოციალური მეცნიერების დოქტორი.
თინაგი ლაჭუპიანი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.ლომაია ც. - ადამიანური რესურსების მენეჯმენტი.
2. ფარესაშვილი ნ. ქეშელაშვილი ი.- ორგანიზაციული ქცევა.

The role of human resources in business development

M.khutsishvili - doqtor of Social Sciences
T.Latshkepiani – Doqtor of Ekonomics Sciences

Resume

This article covers the role and functions of the human resources imposed on business development. Effective business depends on the business relations between various entities. Selection, evaluation, analyses and performance check of the managing directors and specialist, plays an important role in business development as well.

აგრობიზნესის განვითარების თავისებურებანი საქართველოში

საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა და სრულყოფის კვალობაზე ქვეყნის სოფლის მეურნეობა თანდათან ყალიბდება აგრობიზნესად. აგრობიზნესი მოიცავს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ბიზნესის მთელ სპექტრს, კერძოდ მასში გაერთიანებულია ფერმერული (გლეხური) მეურნეობები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, აგრობანკები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და მომსახურე ინფრასტრუქტურის საწარმოები და მრავალი სხვა დანესებულებები.



საბაზრო ეკონომიკის პირობებში აგრარულ სექტორში ფართო გავრცელება ჰპოვა მეწარმეობის მრავალმა ფორმამ, მაგრამ ინდივიდუალური მეწარმეობა ყველაზე ფართოდ ადაპტირდება აგრობიზნესთან, რადგან იგი ყველაზე კარგად პასუხობს მრავალი პიროვნების სურვილს - იმოქმედოს და იყოს თავის თავის ბატონ-პატრონი. ამ კუთხით საქართველოს პირობებში აგრობიზნესში ყველაზე პრიორიტეტულია მცირე ბიზნესის განვითარება, რომლის წვლილიც აგრობიზნესის განვითარებაში შემდგომში მდგომარეობს:

- მცირე ბიზნესის მიზანია ახალი პროდუქტის შექმნა - ფერმერი ცდის ახალ ჯიშს, ახალ ტექნოლოგიას, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ბიზნესი იზრდება და შესაბამისად, იზრდება ახალ პროდუქციაზე მოთხოვნილებებიც;

- სოფლად მცირე ბიზნესი ფერმერს აძლევს საშუალებას შეიძინოს გამოცდილება, რომელიც შესაძლებელია უფრო დიდი მასშტაბით იქნეს გამოყენებული;

- მცირე ბიზნესი განსაკუთრებით ხელსაყრელია ადგილობრივი სპეციალიზირებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;

აგრარულ სექტორში ბიზნესის განვითარებისა და გაფართოების საქმეში ერთ-ერთ მნიშვნელოვანი გზაა ერთობლივი საწარმოს შექმნა. ერთობლივ საწარმოებს რიგი უპირატესობა გააჩნია, კერძოდ, ამ დროს ხდება ერთობლივი უნარის გამოყენება კომპანიის მართვაში.

პირველი - პარტნიორი შეიძლება უფრო კვალიფიციური იყოს წარმოების მართვაში, **მეორე** - მარკეტინგში, **მესამე** - ფინანსურ მენეჯმენტში და ა.შ. უკანასკნელ პერიოდში ფართოდ იკიდებს ფეხს აგრობიზნესში ფრანჩაიზის პრაქტიკის გამოყენება. კერძოდ, აღიარებული კომპანია ნებას რთავს ინდივიდუალურ პირებს (ფერმერებს) ან მეწარმეთა ჯგუფს, გამოიყენოს მისი სახელი საწარმოო ან კოოპერატიულ ჯაჭვში. სასაქონლო ბირჟების ჩამოყალიბება წარმოადგენს ნებაყოფლობით სავაჭრო გაერთიანებებს. ყველაზე მნიშვნელოვანი ბირჟებთან თავმოყრილია ჩიკაგოში, რომელიც ისტორიულად ამერიკის აგრარული ინდუსტრიის ცენტრს. ჩიკაგოს მნიშვნელოვანი ბირჟა (chicago mereantie exana nge) რომელიც ძირითადად ვაჭრობს ფერმერთა პროდუქტით.

მეტად საინტერესოა სასაქონლო-სავაჭრო სისტემის მოქმედების მექანიზმი. დავუშვათ ფერმერმა იყიდა სტანდარტული კონტრაქტი 1000 ტონა ყურძენზე, მას შეუძლია გადაიხადოს აღნიშნულ პროდუქტზე თანხა და გახდეს ყურძნის მფლობელი, ან შეუძლია აღნიშნული კონტრაქტი გაასხვისოს (გაყიდოს) სხვა ფერმერზე. მოსახლეობის უმრავლესობას არ ჭირდება ამდენი ყურძენი და არ აქვთ მისი შესანახი და გადასამუშავებელი ადგილი. ამდენად მათი შენაძენი მხოლოდ ქალაქებში არსებული გარიგებაა, რომელსაც ისინი ინახავენ იმ იმედით, რომ კონტრაქტს მომგებიანად გაყიდიან.

საქართველოში აგრობიზნესის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგმული იქნა უკანასკნელ წლებში. კერძოდ, მთავრობის მიერ რეალიზებულ იქნა მცირე მიწიანი საოჯახო მეურნეობების დახმარების პაკეტი, რომლის ფარგლებშიც საერთო ჯამში დახმარება გაეწია სოფლად 640 ათასზე მეტ მიწის მესაკუთრეს, რომლებსაც საკუთრებაში ჰქონდათ 5 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო მიწა. კერძოდ: 0,25 ჰა-მდე მიწის მესაკუთრეებს გადაეცათ 100 ლარიანი ნომინალური ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ბარათი.

აგრარული სექტორი

ხოლო 0,25-დან - 1,25 ჰა-მდე ფართის სასოფლო სამეურნეო მიწის მესაკუთრეებს 510 ლარის ღირებულების კომბინირებული სასოფლო-სამეურნეო ბარათი, რომელშიც 210 ლარი გათვალისწინებული იყო ნიადაგის დამუშავებისათვის (მოხვნა, დაფარცხვა, დათესვა და ა.შ.), ხოლო 300 ლარი შხამ-ქიმიკატების და სამეურნეო ინვენტარის შესაძენად. ამ მიზნით საქართველოს მთავრობამ ბიუჯეტიდან 2013 წელს გამოყო 56 მ-ლ ლარი.

ასევე წარმატებით ხორციელდება შეღავათიანი აგროკრედიტების პროექტი. ამ მიზნით ქვეყნის კომერციულ საბანკო სექტორზე დაყრდნობით (საქართველოს ბანკი, ვითიბი ბანკი, ბანკი რესპუბლიკა და ა.შ.) მცირე ფერმერებისთვის საბანკო სექტორს დაევალა უპროცენტო, სასაქონლო კრედიტის გაცემა 5000- ლარამდე უზრუნველყოფის გარეშე, ხოლო მსხვილი და საშუალო ფერმერული მეურნეობებისთვის საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად 5000- დან 100000 ლარამდე წლიური, არაუმეტეს 7-8%-ის ფარგლებში. ხოლო ძირითადი კაპიტალის დასაფინანსებლად 100000 აშშ დოლარამდე წლიური 3%-ტში. 100000დან 500000 აშშ დოლარამდე წლიური 2%-ტში და 500000 აშშ დოლარის ზემოთ წლიური 1%-ის ფარგლებში. მსხვილ და საშუალო სიდიდის ფერმერულ მეურნეობებისათვის ძირითად და საბრუნავ საშუალებებზე კრედიტების გაცემა წარმოებს საბანკო სექტორში წარდგენილ ბიზნეს გეგმების საფუძველზე.

ქვეყანაში აგრობიზნესის ცალკეულ პრიორიტეტულ მიმართულებათა განვითარებას და მასში დასაქმებული ფერმერების საქმიანობის სტიმულირების მიზნით სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდა შეღავათიანი სუბსიდირება. კერძოდ სახელმწიფოს მხრიდან 2013 წელს მევენახეობის და მეღვინეობის დარგის განვითარებას სტიმულირების მიზნით დააწესა წარმოებული პროდუქციის (ყურძნის) სუბსიდირების შემდეგი მექანიზმი, კერძოდ გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოები (ღვინის ქარხნები) ფერმერებისთვის ერთ ლარზე და ზემოთ გადახდილი თანხისთვის შესყიდულ ყოველ ერთ კილოგრამ პროდუქციაზე (ყურძენზე) 40 თეთრის ფარგლებში მიიღებდნენ სუბსიდირებას ხარისხოვან პროდუქტზე.

აგრობიზნესის განვითარების საქმეში ძალზე მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ბაზის დახვეწა-სრულყოფა.

ამ მიზნით აუცილებელია ცვლილებები შევიდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების კანონმდებლობაში და საგადასახადო კოდექსში. მოქმედი კანონმდებლობით ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადისგან განთავისუფლებულია 2004 წლის 1 იანვრამდე მოსახლეობის საკუთრებაში გადაცემული 5 ჰა-დე მიწის ფართობები. ამ გზით საოჯახო-ფერმერული მეურნეობები თავს არიდებენ ახალ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების შეძენას. რადგან აღნიშნული პერიოდის შემდეგ შეძენილ მიწის ფართობებზე ვალდებულნი არიან წარადგინონ დეკლარაცია შემოსავლების სამსახურში და დარეგისტრირდნენ მიწის გადასახადის გადამხდელებად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოქმედი მიწის კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილებები და სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადისგან განთავისუფლდეს მოსახლეობის (ფიზიკური პირების) საკუთრებაში არსებული 20ჰა-დე სას. სამ.მიწის ფართობები, რაც ქვეყანაში გამოაცოცხლებს მიწის ბაზარს და სტიმულს მისცემს სრულად მოქმედ ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობებს შეიძინონ ახალი მიწის ფართობები, გაამსხვილონ საკუთარი მეურნეობები და მთლიანობაში გაზარდონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. მიწის კანონმდებლობაში აღნიშნული ცვლილების შეტანა გამართლებულია იმ კუთხითაც, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ერთ ფერმერულ მეურნეობაზე საშუალოდ მოდის 18-20ჰა-ი, ხოლო საქართველოში ეს მაჩვენებელი დღეისათვის 1,05 ჰა-ს შეადგენს.

აღნიშნული ცვლილებების განხორციელება „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ კანონთან ერთად ხელს შეუწყობს ქვეყანაში უმოკლეს პერიოდში აგრობიზნესის სისტემაში არსებითი ძვრების განხორციელებას.

თენგიზ ლაჭყევიანი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ვაჟა ზეიკიძე,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
მაია ხუციშვილი,
სოციალური მეცნიერების დოქტორი

AGRIBUSINESS DEVELOPMENTS PECULIARITY IN GEORGIAN

T.Latshepiani –Doctor of Economics Sciences
M.khutsishvili - doctor of Social Sciences
V.Zeikidze - Doctor of Economics Sciences

RESUME

This article shows opportunities and peculiarities that exists in Georgia of conversion of agriculture to agribusiness . In article author discusses experience of foreign countries in this field.

At the end of the paper author sets ways of development agribusiness in Georgia.

პედაგოგების შრომის ხარისხისა და შესაბამისი ანაზღაურების განმსაზღვრელი ჩარჩო-მოდელის (პროფესიობრამის) ფორმირება

XXI საუკუნე თანამედროვე მასწავლებელს ინოვაციური გამონვევების წინაშე აყენებს, სკოლის მენეჯმენტისგან კი მოითხოვს მართვის ახალ სტილსა და ზოგადსაგანმანათლებლო დანებებულების განვითარებისთვის სათანადო სტრატეგიებს. დღეს, სასკოლო ორგანიზაციაში, აღსაზრდელებს თანამედროვე მზარდი მოთხოვნების შესაბამისად, ახალი ტიპის უნარები უნდა განუვითაროს. ესენია: კრიტიკული აზროვნება, პრობლემების გადაჭრის უნარი, ლიდერობა, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო და მედია უნარები.



ასმათ შამშინია,
სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

შესაბამისად განმანათლებლები ორიენტირებულები უნდა იყვნენ საკუთარი სწავლების მართვასა და პროფესიის ინოვაციებით გამდიდრებაზე; ასევე კარიერის დაგეგმვასა და სიახლეებთან ადაპტაციაზე. ყოველივე ეს, რასაკვირველია, უნდა აისახოს საგანმანათლებლო სტანდარტებში. ამ უკანასკნელის მიხედვით შრომის რაოდენობა და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს პედაგოგების შრომის ანაზღაურებას, რომელიც სტიმულს მისცემს მათ მუდმივად აიმაღლონ კვალიფიკაცია და უპასუხონ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სწრაფად ცვალებად მოთხოვნებს.

ჩვენ ვიზიარებთ ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, 12-წლიანი სამუშაო გამოცდილების მქონე ინგლისურის მასწავლებლის, სკოლის მენეჯერის - **ტონი ვაგნერის** მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ: იმ რეალურად ღირებულ თვისებებს შორის, რომელსაც მოითხოვს თანამედროვე ეკონომიკა და შრომის ბაზარი, სასკოლო დაწესებულებაში სწავლის დამთავრებამდე მოსწავლემ უნდა შეიძინოს 7 ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება იმისთვის, რომ შემდგომში იმოვოს და შეინარჩუნოს მაღალანაზღაურებადი სამსახური, ჰქონდეს წარმატებული კარიერა და იყოს ქვეყნის ღირსეული მოქალაქე. ზემოთ აღნიშნული თვისებებია:

- კრიტიკული აზროვნება და პრობლემების გადაჭრის უნარი;
- მულტიკულტურულ გარემოში გუნდური მუ-

შაობის და გავლენით ლიდერობის უნარი; 3. სისხარტე და ადაპტაციის უნარი;

- ინიციატივა და მეწარმეობის უნარები;
- ეფექტიანი წერისა და კომუნიკაციის უნარი;
- საჭირო ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი;
- ცნობისმოყვარეობა და წარმოდგენის უნარი.

აღნიშნული თვისებები მთავარ როლს თამაშობს ინოვაციაში. ეს უკანასკნელი კი არის ის, რაც ამომრავებს ეკონომიკას და ძალიან მნიშვნელოვანია, ზოგადად კაცობრიობის განვითარებისთვის. სამწუხაროდ, დღეს არც ერთი ჩამოთვლილი თვისება სასკოლო დაწესებულებებში არ ისწავლება და არ მოწმდება. ეს არ არის არცერთი პედაგოგისა და ზოგადსაგანმანათლებლო ორგანიზაციის მენეჯმენტის ბრალი, ყოველივე აღნიშნულის გამომწვევი უმთავრესი მიზეზია მოძველებული სისტემა, რომელიც საუკუნის წინ შეიქმნა და დღემდე არ განუცდია ცვლილება.

იმისათვის, რომ მოსწავლეებს XXI საუკუნეში საჭირო შემოქმედებითი და ანალიტიკური უნარ-ჩვევები განუვითარდეთ, განმანათლებლებმა თავად უნდა ისწავლონ ისე სწავლება, რომ მაღალი დონის სააზროვნო უნარ-ჩვევები და ქცევითი მოდელები წარმოაჩინონ. ამ რთული მისიის შესასრულებლად ზოგადსაგანმანათლებლო სისტემამ უაღრესად მნიშვნელოვანია პედაგოგები უზრუნველყოს უფრო ეფექტიანი მომზადებით (კერძოდ, პროფესიული განვითარების სტიმულირების ფორმებით), ვიდრე ეს აქამდე

№2 პარტი 2014

ტრადიციულად ხორციელდებოდა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის უმთავრესი ამოცანის სწავლა/სწავლებისა და აღზრდის პროცესის წარმართველი, რასაკვირველია, პედაგოგია. ამიტომ ბუნებრივია, თუ „მასწავლებლებმა მომავალი საზოგადოების წევრები სირთულეებისათვის უნდა მოამზადონ, მაშინ თავად უნდა შეძლონ მათთან გამკლავება. ამისათვის კი, უნდა შეიძინონ გარკვეული უნარ-ჩვევები და თავად გახდნენ „მოწინავე მოსწავლეები ამ საზოგადოებაში“.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სასკოლო დაწესებულებებში პედაგოგების შრომის ანაზღაურება, ისე, როგორც ეს მიღებულია ევროპის განვითარებულ ქვეყნებსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში, უნდა ეფუძნებოდეს საგანმანათლებლო სტანდარტებს, რომლებიც საჭიროა მოიცავდნენ დროის შესაბამის მოთხოვნებსა და პედაგოგების კვალიფიკაციას. თანამედროვე სწრაფად ცვალებადობის პირობებში, აუცილებელია პერიოდულად იწარმოოს მათმა გადახალისებამ და გარკვეულ პერიოდში, შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მოცემული საგანმანათლებლო სტანდარტების მოთხოვნების სკალირების მიხედვით მოხდეს პედაგოგების დაყოფა კატეგორიებად, რომელსაც საჭიროა შეესაბამებოდეს კვალიფიკაციის განმსხვავებელი კოეფიციენტი და სატარიფო განაკვეთი.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სასკოლო დაწესებულებების პედაგოგების სტატუსის ამაღლების მიზნით, მათი პროფესიული საქმიანობისა და შრომის შესაბამისი ანაზღაურების ამსახველი ავტორისეული მოდელის - პროფესიოგრამის შემოთავაზება (ცხრილი №1. გვ. 50), რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ზემოხსენებულ საგანმანათლებლო სტანდარტებს. სქემა, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს სასკოლო პედაგოგების მატერიალური სტიმულირების სრულყოფას, უზრუნველყოფს არა მარტო მათ ეკონომიკურ კეთილდღეობას, არამედ, მუდმივ ლტოლვას კვალიფიკაციის ამაღლებისადმი, რაც მოიტანს სამმხრივ სარგებელს პედაგოგისთვის, სასკოლო დაწესებულებისთვის და სახელმწიფოსთვის. პედაგოგის პროფესია ცოდნის, უნარ-ჩვევების და კომპეტენციების ერთობლიობაა, რომელთა ფლობა დღეს აუცილებელია განათლების სფეროში შრომითი საქმიანობისთვის და მათი შეძენა შესაძლებელია სწავლის ან/და შესაბამის სფეროში საქმიანობის შედეგად. პედაგოგიური მოღვაწეობა მასწავლებლის ძირითადი საქმეა, იგი შრომითი საქმიანობაა, რომელიც მოითხოვს განსაზღვრულ მომზადებას და წარმოადგენს მისი შემოსავლის მთავარ წყაროს. ჩვენს მიერ შემოთავაზებულმა მოდელმა ასახვა უნდა ჰპოვოს საგანმანათლებლო სტანდარტებში, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი გახდება პედაგოგის შრომის ანაზღაურების განსაზღვრა.

როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებული პედაგოგების შრომის ანაზღაურებას ვაფასებთ, მისი განხილვა განყენებულად, სხვა, მასთან დაკავშირებული პრობლემისგან ძალიან სერიოზულ

შეცდომად უნდა ჩაითვალოს. როგორც ეკონომიკის ყველა სფეროში (მატერიალურ და არამატერიალურ წარმოების დარგებში) შრომის ანაზღაურება ყოველთვის უკავშირდებოდა, უკავშირდება და საჭიროა და უკავშირდეს შრომის ხარისხს.

ამ პრინციპებით ხელმძღვანელობენ ევროპის წამყვანი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები. სწორედ აღნიშნული მიმართულებით მიმდინარეობს პედაგოგის ანაზღაურების სრულყოფა, როგორც ამას გვიჩვენებს რუსეთის ფედერაციის, ასევე კალუგის ოლქის ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებული პედაგოგების შრომის ანაზღაურების განვითარება.

პედაგოგების შრომის სტიმულირებაში უაღრესად მნიშვნელოვანია ბიუჯეტის ფორმირება, რომელშიც უმთავრესი ადგილი უკავია შრომის ანაზღაურებას. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსების ეფექტიანი მართვა და ბიუჯეტის მუხლების მიხედვით ფინანსური რესურსების განაწილება ასევე ემსახურება პედაგოგების მაღალხარისხიანი შრომის წამახალისებელი სხვადასხვა ფორმების პრაქტიკაში დანერგვას. სასკოლო რეფორმის წარმატებით განხორციელებაში ფინანსების ეფექტიანი მართვის გადამწყვეტი მნიშვნელობისა და ზოგადსაგანმანათლებლო ორგანიზაციების პრაქტიკულ საქმიანობაში ამ მიმართულებით სერიოზული ნაკლოვანებების არსებობის გამო, მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

1. სამეურვეო საბჭოებმა დირექტორებთან ერთად სასკოლო დაწესებულების განვითარების გეგმებისა და პრიორიტეტების განსაზღვრისას არსებითი მნიშვნელობა უნდა მიანიჭონ ფინანსური შესაძლებლობის ფორმირებას, ასევე შემოსავლების რეალურ პროგნოზირებას. მათ ამ პროცესში საჭიროა აქტიურად ჩართონ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები და მაქსიმალურად ხელი შეუწყონ საბიუჯეტო გამჭვირვალობის უზრუნველყოფას;

2. აუცილებელია დიდ სკოლებში სპეციალური ფინანსური კომიტეტების შექმნა, რომელთაც სამეურვეო საბჭო უხელმძღვანელებს. შესაბამისად, დროთა განმავლობაში სკოლებს ფინანსების მართვისას შიდა-სასკოლო პროცედურების შემოღების უფლებაც მიეცემათ, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამ საქმეში წარმატებას მხოლოდ მაშინ მიაღწევენ, თუ მასში ჩართული იქნებიან კომპეტენტური ადამიანები, რომლებმაც საქმეც იციან და სკოლის წარმატებითაც არიან დაინტერესებული. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ფინანსურ მართვაში სასკოლო საზოგადოების აქტიური მონაწილეობაა გათვალისწინებული, ბუნებრივია ძირითადი პასუხისმგებლობა მაინც სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს აკისრიათ;

3. ფინანსების მართვაში სამეურვეო საბჭოების ფართო მონაწილეობისა და მათი პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით, საბჭოებში, წევრების არჩევისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სასკო-

პედაგოგების პროფესიული საქმიანობის განმსაზღვრელი მოდელი (პროფესიოგრამა)

განყოფილება	განყოფილების შინაარსი
პროფესია	<ul style="list-style-type: none"> ❖ სკოლის მასწავლებელი; ❖ სამუშაოს არეალი.
მასწავლებლის შრომის პროცესი	<ul style="list-style-type: none"> ❖ მოსწავლის სწავლება და აღზრდა; ❖ შემოქმედებითიანობა; ❖ ინოვაციურ ტექნოლოგიების ფლობა; ❖ კლასში სასურველი და მიმზიდველი სასწავლო კლიმატის შექმნა; ❖ უცხო ენა (ენების) ცოდნა; ❖ სწავლა/სწავლების ეფექტიანი მეთოდებისა და კლასის მართვის სტილის გამოყენება; ❖ საგაკვეთილო გეგმის საინტერესოდ შედგენა.
შრომის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები	<ul style="list-style-type: none"> ❖ სისუფთავე საკლასო ოთახებში; ❖ მოწესრიგებული სასადილო ოთახი; ❖ სამუშაო რეჟიმი და დასვენება; ❖ სამუშაო დრო; ❖ დაზღვევა; ❖ შვებულება.
ფსიქოფიზიოლოგიური მოთხოვნები	<ul style="list-style-type: none"> ❖ ყურადღებიანი დამოკიდებულება; ❖ შინაარსიანი სამუშაო; ❖ სამუშაოს მოცულობა; ❖ ინტერესები; ❖ თანასწორობა, როცა ყველა პედაგოგს სამუშაოს შესრულება ერთნაირად არ შეუძლია (შესაძლებლობის ფსიქო-ფიზიოლოგიური და ინტელექტუალური მაჩვენებლები), მაგრამ უფლება აქვს შეეძლოს. ეს არის ყველა განმანათლებლისთვის თანაზომიერი შეზღუდვის უფლება, ანუ მათი უფლება-ვალდებულებების განხორციელება რეგულირდება ერთი საზომით, შესაბამისად, თავისუფლება ყველა მასწავლებლისთვის ერთნაირად ნორმირებულია ან უნდა იყოს ასე, რადგან მოქმედებს თანასწორობის პრინციპი.
პროფესიული უნარ-ჩვევები	<p>პედაგოგის მიერ 21-ე საუკუნის შესაბამისი სწავლების მოდელების ფლობა:</p> <ul style="list-style-type: none"> ❖ სწავლისა და ინოვაციის უნარები; ❖ ინფორმაციის, მედიისა და ტექნოლოგიური უნარები; ❖ ცხოვრებისა და კარიერის უნარები; ❖ ადაპტირების, კომუნიკაციის, წარმოსახვის უნარები; ❖ სწავლებისადმი ინტერესი; ❖ ლიდერობა; ❖ მოდელირება, თანამშრომლობის ჩვევები და რისკისადმი მზაობა.
პედაგოგიური კადრების მომზადებაზე მოთხოვნები და კვალიფიკაციის ამაღლება	<ul style="list-style-type: none"> ❖ პროფესიული მომზადების დრო და შესაძლებლობა; ❖ პროფესიული თვითგანვითარების პერსპექტივა; ❖ პედაგოგების პროფესიული თვითგანვითარების უფრო მეტად დაინტერესების მიზნით მათი ინფორმირებულობა შესაბამისი შრომის ანაზღაურების შესახებ; კვალიფიკაციის ამაღლების გათვალისწინება შრომის ანაზღაურებაში.

ლო ცხოვრებისადმი მათ ინტერესს, ასევე ფინანსური საკითხების ცოდნას და სხვ.;

4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა იზრუნოს, რომ მეტი ყურადღება მიექცეს სკოლებიდან შესულ წინადადებებს საბაზო სკოლების განსხვავებული დაფინანსების, პირველკლასელთა მცირეკონტინგენტიანი ჯგუფების კლას-კომპლექტის გარეშე სწავლების, საკლასო

ოთახებში მოსწავლეების ზღვრული რაოდენობის შესახებ და სხვ.;

5. სასკოლო ორგანიზაციამ დამატებითი ფინანსური სახსრების მოძიების მიზნით უნდა იზრუნოს:

- ❖ მშობელთა ნებაყოფლობითი შემოწირულობების წყაროების ზრდაზე (რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული პროგრამული თუ საპროექტო შეთავაზებებით);

- ❖ სხვადასხვა სახის გრანტის მოპოვების სტიმულირებითა და ამ პროცესის ხელშეწყობით;
- ❖ სკოლის კურსდამთავრებულთა დახმარებით და მხარდაჭერით;
- ❖ სამეწარმეო-კომერციული საქმიანობით;
- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან არსებული ფასიანი აკადემიური, შემოქმედებითი და სპორტული წრეებიდან მიღებული რესურსებით;
- ❖ სკოლის მენეჯმენტის და პედაგოგების მიერ მომზადებული საგანმანათლებლო რესურსების (სატრენინგო პროგრამები; პროფესიული ჟურნალები, თვალსაჩინოებები, სემინარები და ა. შ.) რეალიზებით;
- ❖ ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურებით მიღებული რესურსებით;
- ❖ მოსწავლეთა ნამუშევრებისა თუ ნაკეთობების რეალიზებით.

ვეტიკრობთ, ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარებით, სასკოლო საზოგადოების მიერ ფინანსური მართვის მნიშვნელობის სრულად გაცნობიერებით და ამ პროცესისადმი ხელშეწყობით, წარმატებით განხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ეს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიაც, რომელიც, თავის მხრივ, ბუნებრივია ემყარება ადამიანური რესურსების ეფექტიან მართვას.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოში პედაგოგებზე დაწესდეს ქალაქებსა და სოფლებს შორის განსხვავებული შრომის ანაზღაურება, ისე, როგორც ეს სისტემა მიღებულია და მოქმედებს ევროპის განვითარებულ და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში.

ზოგადსაგანმანათლებლო სფეროსა და მართვის სისტემაში შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია, სკოლების დაფინანსების სისტემის გადახედვა და დაფინანსების ფორმულის განვითარება ქვეყნის მასშტაბით ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

ამრიგად, შრომის სტიმულირება, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადამიანის ორგანიზაციაში საქმიანობის ეფექტიანობას, ფაქტიურად მოიცავს ორ ძირითად ასპექტს - მატერიალურ და არამატერიალურ წახალისებას და, ცხადია, ამით უკვე დასტურდება ის, რომ ყოველი ორგანიზაციის, მათ შორის სასკოლო დაწესებულების ხელმძღვანელმა, პედაგოგების წახალისების ფორმებისა და მეთოდების დადგენის პროცესში, მაქსიმალური ხარისხით უნდა გაითვალისწინოს მათი ასაკობრივი სტრუქტურა, განწყობა და დამოკიდებულება სტიმულირების ფორმების მიმართ, რომლებიც უნდა იყოს საჯარო განხილვის პროდუქტი და თითოეული განმანათლებლისთვის ხელმისაწვდომი. ყოველივე აღნიშნული, რა თქმა უნდა, საჭიროა აისახოს სასკოლო დაწესებულების შესაბამის დებულებაში. ეს უკანასკნელი კი მიღებული და დამტკიცებული უნდა იყოს სკოლის სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოების მიერ, ანუ მას საჭიროა მიეცეს სახელმძღვანელო დოკუმენტის სახე.

როგორც ცნობილია, სასკოლო დაწესებულებაში დასაქმებული პედაგოგები დღემდე მრავალი მიზეზის გამო მუშაობენ. მათ შორის – უმუშევრობის შიშით, მიკუთვნების განცდით, ან შეჩვევის გამო. მასწავლებლებისთვის უმთავრესია პირველი, სამართლიანი ანაზღაურება - განმანათლებლები რჩებიან ზოგადსაგანმანათლებლო ორგანიზაციაში, თუ აქეთ მათი უნარების, შედეგების და ძალისხმევების შესაბამისი ანაზღაურება. ისე, როგორც საზოგადოებრივ საქმიანობაში დასაქმებული ყოველი ინდივიდი, ასევე პედაგოგებიც დაინტერესებულნი არიან, რომ მათი შრომის ანაზღაურება შესაბამისად დახარჯული შრომის რაოდენობასა და ხარისხს. საუბარია, როგორც კონკრეტულ ხელფასსა და ბენეფიტებზე, ასევე შრომის დაფასებისა და აღიარების წახალისების სხვა სახის ფორმებზე. მეორე, ზოგადსაგანმანათლებლო ორგანიზაციებში მასწავლებლები ვითარდებიან - საუკეთესოები რჩებიან, როცა ისინი მუდმივად ახალს სწავლობენ, იზრდებიან და არა მხოლოდ საქმის კეთების ხარჯზე, არამედ იმიტაც, რომ სასკოლო დაწესებულება მუდმივად ზრუნავს მათი კვალიფიკაციის ამაღლებასა და ცოდნის სრულყოფაზე. მესამე, შიდასასკოლო ურთიერთობები - ძალიან არსებითია მასწავლებლისთვის, თუ ზოგადსაგანმანათლებლო ორგანიზაციაში მუშაობენ პატივსაცემი, შესაფერისი და მსგავსი კოლეგები, რომლებთანაც კომუნიკაცია ძალიან სასიამოვნო და პოზიტიურია. მეოთხე, შინაარსიანი სამუშაო და მეხუთე, პედაგოგებს სურთ, იმუშაონ დაწესებულებაში, სადაც შესაძლებლობა ექნებათ აკეთონ ის საქმე, რომელიც ახლოს არის მათ ინტერესებთან, ძალიან მოსწონთ და უყვართ. შესაბამისად, ყველა ხელმძღვანელი უნდა ცდილობდეს ამ პუნქტების მიხედვით სასკოლო ორგანიზაციის შეფასებას და იმ მიმართულებების გაძლიერებას, სადაც მოიკოჭლებს იგი. თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ამ პირობებს კარგად აკმაყოფილებს, იქ იმუშავებენ ყველაზე მოტივირებული, კომპეტენტური პედაგოგები. ეს პირდაპირ კავშირშია ზოგადსაგანმანათლებლო ორგანიზაციის მიღწევებთან, შედეგებთან, შშობლებისა და მოსწავლეების კმაყოფილებასთან და ასევე, პედაგოგების უმთავრესს მიზანთან - მათ შემოსავლებთან.

ჩემი აზრით, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უპირველესი პირობა კარგი მასწავლებელია და არა სხვა ელემენტები (ინფრასტრუქტურა, სახელმძღვანელოები, მეთოდიკა და სხვ.). რა თქმა უნდა, ყველაფერს სათანადო ადგილი აქვს, მაგრამ კარგი პედაგოგის გარეშე სასკოლო ორგანიზაციის მართვის არცერთი ინსტრუმენტი, თავისთავად, შესაბამისს შედეგს არ იძლევა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სახელმწიფო და საზოგადოება პირველი, სათანადოდ უნდა აფასებდნენ პედაგოგებს და მათ საქმიანობას. მეორე, პედაგოგის შრომის ანაზღაურება "ღირსების შემნახველი" უნდა იყოს. მასწავლებლის ხელფასი არ უნდა მიეზას მხოლოდ საარსებო მინიმუმის დონეს, არამედ აუცილებელია, რომ იგი შეესაბამებოდეს სა-

ზოგადობის განვითარების თანამედროვე ეტაპს და საჭიროა დაკავშირებული იყოს ცოდნის ეპოქასთან; მე-სამე, სახელმწიფოში უნდა მოქმედებდეს პედაგოგების მომზადებისა და მუდმივი პროფესიული თვითგანვითარების სათანადოდ გააზრებული და ორგანიზებული სისტემა (მართალია ფუნქციონირებს მასწავლებლის სახლები, თუმცა საჭიროა ტრენინგ/სემინარებისთვის გამოყენებადი ამჟამად არსებული თემატიკის სრულყოფა); მეოთხე, აუცილებელია არსებობდეს პედაგოგების პერმანენტული კვალიფიკაციის ამაღლების გამართული მექანიზმი და სხვ.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში პედაგოგიური საქმიანობის მატერიალური და სხვა ფორმის წახალისების გარდაქმნა აუცილებელია, რაც, ვფიქრობთ, უნდა მოიცავდეს შემდეგ მიმართულებებს:

ა) მასწავლებლის ანაზღაურების საბაზისო მინიმუმის დადგენას, რომელიც საჭიროა განისაზღვროს ქვეყანაში ჩამოყალიბებული საშუალო ხელფასის სი-

დიდიდან გამომდინარე და მისი მოცულობა არ უნდა იყოს ნაკლები იმაზე, როგორც ეს ჩამოყალიბებულია ევროპაში (45%-დან 60-65%-მდე).

